საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.ge

№6 (430)

21 - 27 თებერვალი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

«უცხოელთა დელეგაციაში ექვსიდან ექვსივე მამაკაცია, სამხედრო მუნდირებში გამოწყობილნი, საშუალო ასაკს გადაცილებულნი და აშკარად სამხედრო საქმის სპეციალისტები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 წარმომადგენლიდან კი მხოლოდ ერთია ჭაბუკი, ხოლო ხუთი – მიპრანჭულ-მოპრანჭული, მოკეკლუცე გოგონა»




## «იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, რამე!» 2

## «სიცოცხლით სავსე ქალაქის» სისხლიანი ქრონიკები 6

18 «პროფესიონალი ჯაშუშები მივიჩნიეთ სახელმწიფოს აღმშენებელ პოლიტიკოსებად და მივიღეთ კატასტროფის ტოლფასი შედეგი»

9 «ამერიკა თავისი დიდი საწარმოების ფილიალებს არ გვიხსნის საქართველოში, თუნდაც რამდენიმეს, სამაგალითოდ, სამაგიეროდ, 4 მილიარდ დოლარს გვიხდის იმიტომ, რომ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო»

8 «საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდა, ვფიქრობდი, ჩემი შვილიშვილები ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრებენ-მეთქი, მაგრამ ახლა არაფრის იმედი არ მაქვს»

15 ხელისუფლების განცხადებების მიუხედავად, რომ საქართველოს პოზიციები ყველა სარეიტინგო სიაში გაუმჯობესდა, გაეროს მონაცემები საპირისპიროზე მიუთითებს

## დასველებული საქმე და «ევროპული საქართველო»



«ფიგურანტი აშკარად მენტალური არასტაბილურის სტადიაში იმყოფება — ხან ყვება, როგორ გადაარჩინა ბებიამისმა სტალინი; ხან ამბობს, რომ ქართული სახელმწიფო დააარსა, და იწყებს იმის მტკიცებას, რომ არ ჩაუსვლებია, როდესაც რესტორანში სპეცრაზმი შევარდა» 3

## ძაღლ იყოს მთავრობისადა! 8





## ჯანელიძე, ჯონჯოლი და დასაქმება 4

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ან ეს „იყიდე-გაყიდე“ მოსულა ჩვენ შორის, თუ ასეთი „ძმაკაცები“ და „ჯიგრები“ ვართ ერთმანეთისთვის? რა არის ეს, თქვენთვის უკვე გამოუყენებელ „ჯაველინებს“ ბევრ მილიონად რომ გვტენით და თანაც ჭკუას გვარიგებთ — ამით უნდა გაუძლოთ რუსეთს იმდენ ხანს, რამდენიც ჩვენ, თქვენს მეგობრებს, საქართველომდე ჩამოსასვლელად გვჭირდებაო? თუკი ასეთ მნიშვნელოვანია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ამ „ბოროტი და ხიხია“ რუსეთის დამარცხება და განადგურება, გვაჩუქეთ ძმაკაცურად ეგ იარაღი, რომლითაც, თურმე, რუსეთს „ყელში გავეჩხირებით“, რა იყო, ჩვენ სასაკლაოზე გვიშვებთ და თქვენ რამდენიმე მილიონის ზარალიც არ გინდათ ნახოთ ამის გამო?**

# ამერიკელი გენერალი: «იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე!..»



**ქართულ-სომხურ კეთილმეზობლურ ქიშპობას დიდი ხნის ისტორია რომ აქვს, ყველამ ვიცით. სხვას რომ თავი დავანებოთ, „დინამოსა“ და „არარატის“ ცნობილი საფეხბურთო ბატალიებიც შესანიშნავად მეტყველებს ყველაფერზე. ამ ფონზეც კი ერთობ საინტერესოდ გამოიყურება ხსენებული ქართულ-სომხური კინკლაობა უკვე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. მკითხველი რომ არ დაიბნეს, ამთავითვე ვიტყვი: საუბარია ჩვენში ბოლო პერიოდში დამკვიდრებულ ტრენდულ ფრაზებზე — „ზვიადს თავის დროზე ჭკუა რომ არ ესწავლებინა ელცინისთვის, ახლა ვიქნებოდით სომხეთივით!“ ან კიდევ: „მიშას ასეთი ხისტი და პრინციპული პოზიცია რომ არ დაეჭირა რუსეთთან, ვიქნებოდით ახლა სომხეთივით!“. ალბათ, ხვდებით, რომ ამ ფრაზების მთქმელები „სომხეთივით ყოფნაში“ გულისხმობენ ცუდად, უარყოფითად ყოფნას, ანუ საქართველოსთვის „ცუდისა“ და „კარგის“ კრიტერიუმი ისევ „სომხეთით“ განისაზღვრება — თუ „სომხეთივით“ ვართ, ეს აპრიორში ცუდია, ხოლო, თუ სომხეთისგან განსხვავებულად ვართ, ეს უკვე კარგია. თუნდაც გვშიოდეს, გვწყუროდეს, სოციალურად განადგურებული ვიყოთ და ჩვენი ფიზიკური გადარჩენაც კი ბეწვზე ეკიდოს — ეგ არაფერი. მთავარია ის, რომ „სომხებივით“ არ ვართ.**

> **უცხოელთა დელეგაციაში ექვსიდან ექვსივე მამაკაცია, სამხედრო მუნდირებში გამოწყობილნი, საშუალო ასაკს გადაცილებულნი და აშკარად სამხედრო საქმის სპეციალისტები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 წარმომადგენლიდან კი მხოლოდ ერთია ჭაბუკი, ხოლო ხუთი — მიპრანჭულ-მოპრანჭული, მოკეკლუცე გოგონა**

და როგორ არიან სომხები? საინტერესოა, რას ხედავენ „სომხეთივით ყოფნაში“ ცუდს ის „პატრიოტი ქართველები“, რომლებიც ხშირად იყენებენ ხოლმე ამ ფრაზას: „კიდევ კარგი, რუსეთთან ხისტი პოზიციები დავიჭირეთ, თორემ ხომ ვიქნებოდით ახლა სომხეთივით?!“

რეალობა ასეთია: **სომხეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ერთადერთია, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ტერიტორია კი არ დათმო, არამედ დაიმატა. ვგულისხმობთ, რუსეთის გარდა, ანუ დომინანტი, მმართველი ქვეყნის გარდა, დანარჩენ ქვეშევრდომ 14 რესპუბლიკას. სომხეთი, ასევე რუსეთის შემდეგ, ერთადერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელშიც სოციალური პრობლემები თითქმის ნულზეა დასული და, ფაქტობრივად, იქ არ არსებობს უკმაყოფილო პენსიონერი.**

იქნებ იცით, უცხოეთის ქვეყნებში სომხეთის რამდენი მოქალაქეა გაქცეული — მოხუცის ან ბავშვის მომვლელად მომსახურე ან თავშესაფრის მთხოვნელი? ასეთი სომხების რაოდენობა თითქმის ნულის ტოლია. თუკი სომხები გასული არიან უცხოეთში სამუშაოდ, ისინი იქ საკმაოდ კარგ სამსახურებში მუშაობენ მაღალი ანაზღაურებით. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უშველებელი რუსული ბაზარი, როგორც სასაქონლო, ასევე, შოუბიზნესი, მთლიანად სომხების ხელშია.

ზუსტად ვიცი, „ანტისომხეთის“ წარმომადგენლები „არგუმენტირებულად“ იტყვიან: სამაგიეროდ გიუმრიში (ყოფილი ლენინაკანი) უდიდესი რუსული სამხედრო ბაზა უდგათ და რუსეთს „ჩმორებივით“ ჰყავს სომხებიო. კი, ბატონო, მაგრამ იქნებ ისიც მითხრათ ვინმემ, რა მოაქვს უარყოფითი და ცუდი მაგ ბაზას სომხეთის მოსახლეობისთვის და, საერთოდ, სომხური სახელმწიფოსთვის? მაგ უდიდეს ბაზას სწორედ გიუმრის მოსახლეობა ემსახურება და ეს ბაზა მათთვის მაღალანაზღაურებიან სამუშაო ადგილებს ქმნის. ამასთანავე, **იმავე რუსულ სამხედრო ბაზას საკვებითა და სხვა საჭირო ნივთებით ამარაგებს სომხური ადგილობრივი მრეწველობა და, სომხური კერძო საწარმოებისთვის დიდი შემოსავლის მოტანასთან ერთად, მაგ რუსულ ბაზას სომხეთის ბიუჯეტისთვისაც მნიშვნელოვანი მოგება მოაქვს. თანაც სომხეთს არ უწევს ფიქრი თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე, მეტიც: აქტიურად განიხილება საკითხი, სომხური შეიარაღებული ძალების რუსულ არმიასთან გაერთიანების შესახებ...**

ამ ფონზე **სომხეთის მოქალაქეები თავისუფლად გადაადგილდებიან ევროპაშიც და ამერიკაშიც, ხოლო რისთვისაც ჩვენ შალახოს ცეკვა და სამდღიანი ზარ-ზეიმი გავმართეთ, ზუსტად იმავე ტიპის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც კი არ ჩასულა ევროპაში — თავისი რომელიღაც დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გაუშვა...**

იმავე ევროპასა და ამერიკაში კი ლამის მონურ პირობებში ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილი მილიონობით ადამიანების 90 პროცენტი სწორედ იმ სამი „ყველაზე მაგარი“ რესპუბლიკის წარმომადგენლები არიან, რომლებიც „არ დაუჩმორდნენ“ რუსეთს — **საქართველო, უკრაინა და მოლდოვა.**

პლუს, უკვე ღიადაც გვემუქრება ევროპა „ვიზალიბერალიზაციის“ გაუქმებით, რაც სომხებს, სხვათა შორის, არ ემუქრება.

სამაგიეროდ, ჩვენ ნატო დიდი მზრუნველობით გვთავაზობს ამ ორგანიზაციაში შესვლას, სოხუმისა და ცხინვალის დათმობის სანაცვლოდ, და საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს წესდების მეხუთე მუხლის დროებითი შეჩერების ფონზე.

არადა, **მეხუთე მუხლი სწორედ ის მუხლია, რომელსაც ნატოს, ანუ ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო ალიანსის „ქვაკუთხედს“ უწოდებენ. ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმად განიხილება. დანარჩენი წევრები ვალდებულნი არიან, სამხედრო ძალით დაეხმარონ მას, ვისაც თავს დაესხა ვინმე.** აი ეს წერია ნატოს წესდების მეხუთე მუხლში და ჩვენ ვაპირებთ, სოხუმისა და ცხინვალის გარეშე ნატოში შევიდეთ, მაგრამ ამის მერეც ყველას ექნება უფლება და შესაძლებლობა, თავს დაგვესხას. **„მეხუთე მუხლი“ ჩვენ მიმართ მხოლოდ მოგვიანებით ამოქმედდება, ანუ მაშინ, როდესაც საქართველო თბილისიდან ქუთაისამდე გაჭიმული ტრასაღა დარჩება და, როგორც ჩანს, სურამთან მდგარ ნაზუქის გამყიდველ ქალებს ნატოს შიშით ველარავინ გაუბედავს „თავდასხმას“.**

ჩემი მეზობელი ლოთებისა არ იყოს, — ეგ იგივეა, ხაში უნივროდ გაჭამონ. არადა, ჩვენს რეალობაში ტრაგედია სწორედ ის არის, უბნის ლოთები რომ უკეთესად აცნობიერებენ სიმართლეს და შექმნილ მდგომარეობას, ვიდრე ისინი, ვისაც ამ ქვეყნის ბედი აბარია.

აქ კი, კიდევ ერთი საკითხი იწევს წინა პლანზე — და ვის აბარია დღეს ქვეყნის ბედი, განსაკუთრებით კი მისი თავდაცვა? ამაზე პასუხს ნათლად გასცემს ბოლო დღეებში ინტერნეტით გავრცელებული და სოციალური ქსელების მომხმარებელთა მიერ ატაცებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია საქართველოს თავდაცვის სამინიტროში უცხოეთის დელეგაციის მიღება. ფოტოს ოფიციალურად ადევს ლოგოდ „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“, რაც ნიშნავს და ადასტურებს იმას, რომ იგი რეალურად ამ უწყებამ გაავრცელა და არანაირ „სიყალბესთან“ საქმე არ გვაქვს. მოლაპარაკების მაგიდას ორივე მხრიდან ექვს-ექვსი წარმომადგენელი უზის, მაგრამ განსხვავება მაინც თვალში საცემია, რადგან **უცხოელთა დელეგაციაში ექვსიდან ექვსივე მამაკაცია, სამხედრო მუნდირებში გამოწყობილნი, საშუალო ასაკს გადაცილებულნი და აშკარად სამხედრო საქმის სპეციალისტები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 წარმომადგენლიდან კი მხოლოდ ერთია ჭაბუკი, ხოლო ხუთი — მიპრანჭულ-მოპრანჭული, მოკეკლუცე გოგონა.**

აი, ასე წყდება დღეს საქართველოში თავდაცვის საკითხები და როგორ გგონიათ, ექნებათ კი ამ გოგონებს პასუხი ამერიკელი გენერლისთვის, რომელიც მოგვიწოდებს, **„რუსეთისთვის მოუნელებელ ლუკმად უნდა გადაიქცეთო“?**

„ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია ესაუბრა ამერიკელ გენერალ-ლეიტენანტ **ბენ ჰოჯესს**, ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გადამდგარ სარდალს.

„ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ დავადგინოთ, რა დრო დასჭირდება გარკვეულ მოქმედებებს ნატოს მხრიდან, **თუკი რუსეთი საქართველოს თავს დაესხმება. საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა მსგავს შემთხვევაში შექმნას ისეთი წინაღობები, რომლებითაც რუსეთს საკმარისი ტკივილი მიადგება და საქართველო მისთვის მოუნელებელ ლუკმად იქცევა.** პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აუცილებელი წინაპირობაა „ჯაველინის“ სისტემის რაკეტების ყიდვა ამერიკის შეერთებული შტატებისგან. საქართველოს უპირველესი ამოცანაა, რუსეთის სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, გაძლოს იმდენ ხანს, სანამ მას მეგობრები დაეხმარებიან!“ — განაცხადა ბენ ჰოჯესმა.

პირადად რომ არ მენახა ეს მასალა საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე, გენერლის ფორმაში ჩაცმული კაცის ფოტოსურთით, მელორის ან ზეინკლის კომენტარი უფრო მეგონებოდა, რომელიც სამხედრო საკითხებზე დაახლოებით 5 წლის ბავშვივით მსჯელობს.

**ბატონო გენერალო ჰოჯეს (ბენ, ძამია-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ ირონიის განწყობაზე აღარ ვარ)! თქვენ, ამხელა „ნატო“-„ნასა“-„აშუშუ“ ფიგურამ, გამოდის, ისიც კი არ იცით, რა დრო დაგჭირდებათ რუსეთის სამხედრო აგრესის შემთხვევაში საქართველომდე ჩამოსაღწევად? რა, ურმებით მოდიხართ დასახმარებლად ამ გაგანია 21-ე საუკუნეში?**

**ან რას ნიშნავს — „რუსეთისთვის მოუნელებელ ლუკმად უნდა გადაიქცეთ“? გამოდის, „ლუკმა“ მაინც გავხდებით, უბრალოდ, ამით რუსეთს კუჭი ასტკივდება და თქვენ ეს გაგიხარდებათ?**

აი, რუსეთისთვის „საკმარისი ტკივილი“ რანაირია, ეგ, ალბათ, თქვენმა „ბრძენმა“ ექსპერტებმა უკვე განსაზღვრეს და იქნებ ჩვენც გაგვიმხილოთ, რადგან, როდესაც რუსეთისთვის „ტკივილის მიყენებას“ დავიწყებთ, „არასაკმარისი“ არ მოგვივიდეს, ჰა?

„ჯაველინებს“ რაც შეეხება, როგორც ადრეც ვთქვით ამავე გაზეთის ერთ-ერთ წერილში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო სისტემაა და, თუკი რუსეთმა ტანკების გარეშე, „დისტანციურად“ შემოგვიტია, მაშინ რა ვქნათ?

**ან ეს „იყიდე-გაყიდე“ მოსულა ჩვენ შორის, თუ ასეთი „ძმაკაცები“ და „ჯიგრები“ ვართ ერთმანეთისთვის? რა არის ეს, თქვენთვის უკვე გამოუყენებელ „ჯაველინებს“ ბევრ მილიონად რომ გვტენით და თანაც ჭკუას გვარიგებთ — ამით უნდა გაუძლოთ რუსეთს იმდენ ხანს, რამდენიც ჩვენ, თქვენს მეგობრებს, საქართველომდე ჩამოსასვლელად გვჭირდებაო?**

თუკი ასეთი მნიშვნელოვანია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ამ „ბოროტი და ხიხია“ რუსეთის დამარცხება და განადგურება, **გვაჩუქეთ ძმაკაცურად ეგ იარაღი, რომლითაც თურმე რუსეთს „ყელში გავეჩხირებით“. რა იყო, ჩვენ სასაკლაოზე გვიშვებთ და თქვენ რამდენიმე მილიონის ზარალიც არ გინდათ ნახოთ ამის გამო?**

როგორ გითხრათ და, ამერიკელი გენერლებისა და სამხედრო ექსპერტების ბოლოდროინდელი განცხადებები ვაჭარ მაკარს, მის ქარვასლასა და კოტეს თავადი ბიძის სიტყვებს მაგონებს: „იყიდე-გაყიდე! იყიდე-გაყიდე! რა სულ იყიდე-გაყიდე გაკერიათ პირზე?!“

რუსეთთან სამხედრო „დატაკების“ შემთხვევაში, ჩვენზე მზრუნველი და ჩვენთვის თავის გამწირველი მეგობრები „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟის როლში უფრო წარმომიდგენია. ე ბიჭო, ხელსაყრელი დროა ჩვენი ძველი „ჯაველინების“ გასასაღებლადო, — შესძახებენ, ალბათ, ამერიკელი სამხედროები და შავი ზღვის სანაპიროს მოადგებიან სიმღერით: „იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე!.. ჩქარა, თორემ, ჩქარა თორემ... გაიყიდება!“

**პრეზიდენტ პოროშენკოს შეეძლო, საქმე სამი სხვა მიმართულებით წაეყვანა, მაგრამ მან, როგორც ჩანს, საუკეთესო ვარიანტად დეპორტაცია ჩათვალა. შესაძლოა, იფიქრა, რომ დეპორტაციას დასავლეთში ნაკლები კრიტიკა მოჰყვებოდა. ამავე დროს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ პოროშენკოს სააკაშვილისგან (ორუელის „1984“-ს თუ გავიხსენებთ) ერთგვარი ემანუელ გოლდსტეინის შექმნა სურს, რომელიც მისთვის დაახლოებით იმავე როლს შეასრულებს, რასაც ტროცკი — სტალინისთვის ან გიულენი — ერდოღანისთვის, ანუ საზღვარგარეთ მყოფი, სახელგანთქმული, მაგრამ დაუძლურებული მტრის სახის, რომელსაც რეალური საფრთხის შექმნა არ შეუძლია.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასველებული სკამი და «ევროპული საქართველო»

**მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან გააძევეს. ის ჰოლანდიაში დაბინავდა. „ნაცმოძრაობის“ ბელადი კვლავინდებურად აქტიურია და არ სურს, აღიაროს, რომ ამდენი მარცხის შემდეგ მისი პოლიტიკური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მან ქართულ და უკრაინულ პოლიტიკაზე ახლო მომავალში?**

სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებების ციტირებას აზრი, ალბათ, არ აქვს. ეს ისედაც ცუდ ტონად ითვლება, ამასთანავე, **ფიგურანტი აშკარად მენტალური არასტაბილურის სტადიაში იმყოფება — ხან ყვება, როგორ გადაარჩინა ბებიამისმა სტალინი; ხან ამბობს, რომ ქართული სახელმწიფო დააარსა, და იწყებს იმის მტკიცებას, რომ არ ჩაუსველებია, როდესაც რესტორანში სპეცრაზმი შევარდა. სველი სკამის ფოტოები უკრაინულ მედიაში გავრცელდა, მაგრამ სააკაშვილი ირწმუნება, რომ ეს ფოტოშოპია.** ძნელი სათქმელია, რა მოხდა სინამდვილეში, თუმცა ეს ინფორმაცია ასე ფართოდ არ გავრცელდებოდა, ქართველების (და ახლა უკვე უკრაინელების) დიდ ნაწილს რომ არ სჯეროდეს, რომ ფიგურანტი „სპასობნია“ — მშიშარა ადამიანისგან მსგავსი რამ გასაკვირი არ არის. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: როდესაც პოლიტიკოსი ასეთი ინფორმაციის უარყოფას სრული სერიოზულობით იწყებს, ამით მას დამატებით რეზონანსს სძენს. სააკაშვილის ქცევა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მან წონასწორობა დაკარგა.

**განცხადებებს სკამზე, ბებიასა და სტალინზე სააკაშვილი პოლიტიკური შეფასებებისა და პროგნოზების პარალელურად აკეთებს, რაც მთლიანობაში საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას, თუ დავესესხებით, ეს გამოიყურება, როგორც „დეგრადირებული ლიდერის ურთიერთგამომრიცხავი აზრების ფრქვევა“.** ბოკერია ამ საკითხის მიმართ ანგარიშგასაწევ ექსპერტად უნდა ჩავთვალოთ — „გამოყენებითი სააკოლოგია“, ალბათ, ერთადერთი დისციპლინაა, რომელშიც ის 100%-ით კომპეტენტურია.

ის, რაც კიევში, რესტორან „სულუგუნში“, მოხდა, ასე თუ ისე, ყველა მხარეს აძლევს ხელს. საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურები ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა და ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გავლენას ახდენდა მასზე ციხეში ჩაჯდომის თუნდაც მინიმალური საფრთხე. ახლახან კიევში გისოსებს მიღმა სულ რაღაც 24 საათი გაატარა და ამის შემდეგ: ა) პრეზიდენტ პოროშენკოს ცნობილი „მონანიების წერილი“ გაუგზავნა; ბ) შეწყვიტა საპროტესტო გამოსვლები კიევის ცენტრში (ამისთვის 17 დეკემბერს მოაწყო ერთ-ერთი შენობის, ე.წ. ოქტომბრის სასახლის შტურმი, სადაც საბავშვო ზეიმი იმართებოდა; ხოლო მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა მოიგერიეს, განაცხადა, რომ აქციებს დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით წყვეტს). ამასთანავე, სააკაშვილმა მოუწოდა მომხრეებს, რომ მის დეპორტაციაზე ზედმეტად მკვეთრი რეაგირება არ მოახდინონ.

საბოლოო ჯამში, დეპორტაცია მისთვის ექსტრადიციისგან გაქცევის საუკეთესო საშუალება იყო, რადგან „სახის შენარჩუნების“ (რა დარჩა შესანარჩუნებელი, ძნელი სათქმელია, მაგრამ მაინც) შესაძლებლობას აძლევდა. პლუს ამას, მომდევნო დღეს სააკაშვილს, კიევის სვიატოშინოს რაიონულ სასამართლოში, როგორც მოწმეს, უნდა მიეცა ჩვენება „მაიდნის“ დახვრეტის საქმეზე — დიდი ალბათობით, საუბარი ქართველი სნაიპერების შესაძლო მონაწილეობას შეეხებოდა და, შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის კავშირებს მათთან. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ **უკრაინელი სამართალდამცავები აგრძელებენ მუშაობას იმ საქმეზე, რომლის ფარგლებში შეიძლება სააკაშვილისა და უკრაინიდან გაქცეული ოლიგარქის, კურჩენკოს, დანაშაულებრივი კავშირი გამოიკვეთოს.**

მნიშვნელოვანი დეტალი: ჰოლანდიური გამოცემა „ენ-ერ-სი ჰანდელბლატის“ ცნობით (ევა კუკერის 15 თებერვლის სტატია), სააკაშვილის ადვოკატმა ჰამერშტაინმა განაცხადი თავისი კლიენტისთვის ბინადრობის უფლების მინიჭების თაობაზე 2017 წლის მიწურულს შეიტანა. ეს ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ სააკაშვილი „სათადარიგო აეროდრომს“ წინასწარ ამზადებდა. ამ ეტაპზე ფიგურანტს დროებითი, 90-დღიანი ბინადრობის უფლება მიანიჭეს, იქიდან გამომდინარე, რომ მისი მეუღლე ნიდერლანდების მოქალაქეა.

უკრაინაში კი იურიდიული „ბერმუდის სამკუთხედი“ შეიქმნა — მიმდინარეობდა საქართველოში ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურები, ამასთანავე — გამოძიება „კურჩენკოს საქმეზე“ და „მაიდნის“ დახვრეტაზე, მაგრამ ამავე დროს არსებობდა სააკაშვილის ქვეყნიდან გაძევების იურიდიული საფუძველი. უკრაინის რადის რწმუნებული ადამიანის უფლებების საკითხებში — **ვალერია ლუტკოვსკაია** აცხადებს, რომ სააკაშვილის რეადმისია პოლონეთში კანონიერი იყო, თუმცა მისი განხორციელების ფორმებთან დაკავშირებით კითხვები აქვს. **პრეზიდენტ პოროშენკოს შეეძლო, საქმე სამი სხვა მიმართულებით წაეყვანა, მაგრამ მან, როგორც ჩანს, საუკეთესო ვარიანტად დეპორტაცია ჩათვალა. შესაძლოა, იფიქრა, რომ დეპორტაციას დასავლეთში ნაკლები კრიტიკა მოჰყვებოდა. ამავე დროს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ პოროშენკოს სააკაშვილისგან (ორუელის „1984“-ს თუ გავიხსენებთ) ერთგვარი ემანუელ გოლდსტეინის შექმნა სურს, რომელიც მისთვის დაახლოებით იმავე როლს შეასრულებს, რასაც ტროცკი — სტალინისთვის ან გიულენი — ერდოღანისთვის, ანუ საზღვარგარეთ მყოფი, სახელგანთქმული, მაგრამ დაუძლურებული მტრის სახის, რომელსაც რეალური საფრთხის შექმნა არ შეუძლია. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ ორი ხსენებული მოღვაწის მასშტაბი გაცილებით დიდია და მათი შედარება სააკაშვილთან არ შეიძლება, თუმცა არც პოროშენკოა ტიტანი და სააკაშვილთან ერთად ერთ წონით კატეგორიაში ასპარეზობს.**



**ფიგურანტი აშკარად მენტალური არასტაბილურის სტადიაში იმყოფება — ხან ყვება, როგორ გადაარჩინა ბებიამისმა სტალინი; ხან ამბობს, რომ ქართული სახელმწიფო დააარსა, და იწყებს იმის მტკიცებას, რომ არ ჩაუსველებია, როდესაც რესტორანში სპეცრაზმი შევარდა**

მიხეილ სააკაშვილი საუკეთესო კანდიდატია „გოლდსტეინის“ როლზე (ამ როლს ივანიშვილისთვის 2013 წლიდან ასრულებს) არა მარტო იმიტომ, რომ მისი პარტია სუსტია, ბარიერის გადალახვაზე ოცნებაც არ შეუძლია და ძალთა სრული მობილიზაციის პირობებშიც კი ქუჩაში 15 ათას კაცზე მეტი (უკრაინაში!) ვერ გამოჰყავს. მთავარია, რომ **სააკაშვილსა და უკრაინელების ძირითად მასას შორის მუდამ იარსებებს გაუცხოების ბარიერი და ამის მთავარი მიზეზი სააკაშვილის ეროვნება და მოქალაქეობა როდია (თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ამ ფაქტორსაც აქვს). პრობლემის არსი, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინელები გრძნობენ პოტენციური დიქტატორის დაუკმაყოფილებელ ამბიციებს და მისგან დისტანცირება სურთ**. თუ პოროშენკო ასე ნებისმიერ უკრაინელ პოლიტიკოსს მოექცეოდა, მისი რეიტინგი, სავარაუდოდ, გაორმაგდებოდა, მაგრამ სააკაშვილის შემთხვევაში ეს არ მომხდარა. „სააკაშვილის სწრაფი დაცემა იმის შედეგია, რომ მან არასწორად გაიგო უკრაინის პლურალისტული პოლიტიკა. ამ ქვეყანაში ადამიანები დროდადრო აბრუნებენ პოპულისტებს ხელისუფლებაში, მაგრამ არასოდეს ენდობიან სრულად და არ ალმერთებენ თავის ლიდერებს“, — ეს საგულისხმო მოსაზრება „ატლანტიკური საბჭოს“ უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, **ადრიან კარატნიცკის**, ეკუთვნის.

სამწუხაროდ, ძირითადი აქცენტი ბოლო დღეებში თმით თრევასა და დასველებულ სკამზე კეთდება, მაშინ, როდესაც გაცილებით მნიშვნელოვანია იმ ოპოზიციური პარტიების დაკვირვება, რომელთაც სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაერთიანებისკენ მოუწოდა (ეს „სკამის ინციდენტამდე“ ერთი დღით ადრე მოხდა). ცხადია, რეაქცია ნეგატიური იყო, რადგან სააკაშვილი გაკოტრებული ფიგურაა. საინტერესო იყო სხვა რამ, **რესპუბლიკური პარტიისა და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებმა მკაფიოდ და ცალსახად არ გამოხატეს, რომ ძველი რეჟიმის ნარჩენებთან — „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და „ევროპულ საქართველოსთან“ — აპრიორი არ გაერთიანდებიან.**

**მათთვის, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა, «ევროპული საქართველო» და «ნაცმოძრაობა» ერთნაირად მიუღებელი ძალებია და ნებისმიერ თანამშრომლობას მათთან დანაშაულებრივ აქტად განიხილავს**

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი კოალიციის ყოფილი წევრი პარტიების გავლენა და რეიტინგი ამ ეტაპზე მიკროსკოპულია, ამ ნიუანსს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით „ევროპული საქართველოსთვის“. ამ პოლიტიკურ გაერთიანებას სააკაშვილთან რიტორიკული დაპირისპირებით („დეგრადირებული ლიდერი“ და ა.შ.), სავარაუდოდ, ყოფილი ბელადისგან დისტანცირება სურს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იზოლაციის გარღვევას, რომელშიც „ნაცმოძრაობასთან“ ერთად იმყოფება. თუნდაც სიმბოლური ალიანსი რესპუბლიკელებთან და „თავისუფალ დემოკრატებთან“ ბოკერია-უგულავას ჯგუფს, როგორც ოპოზიციურ ძალას, პროდასავლური ამომრჩევლის თვალში დამატებით ლეგიტიმურობას შესძენს. წინა წლებში ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დღეს რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“, სახელის (გნებავთ, ფირნიშის) გარდა, თითქმის არაფერი დარჩათ. ასეთ ვითარებაში იმის ალბათობა, რომ „ევროქართველებთან“ გარიგებაზე წავლენ, იზრდება. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე, იგივე გიორგი მარგველაშვილსაც ეხება, თუმცა ის, სავარაუდოდ, შეეცდება, გარკვეული დისტანცია შეინარჩუნოს და „ევროპულ საქართველოს“ არ ჩაეხუტოს.

**მათთვის, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა, „ევროპული საქართველო“ და „ნაცმოძრაობა“ ერთნაირად მიუღებელი ძალებია და ნებისმიერ თანამშრომლობას მათთან დანაშაულებრივ აქტად განიხილავს.** შესაბამისად, აუცილებლად ჰკითხავენ რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“, რა აქვთ საერთო იმ ადამიანებთან, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობას, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევას თუ პატიმრების წამებას „აპრავებდნენ“ ან შესაბამის პროცესებში უშუალოდ მონაწილეობდნენ. სააკაშვილის ძველი, თანმიმდევრული მოწინააღმდეგეები ვერ ხედავენ არსებით სხვაობას გიგა ბოკერიასა და მეგის ქარდავას შორის, ამიტომ „ევროპული საქართველოს“ იზოლაციიდან გაყვანის მცდელობაზე, სავარაუდოდ, ძალზე ნერვული რეაქცია ექნებათ. ეს ძალიან საინტერესო ტესტია — პოლიტიკური მიზანშეწონილობა, ერთი შეხედვით, უბიძგებს რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“, „ევროპულ საქართველოსთან“ ითანამშრომლონ, მაგრამ, თუ ამას გააკეთებენ, მანევრის შესაძლებლობას, სავარაუდოდ, სამუდამოდ დაკარგავენ. საინტერესოა, მომწიფდნენ თუ არა ამ ნაბიჯისთვის.

ვაი ჩვენს პატრონს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ლოგიკით, უცხოეთში ჩვენს თანამემამულეებს ქურდობისა და ყაჩაღობისთვის რომ აკავებენ, თურმე რუსული პროპაგანდის შედეგი ყოფილა. ქვეყანა რომ უკიდურეს გაჭირვებაშია და საზღვარგარეთ წამსვლელთა რაოდენობა გაორმაგდა, ესეც რუსული პროპაგანდის ნაწილი ყოფილა.**

# ჯანელიძე, ჯონჯოლი და დასაქმება



**საქართველოს მთავრობამ ვიზალიბერალიზაციის თემაზე საგანგებო თათბირი გამართა და სამოქმედო გეგმა დასახა ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შესამცირებლად. პრემიერის განცხადებით, თავიდან უნდა ავიცილოთ გართულება იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ეს პრობლემა რეალურად დგას.**

დღის წესრიგშია საკითხი, რომ უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევისთვის სანქციები გამკაცრდეს, დაწესდება ფულადი ჯარიმაც. დეპორტირებული მოქალაქე დეპორტაციის ხარჯებს თვითონ გადაიხდის, გართულდება გვარის შეცვლის პროცედურებიც. ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა დავალება საგანგებო თათბირზე მიღეს. საკანონმდებლო ცვლილებებზე მინისტრთა კაბინეტი მუშაობს. სანქციების გამკაცრება დღის წესრიგში ევროკომისიის დასკვნის შემდეგ დადგა. ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებიდან 10 თვის შემდეგ საქართველომ პირველი გაფრთხილება მიიღო. მთავარ გამოწვევად თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მატება დასახელდა. პრობლემად დასახელდა ორგანიზებულ დანაშაულში ქართველების მონაწილეობაც. რადგან ხელისუფლებამ ამ საკითხზე საგანგებო თათბირი მოიწვია და კანონის გამკაცრებაზე საუბრობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება დიდი პრობლემის წინაშე დგას და, სავარაუდოდ, ვითარება გაცილებით რთულია, ვიდრე ეს საზოგადოებისთვისაა ცნობილი.

საგარეო საქმეთა მინისტრ **მიხეილ ჯანელიძის** ინფორმაციით, მის უწყებას იდენტიფიცირებული ჰყავს გარკვეული ჯგუფები, რომლებთანაც დაიწყება მუშაობა ევროპაში თავშესაფრის ძიების საფრთხეებზე ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

როგორც საგარეო ურთიერთობებისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა, გამოიკვეთა ორი კატეგორიის ადამიანები, რომლებიც ევროპაში თავშესაფარს ეძებენ.

„ჩვენ გვაქვს გარკვეული მონაცემები, მაგრამ მეტი კვლევა და მეტი ანალიზია საჭირო. ძირითადად იკვეთება ორი ჯგუფი: პირველი — ვინც აზიანებს გარემოს და ხელს უწყობს სტატისტიკის ზრდას. ესენი არიან, პირველ რიგში, ისინი, ვინც თავშესაფარს იყენებს კრიმინალური აქტივობისთვის და ეს არის შემაწუხებელი, მიუხედავად იმისა, რომ ციფრები დიდი არ არის; მეორე ჯგუფი კი არის ის, რომელიც სოციალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად ცდილობს თავშესაფრის მიღებას. ამ შემთხვევაში ისინი კიდევ უფრო დიდი რისკისა და პრობლემის წინაშე აყენებენ საკუთარ თავს. მაგალითისთვის — შვედეთის სტატისტიკით, თავშესაფრის მოთხოვნის დაახლოებით 1000-მდე განაცხადი იყო შესული და შარშან არც ერთი დაკმაყოფილდა. გამოდის, რომ ეს ადამიანები იმ მწირ რესურსსაც კარგავენ, რომელიც მათ აქვთ, ზოგ შემთხვევაში წასასვლელად სახლებსაც კი აგირავებენ და სესხულობენ თანხას და ამასაც კარგავენ, რადგან თავშესაფრის მოთხოვნის უდიდესი ნაწილი არ კმაყოფილდება“, — განაცხადა ჯანელიძემ.

მისივე თქმით, იდენტიფიცირებულია სამიზნე ჯგუფები, რომლებთანაც დაიწყება მუშაობა საფრთხეების კუთხით.

„სამიზნე ჯგუფები გარკვეულწილად იდენტიფიცირებული გვყავს და გვსურს, კამპანიის ფარგლებში ჩვენ ამ ჯგუფებამდე მივიტანოთ ინფორმაცია, თუ რა საფრთხეების წინაშე დადგებიან ისინი, როდესაც ბოლო შესაძლებლობას გამოიყენებენ წასასვლელად, მაგრამ იქ ვერ მიიღებენ იმას, რასაც ელიან. არც ვიზალიბერალიზაცია და არც თავშესაფარი არ ემსახურება სოციალური პირობების დაკმაყოფილებას. ძალიან კარგად მუშაობს ასევე რეადმისიის შეთანხმება და იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ვიბრუნებთ, ვცდილობთ, გვქონდეს შესაბამისი პროგრამები რესოციალიზაციისთვის. გვინდა, საჯარო სამსახურების ვაკანსიები ხელმისაწვდომი გავხადოთ უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, რათა მათ არ მოუწიოთ იქ დარჩენა და სამუშას ძებნა საზღვარგარეთ“, — განაცხადა ჯანელიძემ.

„ქართული ოცნების“ არაადეკვატურობა ყოველგვარ ზღვარს რომ სცდება, არახალია, თუმცა **არაადეკვატურობა და არაპროფესიონალიზმი — ეს რბილი შეფასებებია საგარეო საქმეთა მინისტრის მისამართით, რომელმაც ვიზალიბერალიზაციის გარშემო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების სახელმწიფო სამსახურებში დასაქმება შემოგვთავაზა. სახელმწიფო სამსახურების მიერ გამოცხადებული ვაკანსიით დასაქმება ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის რომ „ოცნების სფეროა“, ესეც საყოველთაოდ ცნობილია და არც არავის აქვს ილუზია, რომ გამოცხადებული ვაკანსიით სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმდეს, მაგრამ ჯანელიძე ამ გზით აპირებს უცხოეთში გადახვეწილი საქართველოდან მოქალქეების უკან დაბრუნებას.** საინტერსეოა, სახელმწიფო სტრუქურებში რამდენი ემიგრანტი შეიძლება დასაქმდეს, რომ ამით პრობლემა მოაგვაროს „ოცნების ხელისუფლებამ“. 100 ქარხნის აშენებას რომ ჰპირდებოდა „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს, იქნებ, იმ ქარხნებში შესათავაზონ დასაქმება ოჯახის გამოსაკვებად უცხოეთში გადახვეწილ თანამოქალაქეებს? ქვეყანაში დასაქმების პერსპექტივა რომ მხოლოდ საჯარო სამსახურია, ეს, ალბათ, „საოცნებო მეოთხე წელიწადის“ შედეგია. და, რადგან ხელისუფლებას ვიზალიბერალიზაციის შეჩერების თავიდან ასაცილებლად უფრო გონივრული გამოსავალი არ აქვს, ალბათ, არც ის უნდა გაუკვირდეს არავის, რომ მოკლე დროში საქართველოსთვის შენგენის ქვეყნებში ვიზალიბერალიზაცია შეჩერდება, რა თქმა უნდა, თუ უკვე შეჩერებული არაა...

**P.S. საგარეო საქმეთა მინისტრზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კაცი მართლა ჯონჯოლივითაა... როგორც იტყვიან, თუ ჯონჯოლი სუფრაზე არ დევს, არც არავინ მოიკითხავს. ასეა ჯანელიძის საქმეც — სანამ რამე სისულელეს არ იტყვის, მისი არსებობაც არავის ახსენდება.**

# ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხე, რუსული პროპაგანდის კი არა, დანაშაულის კონკრეტული ფაქტებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების შედეგია



**პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ე.წ. ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხის შესახებ საგანგებო თათბირი გამართა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის შესაძლო ამოქმედებაზე ალაპარაკდა, გერმანიის ხელისუფლებაა. ამის შესახებ გერმანიის შს მინისტრმა ტომას დე მეზიერმა მიუნხენის უსაფრთხოების სამდღიანი კონფერენციის ფარგლებში საქართველოს დელაგაციასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მიუნხენში მყოფ საქართველოს დელეგაციას ქვეყნის პრემიერმინისტრი ხელმძღვანელობდა. სწორედ ვიზალიბერალიზაცია იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც საქართველოს წარმომადგენლებს შეხვედრებისას საუბარი მოუწიათ.**

გერმანია შეშფოთებას გამოთქვამს თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ტენდენციის გამო და აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი არ იქნას გამოყენებული. რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ უვიზო მიმოსვლის ე.წ. შეჩერების მექანიზმის ამოქმედების მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი აბაშიშვილიც** გამოეხმაურა: „ჩვენ ორ ფაქტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება. პირველ რიგში, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ის მონაპოვარი, როგორიც არის ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილება, მონაპოვართან ერთად, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რათა რეალურად ვისარგებლოთ იმ სიკეთეებით, რომლებსაც გვაძლევს ვიზალიბერალიზაცია. საჭიროა, ვიყოთ უფრო ფრთხილად; შესაბამისად, მეტი ვესაუბროთ ჩვენს ირგვლივ მყოფებს იმ სიკეთეებსა და საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება სიფრთხილის არარსებობის შემთხვევაში ჩვენ წინაშე დადგეს. ვიზალიბერალიზაცია არის უმნიშვნელოვანესი სარგებელი და დიდი პასუხისმგებლობა, ეს კიდევ ერთხელ უნდა გავაცნობიეროთ. რაც შეეხება შეჩერების რისკებს, ამ ეტაპისთვის ეს არ არსებობს, მაგრამ, საზოგადოდ, ევროპაში გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეების შესახებ, კრიმინალთან დაკავშირებულს ან ა.შ., დიდი ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ამ ინფორმაციის წარმომავლობის წყაროს. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან დიდი პროპაგანდისტული მტერი რუსეთის სახით, რომელიც ხშირ შემთხვევაში დიდი სიამოვნებით ეცდება მაქსიმალურად ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს შესახებ და მათ შორის ვიზალიბერალიზაციის შესახებ, რომლითაც სრულიად არ არის ბედნიერი. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში ეს არსებობდეს. ეს ფაქტორი არსებობს და ამის იგნორირება არ შეიძლება“, — განაცხადა აბაშიშვილმა.

**„საქართველო და მსოფლიო“ მეტი თვალსაჩინოებისა და დაფიქრებისთვის რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს შეგახსენებთ:**

1. საბერძნეთში ბინების ქურდობის ბრალდებით საქართველოს ხუთი მოქალაქე, მათ შორის, ე.წ. კანონიერი ქურდიც დააკავეს. საქართველოს შს სამინისტროს ცნობით, სპეცოპერაცია ოთხთვიანი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ჩატარდა. სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს;

2. ფრანგმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში საქართველოს მეორე მოქალაქის დაჭრაშია ეჭვმიტანილი;

3. ავსტრიაში მაღაზიების ძარცვის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. 25 და 31 წლის ქართველები ქალაქ პინკაფელდში აიყვანეს. ერთ-ერთ მათგანს 6 ათასი ევროს ღირებულების სუნამოების მოპარვა ბრალდება, თუმცა დაკავებულები ეჭმიტანილნი არიან სხვა მსგავსი დანაშაულის ჩადენაშიც 9 სხვადასხვა ქალაქში;

4. ესპანეთში დააპატიმრეს საქართველოს სამი მოქალაქე. მათ ბრალად ედებათ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა და ექვსი სახლის გაძარცვა. სამართალდამცველებმა ნაქურდალის ნაწილი — ელექტრონული მოწყობილობები, საიუველირო ნაკეთობები, ნაღდი ფული, მობილური ტელეფონები, დაზარალებულთა პერსონალური დოკუმენტები და სახლში შესაღწევად საჭირო ხელსაწყოები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს;

5. ესპანეთისა და საქართველოს კრიმინალური პოლიციის, აგრეთვე, ესპანეთის სამეფოში საქართველოს პოლიციის ატაშეს თანამშრომლობით დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. შსს-ს ცნობით, ესპანეთის სამეფოს ქალაქებში — მადრიდსა და ბარსელონაში — ერთდროულად ჩატარდა მასშტაბური სპეცოპერაცია, რომლის შედეგად დაკავებულია 23 პირი, მათ შორის, საქართველოს 19 მოქალაქე;

6. გერმანიასა და იტალიაში ქურდობის ბრალდებით დააკავეს საქართველოს 28 მოქალაქე. იტალიური მედიის ცნობით, ადგილობრივი პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სმართალდამცველებმა ქალაქ რეჯიო-ემილიაში იპოვეს საცავი, რომელშიც დამნაშავეები მოპარულ ნივთებს ინახავდნენ, შემდეგ კი საქართველოში აგზავნიდნენ. გამოძიების ინფორმაციით, ქართველების დაჯგუფებამ იტალიის სხვადასხვა რეგიონში 87 სახლი და ოფისი გაქურდა;

7. გერმანიის ქალაქ აუგსბურგში მაღაზიიდან პრინტერის კარტრიჯების ქურდობისთვის პოლიციამ საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მაღაზიის თანამშრომელმა დაინახა, როგორ მალავდა პრინტერის კარტრიჯებს ქურთუკის ქვეშ ერთ-ერთი მომხმარებელი და პოლიცია გამოიძახა.

ეს ძალიან მცირე ჩამონათვალია იმ კრიმინალური ფაქტებისა, რომელთა შესახებაც თითქმის ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია. **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ლოგიკით, უცხოეთში ჩვენს თანამემამულეებს ქურდობისა და ყაჩაღობისთვის რომ აკავებენ, თურმე რუსული პროპაგანდის შედეგი ყოფილა. ქვეყანა რომ უკიდურეს გაჭირვებაშია და საზღვარგარეთ წამსვლელთა რაოდენობა გაორმაგდა, ესეც რუსული პროპაგანდის ნაწილი ყოფილა!** მალე, ალბათ, იმასაც იტყვით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პატივცემულო უფროსო, რომ **გიორგი მარგველაშვილის** პრეზიდენტობაც რუსული პროპაგანდის ნაწილია და წარმოიდგინეთ — თქვენი წონის მკვეთრად შემცირებაც კი. ხანდახან, წონასთან ერთად, ტვინის განლევასთანაც რომ გვაქვს საქმე, ესეც რუსული პროპაგანდის ნაწილია და, საერთოდ, რაც ჩვენს თავს, ჩვენივე უგუნურებით ხდება, ყველაფერი რუსული პროპაგანდის ბრალია!

**P.S. ურიგო არ იქნებოდა, მაღალჩინოსნები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთ ნათქვამს. საკუთარი უუნარობის, უგნურების, უზნეობის, უცოდინარობის, უსაქმურობის სხვისთვის გადაბრალება გამოსავალი არ არის. ფაქტია: ემიგრაციაში წამსვლელთა და უცხოეთში დანაშაულის ჩამდენთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა და ამიტომ ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერება, პროპაგანდის კი არა, კონკრეტული ფაქტებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების შედეგია.**

გვერდი მოამზადა **გიორგი გელაშვილმა**

**იმ ფაქტიდან, რომ სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს ხოცავდა, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ „ქართული ოცნება“ კარგია და ხელისუფლებაში სამუდამოდ უნდა დარჩეს.**

პრობლემა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა ანგარიშები, რომლებშიც შეფასებულია თბილისის მერიის მუშაობა 2015-16 წლებში. ეს დოკუმენტები საკმაოდ არასახარბიელო სურათს ასახავს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 2014 წელს ბიძინა ივანიშვილის მიერ თბილისის მერობის კანდიდატად დავით ნარმანიას დასახელება, როგორც მინიმუმი, მძიმე შეცდომა იყო.**

# ნარმანიას მერობა — შეცდომა თუ დანაშაული?

## სად პოულობს «ქართული ოცნება» და პირადად ბიძინა ივანიშვილი ასეთ კადრებს?

ამ დღეებში ხშირად ახსენებენ „აუდიტის სამსახურის ანგარიშს“, თუმცა სიზუსტისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმე არა ერთ, არამედ სხვადასხვა დოკუმენტებს ეხება — „2015-16 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის „გამწვანების ღონისძიებების პროგრამის“ ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს“ და „2015-16 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს“.

პირველი დოკუმენტი ასახავს იმ სურათს, რომელიც თბილისში მილიონი ხის დარგვის წინასაარჩევნო დაპირების შესრულების წარუმატებელი მცდელობის შედეგად შეიქმნა. ციტატა: „მერიამ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დენდროლოგიური პარკისა და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგო 398 ათასზე მეტი ხე-მცენარე. პროცესის მიმდინარეობისას დაშვებულია შემდეგი ხარვეზები:

— 2015 წლის განმავლობაში ხე-მცენარეების დარგვისა და მოვლის სამუშაოები მერიამ შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. საშემოდგომო პერიოდისთვის მერიას შეეძლო ელექტრონული ტენდერის გამოყენება. გამარტივებული შესყიდვის განხორციელებით, მერიამ დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

— მუნიციპალიტეტმა საგაზაფხულო რგვებზე ამოიღო დარგულ ნერგებზე მეტი ორმოები, შესაბამისად, ზედმეტად ამოღებული ორმოების ღირებულება არაეფექტიან ხარჯს წარმოადგენს.

— განაშენიანებული ნარგაობების დაახლოებით მესამედი გამხმარია ან აღარ არსებობს. გაფორმებული ხელშეკრულებით, შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესები საკმარისად არ იყო დაცული. კერძოდ, ხელშეკრულების პირობები გამხმარი ნარგაობების ჩანაცვლებას არ ითვალისწინებდა. შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ხემცენარეების სრულად განაშენიანება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა ცალკეულ შემთხვევებში არ/ვერ გამოიყენა საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მიმართული შესაბამისი ფინანსური რესურსი“.

ამ ტექსტიდან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ან გამწვანებასთან დაკავშირებული მანიპულაციები გაქანებული კორუფციის წყაროს წარმოადგენდა, ან საქმე ძალიან არაეფექტურ მენეჯმენტთან გვაქვს. ერთი მეორეს, პრინციპში, არ გამორიცხავს, თუმცა **ის ფაქტი, რომ „ნარგაობების დაახლოებით მესამედი გამხმარია“ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროცესს კლინიკური იდიოტები ხელმძღვანელობდნენ.** გარკვეულ ეჭვს „ზედმეტი ორმოების“ ეპიზოდიც იწვევს — გაუგებარია, სამუშაოებს ვიღაც ნაგიჟარი სტახანოველი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ნორმა გადაჭარბებით შეასრულა, თუ ნერგების ნაწილი, უბრალოდ, გაუჩინარდა. ან იქნებ ერთმა რგოლმა მეორეს სწორი ციფრები არ მიაწოდა იმიტომ, რომ კალკულატორს ვერ მოერია? რაც შეეხება ტენდერებს და მათ პირობებს — საქართველოში, სავარაუდოდ, არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ამ მიმართულებით კორუფციულ გარიგებებს ადგილი არ აქვს.

მეორე ანგარიში, რომელიც ქონების მართვას ეხება, საზოგადოების ყურადღება, უპირველესად, ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებულმა მონაკვეთმა მიიპყრო. საქმე ისაა, რომ მის იმ კომპანიას „ბი ეს არ — სი დი ჯი დეველოპმენტს“ მერიამ მისთვის საინტერესო მიწის ნაკვეთი უკონკურენტო გარემოში მიჰყიდა, რაც შემზღუდავი პირობის დაწესების გამო მოხდა, რომელიც მხოლოდ ამ კომპანიას აძლევდა ხელს. ამასთანავე, ანგარიშში ნათქვამია: „საექსპერტო დასკვნების ანალიზით გაირკვა, რომ რეგისტრირებულ ფართზე შემზღუდავი პირობის გამო საპრივატიზებო ღირებულება შემცირებულია 40%-ით. დანარჩენ შემთხვევებში აღნიშნულია, რომ ფასის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ის შეზღუდვა, რომელსაც ითვალისწინებს მიწის მესაკუთრე ქონების გასხვისებისას, ხოლო კონკრეტულად რამდენი პროცენტით დაკორექტირდა ფართობის ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული არ არის. შესაბამისად, საწყისი ფასი დგინდება საბაზროზე ნაკლები ღირებულებით, უმეტეს შემთხვევაში შეზღუდვით გამოცხადებული აუქციონი ტარდება უკონკურენტო გარემოში, გამარჯვებული პრეტენდენტი საწყის ფასს უმატებს მხოლოდ ბიჯს და საბოლოოდ ფართობის პრივატიზება ხდება საბაზროზე ნაკლები ღირებულებით. აღსანიშნავია, რომ მყიდველი პრივატიზებულ ფართობს აერთიანებს თავის საკუთრებაში არსებულ მომიჯნავე ფართობთან. შედეგად, მშენებლობაზე დაწესებული შეზღუდვა უქმდება და რიგ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეებს მიღებული აქვთ მშენებლობის ნებართვა“.

რაც შეეხება ხსენებული კომპანიისთვის გზის გაყვანით მიღებული ზარალის ანაზღაურებას, აუდიტის ანგარიშში ნათქვამია: „ გასაცემი კომპენსაცია ზარალის მიყენების პერიოდში (2012 წელს) იქნებოდა დაახლოებით 513.3 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც პროცესის გაჭიანურების გამო, მერიის მიერ ზარალი შეფასდა და ანაზღაურდა 2 615.1 ათასი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთით“.



**აუდიტის ანგარიშებმა ნამდვილად შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ნარმანიას მმართველობის პერიოდში თბილისის მერიაში კორუფცია, ნეპოტიზმი და არაპროფესიონალიზმი სუფევდა. უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა ზომებს მიმართავს ამასთან დაკავშირებით პროკურატურა...**

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის — გიორგი მამრიკაშვილის თქმით, მისმა სამსახურმა გამოავლინა მიმიმუმ 10 შემთხვევა (500 შესწავლილიდან), როდესაც მერიის მიერ შემზღუდავი პირობის დაწესება შეიძლება მორგებული ყოფილიყო კონკრეტული პირების ინტერესებზე. ფარცხალაძის კომპანიასთან დაკავშირებულმა ისტორიამ მისი სამსახურის ანგარიშში გამორჩეული ადგილი დაიკავა.

აქ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ კადრების შერჩევის თემას, რომელიც „ქართული ოცნებისთვის“ საკმაოდ მტკივნეულია. როდესაც ფარცხალაძე 2013 წლის 21 ნოემბერს მთავარ პროკურორად დანიშნეს, პრაქტიკულად დაუყონებლივ დაიწყო სკანდალი, იმის გამო, რომ 2001 წელს ის გერმანიაში გაასამართლეს („ნაცმოძრაობის“ ვერსიით, ქურდობისთვის ან ყაჩაღობისთვის, დროდადრო ბოტასების მოპარვასაც ახსენებდნენ, ფარცხალაძე კი ამბობდა, რომ პოლიციასთან შელაპარაკება მოუვიდა). შემდეგ ყურადღების ცენტრში მისი დიპლომი მოხვდა, ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ ფარცხალაძემ ის 19 წლის ასაკში აიღო, და ზოგიერთი სხვა გარემოება. საბოლოოდ, ამდენი ხმაურის შემდეგ იმავე წლის 30 დეკემბერს ფარცხალაძემ თანამდებობა დატოვა, თუმცა, დაუდასტურებელი ინფორმაციით, კვლავინდებურად დიდ გავლენას ახდენდა პროკურატურის მუშაობაზე, ზოგიერთი კომენტატორი მას ჩრდილოვან გენპროკურორად თვლიდა.

2017 წლის მაისში ოთარ ფარცხალაძე მორიგ სკანდალში გაეხვია, როდესაც მას აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელ ლაშა თორდიასთან კლუბ „ელ ცენტროში“ სერიოზული კონფლიქტი მოუხდა. ნაცემი თორდია მაშინ აცხადებდა, რომ ფარცხალაძე მას თავს აუდიტის სამსახურის საქმიანობის გამო დაესხა: „ეს იყო ანგარიშსწორება, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ საქმეს, სადაც ფარცხალაძის სახელი და გვარი ფიგურირებს“. მაშინ თორდიას ყველამ როდი დაუჯერა, რადგან ის მჭიდროდ თანამშრომლობდა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებთან, აგრეთვე, პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მას ცუდი სიმთვრალე აქვს.

ახლახან კი გავრცელდა აუდიტის სამსახურის ანგარიში, რომელიც აჩენს სერიოზულ ეჭვს, რომ მერიისა და ფარცხალაძის კომპანიის გარიგებას დანაშაულებრივი ხასიათი ჰქონდა. თუ ჩვენ კიდევ ერთხელ გადავიკითხავთ სიას იმ თავგადასავლებისა, რომლებიც ბოლო წლებში ოთარ ფარცხალაძეს გადახდა, ალბათ, სავსებით ლეგიტიმურად გაგვიჩნდება კითხვა: სად პოულობს „ქართული ოცნება“ და პირადად ბიძინა ივანიშვილი ასეთ კადრებს?

**2016 წლის ივლისში, როდესაც ფარცხალაძის კომპანიამ მერიას ნაკვეთის თაობაზე მიმართა, ყველამ იცოდა, რომ ეს პიროვნება ყურადღების ცენტრშია და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი არათუ საეჭვო, არამედ უბრალოდ ორაზროვანი ეპიზოდი ფართო განხილვის საგანი გახდება. მიუხედავად ამისა, მერიას ელემენტარული სიფრთხილის გამოვლენა აზრადაც არ მოსვლია და საქმე ისე წაიყვანა, რომ მან აუდიტის ანგარიშში ცენტრალური ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რა დგას ამის უკან — წინდაუხედაობა თუ თავხედობა?**

დავით ნარმანია ამ თემაზე საუბრისას ყოველთვის ამბობს, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში მეტი დარღვევა იყო. ეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ცნობილი არგუმენტია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, საზოგადოებამ ეს შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალოს. **იმ ფაქტიდან, რომ სააკაშვილის რეჟიმი ადამიანებს ხოცავდა, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ „ქართული ოცნება“ კარგია და ხელისუფლებაში სამუდამოდ უნდა დარჩეს.**

**აუდიტის ანგარიშებმა ნამდვილად შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ნარმანიას მმართველობის პერიოდში თბილისის მერიაში კორუფცია, ნეპოტიზმი და არაპროფესიონალიზმი სუფევდა. უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა ზომებს მიმართავს ამასთან დაკავშირებით პროკურატურა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ის ფარცხალაძის წინააღმდეგ წავიდეს.** თბილისის ახალი მერი კახი კალაძე, ერთი მხრივ, ნარმანიას მმართველობის პერიოდისგან დისტანცირებას ცდილობს. განსაკუთრებით მკაფიოდ მან ეს ვარკეთილის მეტროში ჭერის ჩამონგრევის და მუხიანის სპორტულ კომპლექსში სტუმრობის (უხარისხო სამუშაოების კრიტიკა) დროს გამოავლინა, მაგრამ ეს ეპიზოდები, ისევე, როგორც აუდიტის დასკვნები, უბიძგებს საზოგადოებას, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური, გუნდური პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. კალაძე კი მისი ნაწილია, შესაბამისად, ის ვერ გაემიჯნება ნარმანიას ისე ცალსახად, როგორც ნარმანია — უგულავას, მითუმეტეს, თუ პერიოდულად თანაგუნდელების ინტერესების დაკმაყოფილება მოუწევს. არჩევიდან მცირე დროში კალაძე უკვე აღმოჩნდა საბავშვო ბაღების კვებით მომარაგებასთან დაკავშირებული სკანდალის ეპიცენტრში და მისი მდგომარეობა გაუარესდება, თუ საზოგადოება დაიჯერებს, რომ ტენდერის ჩატარების დროს მერიამ ბიძინა ივანიშვილის ძმის, ადიკოს, ინტერესები გაითვალისწინა, რომელიც, ოპოზიციის მტკიცებით, შპს „ნილის“ უკან დგას. **კალაძეს არ შეუძლია, გაემიჯნოს სისტემას, რომლის ნაწილიც არის და, შესაბამისად, მისი გვარი სულ უფრო ხშირად გაიჟღერებს ისეთი საქმეების კონტექსტში, რომლებმაც მისი წინამორბედის იმიჯი და ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა.**

**ლუკა ნემსაძე**

კრიმინალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი მედიისა და საზოგადოების შეკითხვებზე კრიმინალური შემთხვევების მომატების შესახებ ხშირად არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია. რეალობის ასახვისა და მდგომარეობის სათანადოდ შესაფასებლად კი მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, აქვს თუ არა სახელმწიფოს დანაშაულთან ბრძოლისა და მისი პრევენციის სტრატეგია.**

# «სიცოცხლით სავსე ქალაქის» სისხლიანი ქრონიკები

**მძიმე სოციალური პრობლემების შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, საუბრობს და მაგალითად ბოლო პერიოდში მომხდარი კრიმინალური ფაქტები მოჰყავს.**

## 2018 წლის პირველი 23 დღის განმავლობაში მკვლელობის, ყაჩაღობის, თავდასხმისა და ფემინიციდის 10-მდე შემთხვევა გამოვლინდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი მედიისა და საზოგადოების შეკითხვებზე კრიმინალური შემთხვევების მომატების შესახებ ხშირად არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია. **რეალობის ასახვისა და მდგომარეობის სათანადოდ შესაფასებლად კი მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, აქვს თუ არა სახელმწიფოს დანაშაულთან ბრძოლისა და მისი პრევენციის სტრატეგია?** საინტერესოა, რა მეთოდით აწარმოებს შსს დანაშაულის სტატისტიკის გამოანგარიშებას, რადგან, ამ სამინისტროს წარმომადგენელთა მტკიცებით, ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობა მომატებული არ არის, თუმცა ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს. **მხოლოდ 2018 წლის პირველი 23 დღის განმავლობაში მკვლელობის, ყაჩაღობის, თავდასხმისა და ფემინიციდის 10-მდე შემთხვევა გამოვლინდა.** ერთ-ერთი გახმაურებული ფაქტი, რომელიც საზოგადოებამ შეიტყო, რუსთავში გენერალ **სამსონ ქუთათელაძის** ბურუსით მოცული მკვლელობა იყო. დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა საქალაქო სასამართლოს მიერ კლუბ „ბასიანის" დაცვის წევრებისა და პოლიციელის დაჭრაში ბრალდებული ბიზნესმენის შვილის გირაოთი გათავისუფლებას. ბოლო პერიოდში საზოგადოების განხილვის საგნად იქცა **დოდო გუგეშაშვილის** შვილის მკვლელობის საქმე...

იურისტების თქმით, საქართველოში თვეში დაახლოებით 4-5 მკვლელობა ხდება, თუმცა ზოგჯერ ეს რიცხვი 10-12-მდეც იზრდება.

„საქართველო და მსოფლიო" გთავაზობთ ბოლო სამ თვეში საქართველოს დედაქალაქში მომხდარი მკვლელობებისა და დაჭრის ფაქტებს. ქვემოთ ჩამოთვლილი სისხლიანი დანაშაულების ქრონიკა ნამდვილად არ პასუხობს „ქართული ოცნების", უფრო კონკრეტულად კი, თბილისის მერის საარჩევნო სლოგანს „სიცოცხლით სავსე ქალაქი".

**გაეცანით მერის პოსტზე კახა კალაძის არჩევიდან დღემდე თბილისში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირებების ქრონიკას და თვითონ განსაჯეთ, თბილისი „სიცოცხლით სავსე ქალაქია" თუ „კრიმინალით სავსე ქალაქი".**

### საქმე №1

ნუცუბიძის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი, საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებისას, შეუძლოდ შეიქნა და ადგილზე გარდაიცვალა. შსს-ს განცხადებით, 33 წლის მამაკაცი ნასვამი იყო და აგრესიულად იქცეოდა, რის გამოც სამართალდამცველები ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ. მამაკაცი დაკავებისას მოულოდნელად ცუდად გახდა და გარდაიცვალა. თვითმხილველთა განცხადებით, ახალგაზრდა მამაკაცი ამბობდა, რომ ცუდად იყო და სასწრაფოს დახმარებას ითხოვდა, მაგრამ სამართალდამცველებმა არ დაუჯერეს და ის საპატრულო პოლიციას დაკავებისას ხელში ჩააკვდა.

### საქმე №2

21 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა თბილისში, ბერ გაბრიელ სალოსის გამზირზე, დაიწყო სპეცოპერაცია. ჩატარებული ღონისძიების შედეგად დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი, ხოლო სამი ლიკვიდირებული იქნა. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 1 თანამშრომელი, დაიჭრა – 2, აგრეთვე, დაიჭრა შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ორი თანამშრომელი.

გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები არ არიან საქართველოს მოქალაქეები და მათზე დაკვირვება საერთაშორისო ანტიტერორისტული თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდებოდა. აღნიშნული ჯგუფის წევრების სრული იდენტიფიკაცია ჯერჯერობით არ მომხდარა, თუმცა დადასტურებულად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთია, „ისლამური სახელმწიფოს" გამორჩეული ლიდერი, ლაფანყურის საქმის მონაწილე და თურქეთის აეროპორტში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორი **ახმედ ჩატაევი.**



### საქმე №3

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს, დილის საათებში, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის 2 მეცხრეკლასელ მოსწავლეს გაკვეთილებს შორის შესვენებაზე საპირფარეშოში ექვსი უფროსკლასელი დახვდა, მათგან ერთ-ერთმა პნევმატური იარაღი მიუშვირა მეცხრეკლასელებს, რასაც მოჰყვა უკმაყოფილება, რომელიც სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთ-ერთმა უფროსკლასელმა მეცხრეკლასელებს უთხრა, რომ გაკვეთილების შემდეგ სკოლის გარეთ შეხვდებოდნენ. მომხდარიდან მალევე ერთ-ერთმა მეცხრეკლასეკლმა, რადგან მათთან დაპირისპირებულები უფროსები იყვნენ, დახმარებისთვის ასევე არასრულწლოვან ნათესავს მიმართა. ის იმდღესვე მეგობრებთან ერთად მივიდა 51-ე სკოლაში, სადაც ასევე შეკრებილი იყვნენ ინციდენტში მონაწილე მეთერთმეტეკლასელები და მათი მომხრეები. ვითარების გასარკვევად ახალგაზრდებმა აკაკი ხორავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის ეზოში გადაინაცვლეს. სიტყვიერ დაპირისპირებას მოჰყვა ფიზიკური შეხლა-შემოხლა, შედეგად ცივი იარაღით მრავალი ჭრილობის მიყენებით, სასტიკად მოკლეს ორი 16 წლის მოზარდი.

### საქმე №4

თბილისში მოკლული იპოვეს 19 წლის ახალგაზრდა, რომელსაც კვირაზე მეტ ხანს ეძებდნენ. ის კისერში იყო დაჭრილი, ცხედარს ფიზიკური ძალადობის კვალიც ეტყობოდა. 19 წლის **დავით ტორიაშვილის** განზრახ მკვლელობის ბრალდებით — ერთი, ხოლო დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 5 პირი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ურთიერთშელაპარაკებისას გადაჭრილი თოფისა და ცივი იარაღის საშუალებით სასიკვდილოდ დაჭრა ტორიაშვილი, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდეს. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს. დანაშაულის შეუტობინებლობისთვის გათვალისწინებულია 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მკვლელობაში ბრალდებულს 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

### საქმე №5

თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ცოლ-ქმრის ცხედრები იპოვეს. ისინი ცეცხლსასროლი იარაღით არიან მოკლული. მკვლელობის მოტივზე ახლობლები ვერ საუბრობენ. გარდაცვლილი ცოლ-ქმარი მაღაზიას ფლობდა. მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება) და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) მუხლებით დაიწყო. ადგილობრივების ინფორმაციით, გარდაცვლილები დილით, დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე, ნახა დისტრიბუტორმა, რომელმაც მინიმარკეტში პური მიიტანა. მათივე თქმით, დისტრიბუტორს მაღაზიის კარი ღია დახვდა, შიგნით შესულმა კი ნახა, რომ ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იყო. ადგილობრივების განცხადებით, თავდამსხმელები ტატიშვილების ოჯახის კუთვნილი მარკეტის დაყაჩაღებას ცდილობდნენ და, როცა მფლობელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მოკლეს.

### საქმე №6

თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს. **დავით ქმოსტელს,** მეტსახელად „ძივითას", ნიღბიანმა თავდამსხმელმა მის ეზოში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ქმოსტელი ბოლო წლებში რუსეთში ცხოვრობდა, ის თბილისში მეგობართან იყო ჩამოსული. შს სამინისტრომ მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა და ორი ეჭვმიტანილი ცხელ კვალზე დააკავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე, წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, ნაცნობს — 1980 წელს დაბადებულ დავით ქმოსტელს, ავტომატური იარაღიდან გაუხსნა ცეცხლი, შედეგად 40 წლის ქმოსტელი ადგილზე დაიღუპა.

### საქმე №7

ყოფილ მხედრიონელს, შეიარაღებული ძალების თადარიგის პოლკოვნიკ **დოდო გუგეშაშვილსა** და მის შვილს, **გრიგოლ გუგეშაშვილს,** შეიარაღებული პირი დაესხა თავს. შედეგად გრიგოლ გუგეშაშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, მძიმედ დაჭრილი მისი დედა კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მკვლელობა გუგეშაშვილის მიერ ნაქირავებ ბინაში მოხდა და, როგორც ყოფილი მხედრიონელი ამბობს, მკვლელობა შეკვეთილია. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

### საქმე №8

გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი, რომელიც ტაბახმელას ტყეში იპოვეს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეითი ბატალიონის ოცეულის მეთაურისა აღმოჩნდა. შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია: „28 იანვარს პოლიციას თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეითი ბატალიონის ოცეულის მეთაურის — თ.ს.-ს ოჯახის წევრმა განაცხადა, რომ იგი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, პოლიციამ სამძებრო სამუშაოები დაიწყო. 4 თებერვალს დაბა ტაბახმელის ტყეში მოქალაქემ, რომელიც ცხვრის ფარას მწყემსავდა, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ქვეითი ბატალიონის ოცეულის მეთაური ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა. აღნიშნულ საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეექვსე განყოფილება გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აწარმოებს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს".

### საქმე №9

მუშტაიდის ბაღთან, დავით ყიფიანის ქუჩაზე, შუახნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

### საქმე №10

თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრეს. ▶

**იურისტების თქმით, საქართველოში თვეში დაახლოებით 4-5 მკვლელობა ხდება, თუმცა ზოგჯერ ეს რაოდენობა 10-12-მდეც იზრდება. «საქართველო და მსოფლიო» გთავაზობთ ბოლო სამ თვეში საქართველოს დედაქალაქში მომხდარი მკვლელობებისა და დაჭრის ფაქტებს. ქვემოთ ჩამოთვლილი სისხლიანი დანაშაულების ქრონიკა ნამდვილად არ პასუხობს «ქართული ოცნების», უფრო კონკრეტულად კი, თბილისის მერის საარჩევნო სლოგანს «სიცოცხლით სავსე ქალაქი»**

კრიმინალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისში მოკლული იპოვეს 19 წლის ახალგაზრდა, რომელსაც კვირაზე მეტ ხანს ეძებდნენ. ის კისერში იყო დაჭრილი, ცხედარს ფიზიკური ძალადობის კვალიც ეტყობოდა. 19 წლის დავით ტორიაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით — ერთი, ხოლო დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 5 პირი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ურთიერთშელაპარაკებისას გადაჭრილი თოფისა და ცივი იარაღის საშუალებით სასიკვდილოდ დაჭრა ტორიაშვილი, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდეს.**

## თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს. დავით ქმოსტელს, მეტსახელად «ძივითას», ნიღბიანმა თავდამსხმელმა მის ეზოში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე, წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, ნაცნობს — 1980 წელს დაბადებულ დავით ქმოსტელს, ავტომატური იარაღიდან გაუხსნა ცეცხლი, შედეგად 40 წლის ქმოსტელი ადგილზე დაიღუპა




◀ თვითმხილველთა ინფორმაციით, დაჭრას რამდენიმე პირს შორის ფიზიკური დაპირისპირება უძღოდა წინ. რესპუბლიკურ საავადმყოფოში შესვლამდე პაციენტს ორივე ქვედა კიდურზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაიწყო. კერძოდ, შსს-ს ცნობით, გამოძიება მიმდინარეობს სსსკ-ის 236-ე და 117-ე მუხლებით, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

**საქმე №11**

თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, 25 წლამდე მამაკაცი დაჭრეს. დაჭრილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითმხილველების ინფორმაციით, დაჭრას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა, რის შემდეგაც ახალგაზრდა მამაკაცი მეუღლის თვალწინ დაჭრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის 117-ე მუხლით აღიძრა, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

**საქმე №12**

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სკვერში 15 წლის ბიჭი დაჭრეს, მას ცივი იარაღით ოთხი ჭრილობა გულ-მკერდისა და წელის არეში აქვს მიყენებული. სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილი არასრულწლოვანი ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 108-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

**საქმე №13**

35-ე საჯარო სკოლის ორი მოსწავლე საბურთალოზე მდებარე წითელ ბაღში დაჭრეს. ერთ-ერთი მათგანი ფილტვის არეშია დაჭრილი, მეორე კი — გულ-მკერდის არეში. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

**საქმე №14**

ნუცუბიძის ფერდობზე 26 წლის ახალგაზრდა დაჭრეს, რასაც წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია ჩაუტარეს. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება) და 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მუხლებით მიმდინარეობს.

**საქმე №15**

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მძიმედ დაჭრეს მამაკაცი, რომელიც მოათავსეს ალადაშვილის კლინიკაში, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ნათესავების განცხადებით, დაჭრილი შუახნის მამაკაცი დეზერტირების ბაზარში ვაჭრობდა. ის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით არის დაჭრილი. „ბიძაჩემს გამთენიისას, დაახლოებით 5 საათზე, უცნობი პირი დაესხა თავს და ფული მოსთხოვა. როგორც ვიცით, ფული არ მისცა, რის შემდეგაც თავდამსხმელმა ესროლა", — განაცხადა დაზარალებულის ნათესავმა. მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების მუხლებით მიმდინარეობს.

**საქმე №16**

პაატა სააკაძის ქუჩაზე დაჭრეს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. დაშავებულს ბარძაყის არეში დანით მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა. შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

**საქმე №17**

გლდანის ციხეში პატიმარი ყელგამოჭრილი იპოვეს. ეს ინფორმაცია ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" გაავრცელა. როგორც პატიმრის ოჯახის წევრებს სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებმა განუცხადეს, პატიმარი **ნიკოლოზ ჩოფიკაშვილი** თანასაკნელებმა საპირფარეშოში ყელგამოჭრილი იპოვეს. გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილზე ვერ ნახეს იარაღი, ოჯახის წევრებს სარწმუნოდ არ მიაჩნიათ თვითმკვლელობის ვერსია. პატიმრის ძმა მოითხოვს, საგამოძიებო სამსახურებმა სრულყოფილად გამოიძიონ მომხდარი და ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღოს ყველა საჭირო ზომა მომაკვდავი პატიმრის გადასარჩენად. დაშავებული პატიმრის მდგომარეობა მძიმეა, ექიმების განცხადებით, მას გათიშული აქვს თავის ტვინი და თირკმელები.

**საქმე №18**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კლუბ „ბასიანის" ტერიტორიაზე სამი პირის დაჭრაში ბრალდებული პირი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა, საქართველოს პროკურატურამ სააპელაციოში გაასაჩივრა.

გამოძიების თანახმად, მიმდინარე წლის 13 იანვარს ბრალდებულმა თბილისში, წერეთლის გამზირზე, კლუბ „ბასიანის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სამი პირი: ამავე კლუბის დაცვის უფროსი ზ.მ., კლუბის თანამშრომელი ი.კ. და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის მოადგილე თ.ს. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით რამდენჯერმე დაჭრა.

დანაშაულში ბრალდებულ **თამაზ ქვლივიძეს**, რომელიც ბიზნესმენ **პაატა ქვლივიძის** შვილია, ბრალი წარედგინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე (117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და განზრახ ნაკლებად მძიმე (118-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დაზიანებისთვის, აგრეთვე, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის. სსკ-ის 117-ე მუხლი სამიდან ექვს წლამდე, 118-ე მუხლი — ერთიდან სამ წლამდე, ხოლო 353-ე მუხლი ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც აღვნიშნეთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული გირაოს სახით გაათავისუფლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა, სააპელაციო სასამართლომ მას პატიმრობა შეუფარდა.

**საქმე №19**

32 წლის ქალის დაჭრის გამო დააპატიმრეს მისი ყოფილი ქმარი, რომელმაც ქალს 4 ნაკვეთი ჭრილობა საზარდულის არეში მიაყენა, 10 კი — მუცელში. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი 2 მცირეწლოვანი შვილის დედა სარეანიმაციო განყოფილებაში მიიყვანეს. შემთხვევა თბილისში, წმინდა ბარბარეს უბანში, მოხდა. ბრალდებული სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში დააკავეს. ახალგაზრდა ქალი სახლში 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად ქირით ცხოვრობდა. ბავშვები თავდასხმისას შინ არ იმყოფებოდნენ. ბინის მეპატრონის თქმით, ყოფილი მეუღლე ქალბატონზე რეგულარულად ძალადობდა. დაზარალებულმა დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა პოლიციას. სისხლიანი დაპირისპირების მომენტში ქალი შინ მეგობარ მამაკაცთან ერთად იყო. ბრალდებულმა ცივი იარაღით დაჭრა ყოფილი მეუღლის მეგობარი მამაკაციც და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 11-პრიმა 117-ე მუხლით და 117 მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. "

**საქმე №20**

თბილისში, ნინო ჟვანიას ქუჩაზე, მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა. 26 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**საქმე №21**

თემქაზე მშენებარე ობიექტიდან 27 წლის მუშა გადმოვარდა და საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**საქმე №22**

ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე სასტუმრო „მეტეხის" ეზოში სარემონტო სამუშაოების მიმდინარებისას მუშა გარდაიცვალა. დაშავდა კიდევ ერთი მუშა, რომელიც მრავალი მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**საქმე №23**

მთაწმინდის პარკში უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი — დაშავდა. შემთხვევა ეშმაკის ბორბლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისას მოხდა. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**საქმე №24**

ე.წ. მუხიანის აგარაკებზე 60 წლამდე მამაკაცი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს გულ-მკერდის არეში აღენიშნება დაზიანებები. მას შემდეგ, რაც მამაკაცთან დაკავშირება შვილმა ვერ შეძლო, მეზობლებმა ფანჯარა შეამტვრიეს და კაცი გარდაცვლილი იპოვეს.

**საქმე №25**

თბილისში, გმირთა მოედანზე, ერთ-ერთ რესტორანში სამი ადამიანი დაჭრეს. დაჭრას წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება და დაპირისპირება. სამართალდამცველებმა მომხდარის გამო ერთი პირი დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

**გიორგი გელაშვილი**

**P.S. სამუშაო ადგილებზე დღესაც იღუპებიან ადამიანები, რომლებიც საარსებო მინიმუმის გამო თანხმდებიან მძიმე შრომით პირობებს. ამ სამუშაო ადგილების მფლობელ კომპანიებში კი შრომითი ექსპლუატაცია, აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური სამუშაო, მინიმალური სოციალური გარანტიები თუ დაბალი შრომითი ანაზღაურება გავრცელებული პრაქტიკაა. ამ საშინელი მონაცემების მიღმა კონკრეტული ოჯახების ტრაგედიები, ადამიანური ისტორიები და დიდი ტკივილი იმალება.**



ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა მთავარია, ქალაქის პირველი პირის მორიგ თათბირზე მორიგი შესეირნებისას ტიფანიმაც მაკრონის ძაღლივით მოშარდოს კამერების წინ, თუმცა ეს პატარა ოთხფეხა, თუნდაც საჯაროდ მოშარდვით, ისეთს რას დააშავებს, რასაც მერიის მესვეურნი აშავებენ? და საზოგადოებაც მონური მორჩილებით დუმს „სვეტსკად გაზმანულ“ კალაძის უწყების მიერ მოსახლეობის საზიანოდ მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებაზე.**

# ძაღლ იყოს მთავრობისადა!

**თბილისის მთავრობის სხდომას კახა კალაძის მიერ თავშესაფრიდან გამოყვანილი ძაღლი ტიფანიც დაესწრო და მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. თბილისის მერმა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოდან ძაღლი რამდენიმე დღის წინათ წაიყვანა. კოკელი წინამორბედის სამტრედიელმა მემკვიდრემ ოთხფეხა მეგობარი დედაქალაქის მერიის შენობის 21-ე სართულზე დააბინავა. რადგან ტიფანი კალაძის კაბინეტთან ცხოვრობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი თბილსის მერის თათბირებსა და ოფიციალურ შეხვედრებს ხშირად დაესწრება.**





მსოფლიო ლიდერები კამერების წინ ოთხფეხა მეგობრებთან ერთად ხშირად ჩნდებიან და ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ ძაღლები სწორედ მათი მოქმედებით იქცევენ მსოფლიო მედიის ყურადღებას. ძაღლების განსაკუთრებული სიყვარულით ცნობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი.** მაგალითად, მას დაბადების დღეზე თურქმენეთის პრეზიდენტმა ალაბაის (შუააზიური ნაგაზი) ულამაზესი ლეკვი აჩუქა. ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც რუსეთის მმართველი თავისი ოთხფეხა მეგობრის გამო მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელთან** შეხვედრაზე იყო. როგორც ცნობილია, მერკელს არ უყვარს ძაღლები, ვლადიმერ პუტინი კი მას სოჭში გამართულ შეხვედრაზე ძაღლით დახვდა. ეს ფაქტი და მერკელის გამომეტყველება მედიის წარმომადგენლებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, თუმცა რუსეთის მმართველმა განმარტა, რომ მისთვის ცნობილი არ იყო, მერკელს ძაღლები რომ არ უყვარდა. მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, აგრეთვე, აკიტა-იუნუს ჯიშის ძაღლი სახელად იუმე, როდესაც ის რუსეთის პრეზიდენტმა იაპონელ ჟურნალისტებს აჩვენა. რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს ის 2012 წელს რუსეთის მიერ იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ გაწეული დახმარების გამო მადლიერების ნიშნად აჩუქეს. ძაღლმა უცხო ადამიანების დანახვისას ყეფა დაიწყო. ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ იუმე მხიარულია, მაგრამ ისინი ცოტათი გაკვირვებული და შეშინებულიც იყვნენ შეხვედრის ასეთი დასაწყისით...

საზოგადოებას, ალბათ, ასევე კარგად ახსოვს საფრანგეთის პრეზიდენტის, — **ემანუელ მაკრონის** ძაღლის ისტორია, როდესაც ელისეს სასახლეში ოფიციალური შეხვედრისას ლაბრადორმა ბუხართან მოშარდა. „ბი-ბი-სის“ მიერ გავრცელებულ ვიდეოში მაკრონი ამბობს, ძაღლი ადრე ასე არ იქცეოდაო და სტუმრებს ბოდიში მოუხადა.

სხვათა შორის, მაკრონმა და მისმა მეუღლემ ლაბრადორისა და გრიფონის ნაჯვარი, 1 წლის ნემო ელისეს სასახლეში თავშესაფრიდან წაიყვანეს.

როგორც ცნობილია, თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მუნიციპალური თავშესაფრიდან წამოიყვანა კახა კალაძემაც ტიფანი, რომელმაც ელისეს ვერა, მაგრამ თბილისის მერიის 21-ე სართულზე დაიდო ბინა. **ახლა მთავარია, ქალაქის პირველი პირის მორიგ თათბირზე მორიგი შესეირნებისას ტიფანიმაც მაკრონის ძაღლივით მოშარდოს კამერების წინ, თუმცა ეს პატარა ოთხფეხა, თუნდაც საჯაროდ მოშარდვით, ისეთს რას დააშავებს, რასაც მერიის მესვეურნი აშავებენ? და საზოგადოებაც მონური მორჩილებით დუმს „სვეტსკად გაზმანული“ კალაძის უწყების მიერ მოსახლეობის საზიანოდ მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებაზე...**

ამაზე დიდი ვაჟა, ალბათ, იტყოდა: „ძაღლ იყოს მთავრობისადა!“

**ნათია ბერიძე**



# ციალა ავქოფაშვილი: საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდა, ვფიქრობდი, ჩემი შვილიშვილები ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრებენ-მეთქი, მაგრამ ახლა არაფრის იმედი არ მაქვს

**ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭის მცხოვრებ ციალა ავქოფაშვილს შინ ვესტუმრეთ. გარეთ საშინლად ყინავდა, მაგრამ ციალა ბებოს ოთახში ზამთრის სუსხი არ იგრძნობოდა. ღუმელში ხმელი შეშა სასიამოვნოდ ტკაცუნებდა და ოთახში ახალგამომცხვარი პურის მადისაღმძვრელი სურნელი ტრიალებდა. მასპინძელმა სახელდახელო სუფრა გაშალა, მყუდრო გარემო შექმნა და საუბარიც დაიწყო:**

## სამამულო ომი გამოვიარეთ და მაშინ არ ჭირდა ცხოვრება ისე, როგორც დღეს. ომის დროს ვშრომობდით და იმდენ მოსავალს ვიღებდით, რომ ფრონტზეც ვაგზავნიდით

— ცხოვრება ჩვენ დროს იყო. მართალია, ვშრომობდით, თანაც ძალიან ბევრს, მაგრამ შრომას ყადრი ჰქონდა.

24 წელიწადი სატყეო მეურნეობაში ვმუშაობდი, დღეში ოთხ მანეთს გვიხდიდნენ, ეს ნორმალური შემოსავალი იყო, იმდენი, რომ მე და ჩემმა ქმარმა მიწაც ვიყიდეთ, სახლიც ავაშენეთ და შვილებიც გავზარდეთ.

მერე ცუდი პერიოდი დაიწყო, პენსია 7 ლარი იყო და **შევარდნაძის** ცოლი ამბობდა, ცხოვრება 7 ლარით შეიძლებაო. არც ახლაა კარგი დრო, პენსია 180 ლარი კი არის, მაგრამ არაფერში გვყოფნის. შვილი მომიკვდა, მხოლოდ ჩემი რძალი მუშაობს, ვერაფერს ვახერხებთ, მოვხუცდით და წამალი გვჭირდება, ჩემი ქმარი დაბრმავდა, მისახედია, დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებს.

ძველ დროს ხალისით ვაკეთებდით საქმეს, რადგან ვიცოდით, დაგვიფასდებოდა. მოგვყავდა ხორბალი, სიმინდი. ხორბლის იმდენ მოსავალს ვიღებდით, რომ ერთ წელიწადს 700 კილოგრამი შინ გამომატანეს. ახლა სოფელში ხორბალი საერთოდ აღარ არის.

**— მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომელი ხელისუფალი მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— არც ერთი ხელისუფალი და ხელისუფლება არ მომწონდა და არც ახლა მომწონს. ჩემი დღე და მოსწრება შრომაში გავლიე და ასეთი ცხოვრების ღირსები არ ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ პენსიაც მაქვს, სოციალურ დახმარებასაც ვიღებ, დღეს ფულს ფასი არ აქვს... ჩემი ქმარი უსინათლოს დახმარებას იღებდა და, რამდენიმე თვეა, შეუწყვიტეს.

ცხვირით მიწას ვთხრიდით, შვილო, და ვითომ არაფერი გაგვიკეთებია, დღეს ჩვენი ნაშრომი არავის ახსოვს.

ადამიანი კმაყოფილი არასოდეს იქნება, მაგრამ ახლა **ძალიან ცუდი დროა — ყველა მხრიდან ცუდი გესმის, მოსაწონი და გასახარელი არაფერია, ქვეყანაც უკან-უკან მიდის და ხალხიც. პროდუქტი ყოველდღიურად ძვირდება... ხანდახან ვამბობ: იმ ძველ დროს რომ არ მოვსწრებოდით, აქამდე ცოცხლები არ ვიქნებოდით-მეთქი. მაშინდელი ეკოლოგიურად სუფთა და ბარაქიანი საკვებით რომ არ ვიყოთ გამოკვებილნი, დღეს, არც კი ვიცი, როგორ ვიქნებოდით.**

**დღეს დოვლათით სავსე ოჯახს ძნელად თუ ნახავ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სოფელში ხალხს ძალიან უჭირს. სამამულო ომი გამოვიარეთ და მაშინ არ ჭირდა ცხოვრება ისე, როგორც დღეს.** ომის დროს ვშრომობდით და იმდენ მოსავალს ვიღებდით, რომ ფრონტზეც ვაგზავნიდით.

ახლა ახალი პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ... **ბავშვები მეკითხებიან ხოლმე, ვინ გინდა, იყოს პრეზიდენტიო. მეცინება, მე ვინც მინდა, ის აღარ მოვა და ამათი იმედი კიდევ ჩემს მტერს ჰქონდეს.**

**— თქვენ ვინ გინდათ პრეზიდენტად?**

— სტალინისნაირ მმართველს ვნატრობ, მხოლოდ მისნაირი პიროვნება გადაარჩენს ქვეყანას. მახსოვს სტალინის მმართველობის წლები, მისი სიკვდილიც მახსოვს, ადგილობრივ რადიოსადგურთან მუხლამდე თოვლსა და ტალახში ვიდექით და გულამოსკვნით ვტიროდით. **აი, მას ერქვა მმართველი. აბა, ახლა ვინ იტირებს ხელისუფლების წარმომადგენლისთვის?**

„მთის კანონი“ შემოიღეს და ახლა აქაურებს პენსია, სხვასთან შედარებით, მეტი გვაქვს, თითქოს კმაყოფილი უნდა ვიყოთ, მაგრამ სიძვირეა ძალიან, თანაც აქ ხალხი იწამლება მავნე ნივთიერებებისგან, ოქროს საბადოებზე აფეთქებების შედეგად, სახლები გვენგრევა — ბზარები გაუჩნდა, წვიმის შემდეგ წყალი ჩამოგვდის; ვწერთ განცხადებას, რომ დაგვეხმარონ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს. საქართველომ დამოუკიდებლობა რომ მოიპოვა, ვფიქრობდი, ჩემი შვილიშვილები ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრებენ-მეთქი, მაგრამ ახლა არაფრის იმედი აღარ მაქვს, არა მგონია, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალოს. ახალგაზრდები მეცოდებიან.

**ტელევიზორს თვალს ვადევნებ, მაგრამ ერთ ადამიანზეც არ შემიძლია კარგის თქმა. ვინმემ რომ მითხრას, — ვისაც შენ დაასახელებ, ის იქნება პრეზიდენტიო, ვერავის დავასახელებ, არავინ მეგულება სანდო ადამიანი.**

იმედი მოკვდა, შვილო. მე წარმავალი ვარ, მაგრამ ახალგაზრდებიც რომ ჩემსავით არიან, ეგ მიკლავს გულს. მეცოდებიან აქაური ბავშვები, ახალგაზრდები, ცხოვრება გადის და მათთვის საინტერესო არაფერი ხდება, მიწის მეტს ვერაფერს ხედავენ, თოხი და ბარია ამათი ყოველდღიურობა.

ტელეეკრანზეც ვერაფერს ნახავ კარგს, რომელ არხზეც უნდა გადართო, სიბინძურე ისმის, შვილიშვილებთან ერთად ვერ ვჯდები ტელევიზორის საყურებლად.

გაზეთის მკითხველმა რომ არ იფიქროს, სულ ბუზღუნებს, რა ცუდი მოხუციაო, კარგსაც ვიტყვი: ამ გაუსაძლის ყოფაში ჩემს ქმარს თვალის ჩინი წაერთვა, შვილიშვილმა თბილისში წაგვიყვანა, ორი ოპერაცია გაუკეთეს საწყალ **ვანი პაპას** და თეთრიც არ გადაგვიხდია. წამლების ყიდვა კი გვიჭირს ახლა, მაგრამ უფასოდ ოპერაციის გაკეთება დიდი შეღავათი იყო. ჩვენ ვერასდროს შევძლებდით ოპერაციის საფასურის გადახდას და ტკივილი მოკლავდა მოხუცს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**გააჩერეთ ქუჩაში 10 გამვლელი და ჰკითხეთ: ვინ არის გია დვალი? 9 ვერ გიპასუხებს. სამაგიეროდ, ათივე გეტყვის, ვინ არის კესარია. ეს ნიშნავს, რომ „კესარიებს“ აპიარებენ და მისნაირების პოპულარობა აქტიური პროპაგანდის შედეგია. ამ პროპაგანდის წინააღმდეგი ვართ.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯემალ ბაღაშვილი: ამერიკა თავისი დიდი საწარმოების ფილიალებს არ გვიხსნის საქართველოში, თუნდაც რამდენიმეს, სამაგალითოდ, სამაგიეროდ, 4 მილიარდ დოლარს გვიხდის იმიტომ, რომ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო

**ბატონ ჯემალ ბაღაშვილთან, ქართული საესტრადო ხელოვნების კლასიკოსთან, საუბარი მოგონებებით დავიწყეთ; გულდაწყვეტით იმის გამო, რომ აღარ იმართება ის საოცარი წარმოდგენები, რომლებსაც საახალწლოდ უძღვნიდა ქართველ საზოგადოებრიობას ალექსანდრე ბასილაია და მის მიერ 1968 წელს დაარსებული ბრწყინვალე „ივერია“.**

**— ქართველებს ჰომოფობიას გვაბრალებენ, რადგან მამათმავლობას, პედერასტიას აღტაცებულები არ მივესალმებით. როგორ აფასებთ ამ შემოტევას?**

— თვითგადარჩენის ინსტინქტი ღვთის მიერ არის ჩვენში ჩადებული და ყველაზე მძლავრი ინსტინქტია. თვითგადარჩენის პრობლემას დემოგრაფიის კუთხით თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მდგომარეობა კატასტროფულია — შობადობა მოკვდავობაზე ნაკლებია, რაც უდიდესი ტრაგედიაა. მაღალ მატერიებზე საუბარს თუ განზე გადავდებთ და პრაგმატული თვალით შევხედავთ პრობლემას, დავრწმუნდებით, რომ **მამათმავლობის პროპაგანდა ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.** სხვა საკითხია, რომ ადამიანზე არ უნდა იძალადო, გინდ ტრანსგენდერი იყოს, გინდ — ჰეტეროსექსუალი, გინდ... რა ვქნა, კაცო, ამათი სახელწოდებები მეშლება, მაგრამ, რაც უნდა ერქვათ, შინაარსი არ იცვლება. ჩინეთისთვის, იქნებ, სულერთია, კაცს კაცზე დააქორწინებენ თუ ქალს — ქალზე, მაგრამ ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

ასეთია ჩვენი თვალსაზრისი და არც ვმალავთ. ვის მოეწონება, ვის — არა, ნაკლებად გვაინტერესებს.

შემთხვევითი არ იყო ის მონოლოგი, რომელიც სცენაზე გამოვიტანეთ: თქვენს მკითხველს მოეხსენება, რომ მაქს პლანკის სახელობის ფიზიკის ცნობილი ინსტიტუტის დირექტორი **გია დვალი** ჩვენი თანამემამულეა. აბა, **გააჩერეთ ქუჩაში 10 გამვლელი და ჰკითხეთ: ვინ არის გია დვალი? 9 ვერ გიპასუხებს. სამაგიეროდ, ათივე გეტყვის, ვინ არის კესარია. ეს ნიშნავს, რომ „კესარიებს“ აპიარებენ და მისნაირების პოპულარობა აქტიური პროპაგანდის შედეგია.**

ამ პროპაგანდის წინააღმდეგი ვართ!

დღევანდელი, საკუთარი განდიდებით შეპყრობილი ე.წ. პოეტები და პროზაიკოსები ერთად რომ გადაადნო, ღმერთმა მაპატიოს, ერთი **ოთარ ჭილაძე** ვერ გამოვა! ასეთია ჩემი მოსაზრება.

ერთსაც ვიტყვი: საჭირო არ არის ენ-დი-აის ან სხვა მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კვლევის ჩატარება, ნებისმიერმა ქართველმა თავის თავს ასეთი შეკითხვა დაუსვას: **საქართველოში მოქმედი 200 პარტიის რომელი ხელმძღვანელი ან 150 დეპუტატიდან ვინ ეგულება ისეთი, ვინც შეძლებს საქართველოს ეროვნული საგანძურის ისე მოვლასა და დაცვას, წმინდანად შერაცხილმა ექვთიმე თაყაიშვილმა რომ შეძლო?**

ვერ დაასახელებს. აი, სად არის გაჭირვების სათავე. ერთის იმედი უნდა გვქონდეს? კესარიებს ჩავაბაროთ საქართველო?! — არ გამოვა.

**— სხვა ხომ ყველაფერი გამოგვდის — ნატოში, ევროკავშირში გაწევრება, მაგალითად.**

— ჩვენს ერთ-ერთ გამოსვლაში ამაზეც გავამახვილეთ ყურადღება. ერთი ასეთი ტევადი ფრაზაც გვქონდა: **„ნატოს კარი, როგორც მესვეურები აცხადებენ, საქართველოსთვის ღიაა, საქართველო განაგრძობს ღია კარის მტვრევას“.** ასე გრძელდება დღესაც და, ვეჭვობ, კარგა ხანს ასე იქნება. საზღვარი არ ჩანს ისევე, როგორც ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხში. **მარიხუანის მოწევისთვის ახალგაზრდა კაცი ციხეში 6 წლით რომ არ უნდა ჩასვა, ცხადია, მაგრამ ნარკორეალიზატორებსაც თუ მივცემთ შვებას, ეს უკვე ნარკომაფიის ინტერესების დაცვა იქნება. მათი მხარდაჭერა ისეთ უბედურებაში ჩააგდებს ჩვენს ქვეყანას, რომელიც ავღანეთიდან ევროპაში ნარკოტრანზიტის მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია.**

ჩვენს მეგობარ ნატოს დამატებითი არგუმენტი გაუჩნდება: ნარკოტრანზიტის ქვეყანა გამხდარხართ და ჩვენს რიგებში როგორ მიგიღებთო?!

ჯაჭვურ რეაქციასავით არის.

**— ნარკომაფია საერთაშორისო ტერორიზმს შეერწყა, კარგა ხანია. ჩვენც ლიბერალიზაცია-დეკრიმინალიზაციას აქეთ ხომ არ მივყავართ?**

— გამორიცხული არ არის. ნარკომანია ახალგაზრდების პრობლემაა, ეს ცნობილია. მაგრამ არ ჩანს, რომ ჩვენში ეგზომ მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის, ტრანსგენდერების, ჰომოსექსუალების დასაცავად, ასეთივე მონდომებით ცდილობდნენ ნიჭიერი ახალგაზრდების საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში გაგზავნას ცოდნის დასაუფლებლად, იმ პირობით, რომ უმაღლესის დამთავრების შემდეგ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სტატუსით საქართველოს სამსახურში ერთგულად ჩადგნენ.

ამასობაში ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ლეგალურად თუ არალეგალურად რჩებიან უცხოეთში, რწმუნდებიან, რომ იქ სამოთხე არ არის და თავს ვერ იმკვიდრებენ, ვინაიდან არც საჭირო კვალიფიკაცია აქვთ, არც პროფესია, ჩადიან დანაშაულს — ქურდობენ, ყაჩაღობენ, თაღლითობენ და საქართველოს სახელს ბღალავენ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა წარიმართოს, ჩემი აზრით, არა მხოლოდ არასამთავრობოების, არამედ მთავრობის მუშაობა და მაშინ ფართოდ გაუღებენ ჰარვარდის, იელის, პრინსტონის უნივერსიტეტების კარებს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს...



**— და არა უცხოეთის „კომფორტული“ საპატიმროების კარებს.**

— თუ ეს პრობლემა — „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“ — არ გადაწყდება, ახალგაზრდა ვერ იპოვის საკუთარ ადგილს სამშობლოში და სანაცვლოდ შესთავაზებ მარიხუანას — აჰა, მოწიე, გაბრუვდი, გაექეცი რეალობას და „დეკრიმინალიზებულ“ გზას დაადექიო, მაშინ ისიც უნდა ვუთხრათ, რომ ეს მიქელ-გაბრიელის გზაა!

**— სკაბრეზული პოეზია ქართული ფოლკლორისთვის უცხო არ არის, მაგრამ ტელეეკრანიდან ბილწსიტყვაობის იუმორად გასაღებაზე რას გვეტყვის „იუმორინას“ ავტორი?**

— ამ თემაზე **გივი ბერიკაშვილი** ამბობდა ჩვენს ერთ-ერთ პროგრამაში: **ჭაბუა ამირეჯიბმა** 30 წელიწადი გაატარა ციხეებსა და ბანაკებში, გინების მეტი რა მოუსმენია, მაგრამ „დათა თუთაშხიაში“ ერთი გინებაც არ აკადრაო თავის მკითხველს და არც დასჭირვებია. დაჟინებით იმის ძახილი, რომ გინება რეალობის ასახვისთვის არის საჭირო, ყურით მოთრეული არგუმენტია, რომელიც ავტორის შემოქმედებითი სილატაკის გასამართლებლად არ გამოდგება, უნიჭობის შენიღბვა მგონია. გინება საზოგადოებაში, ეკრანზე, ლიტერატურაში ფსევდოთავისუფლების გამოვლენაა.

**— უზნეობისაც.**

— რეტროგრადების ბუზღუნად რომ არ ჩაგვითვალონ, მოდი, ამერიკის საზოგადოებრივი ურთიერთობის მაგალითი მოვიხმოთ.

ახლახან ჩვენს მასმედიაში ერთი ამბავი ატყდა იმაზე, როგორ გაბედეს პოლიციელებმა, დაეკავებინათ ერთი არც თუ ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც უშვერი სიტყვები თავსლაფივით დაასხა სამართალდამცველებს, შენიშვნა როგორ მაკადრეთო. ასეთი რამ ვინმეს ამერიკაში რომ გაებედა, გინდ პოეტი ყოფილიყო, გინდ ესტრადის ვარსკვლავი, შეიძლება ცოცხალიც ვერ გადარჩენილიყო. და ეს აღიქმებოდა, როგორც პოლიციელების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საკუთარი მოვალეობის პირნათლად შესრულების აქტი.

ამაზე რატომ არაფერს ამბობენ?!

ამერიკის პოლიციაზე უსასტიკესი სამართალდამცველები არსად მეგულება.

არ ვამართლებ, ვის მიმართაც გინდა იყოს, ძალის გადამეტებულ გამოყენებას, მაგრამ არც ის მომწონს, რომ პოლიციელები დრაკონებად გამოვიყვანოთ. სახელგატეხილი პოლიცია ვერ დაიცავს საზოგადოებრივ სიმშვიდეს.

**— ამ და ბევრი სხვა პრობლემის საიუმორინედ მოქცევას როგორ ახერხებთ, ბატონო ჯემალ?**

— ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელიც „იუმორინაში“ გამოვიყენეთ:

**გადაირია ქვეყანა,**
**ფრთხილად —**
**რამე არ მიქარო,**
**ქალს თუ ალერსით შეხედე,**
**კრიმინალია, ჯიგარო!**
**მაგრამ თუ ჩვენში**
**კაცი კაცს,**
**ქალი ქალს ეკურკურება,**
**მაშინ დასჯადი**
**არ გახლავთ,**
**დაჟინებული ყურება.**
**იარონ კაცმა კაცებში,**
**ქალებმა კიდევ — ქალებში.**
**წავახალისოთ გრანტებით**
**დოლარებში და ლარებში.**
**ასე ნელ-ნელა ზნეობა**
**სოდომის ცოდვით იცვლება,**
**ერთი ადგილის თამაში**
**პროგრესულობად ითვლება.**
**მტერო, შენს ჯიბრზე**
**კაი ყმებს**
**ისევ დაზრდიან დედანი,**
**ვაჟკაცის ადგილს**
**ვერასდროს,**
**ვერ დაიკავებს ცვედანი.**

ასე ვცდილობთ, მაგრამ ერთია მცდელობა, მეორე — როგორ გამოდის. მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მოითხოვენ, — შემოსავალს მოიტანსო. საოცარი არგუმენტებით აპელირებს ეს „გირჩი“. დაახლოებით ისეა, **ილია ჭავჭავაძემ** „კაკო ყაჩაღი“ რომ დაწერა, ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხია“, ხალხმა „არსენას ლექსი“ რომ შექმნა, ძეგლიც კი დავუდგით და ყაჩაღობის დეკრიმინალიზაცია მოვითხოვოთ! ჰოდა, ამ „გირჩის“ საპირისპიროდ შევქმენით ახალი „პარტია“ — **„ბერჩი“.** ხალხს პირდაპირ ვუთხარით: ნამუსზე ხელი თუ აიღე, დემაგოგიას საზღვარი არ აქვს-თქო.

**— შოუბიზნესმა ხომ არ დაგვავიწყა, რომ ესტრადა ხელოვნებაა?**

— შოუბიზნესი ჩვენთან მხოლოდ ტერმინის სახით არსებობს. მსოფლიოში ბიზნესი აფინანსებს ხელოვნებას, მათ შორის, შოუბიზნესსაც. თუ ეს ალიანსი არ შედგა, მხოლოდ ნიჭიერებით ფონს ვერ გავალთ.

გზაჯვარედინზე ვდგავართ და ბოლომდე ვერ გადაგვიწყვეტია, რომელ მხარეს წავიდეთ. ერთი კია, რომ თავს არავინ იკლავს ჩვენი კეთილდღეობისთვის, ფეხზე დასაყენებლად.

ამერიკა თავისი დიდი საწარმოების ფილიალებს არ გვიხსნის საქართველოში, თუნდაც რამდენიმეს, სამაგალითოდ, სამაგიეროდ, 4 მილიარდ დოლარს გვიხდის იმიტომ, რომ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ყველა მხარე, პირველ რიგში, თავის ინტერესებს აყენებს.

ჩვენი სამომავლო გზა არის ნიჭიერი ახალგაზრდობის აღზრდა და ისეთი იდეოლოგიის შემუშავება, იდენტობა რომ არ დავკარგოთ და ქართული სახელმწიფოებრიობა ილიასეულ საკრალურ ტრიადას — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — არ გასცდეს. ამასთანავე, მოვამზადოთ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა იმ რეალობისთვის, რომელიც გლობალიზაციამ მოიტანა. ისე მოვერგოთ მას, რომ არ დავზარალდეთ. ეს შესაძლებელია, თუ იქნება გონივრული მართვა და ნება იმისა, რომ პირველ პლანზე იქნება ნიჭი და არა ნეპოტიზმი.

საქმე მაშინ გამოგვივა, თუ ნიჭს მივცემთ ფართო გზას და თაყვანსა ვცემთ ღირსებას, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება ჩვენს ქვეყანაში, სადაც განათლების პრობლემაა უპირველესი.

როცა „თეთრი ხმაური“ გამოდის და მარიხუანის დეკრიმინალიზაციას ითხოვს, ეს მათი უფლებაა, მაგრამ მე ის უფრო გამიხარდებოდა, ასჯერ მეტი ახალგაზრდა რომ გამოსულიყო, „წიგნის ხმაური“ აეტეხა და განათლება მოეთხოვა.

ეს სჭირდება ქვეყანას!

**განათლების მინისტრი ამერიკაში მიდის განათლების მისაღებად, მაშინ, როცა კარგა ხნის ჩამოსული უნდა იყოს იქიდან.**

ამ პრობლემაზე ესტრადაზე ვოლსკის ხმითა ვთქვით: „ჩვენ ერთი უჩვეულო და გაბედული ექსპერიმენტი განვახორციელეთ — ავიღეთ და პირდაპირ განათლებული კაცი დავნიშნეთ განათლების მინისტრად. თუ გაამართლა, შემდეგ სხვა დარგშიც ასე გავაკეთებთ!“

**— ესეც თქვენი მოფიქრებულია?**

— კი. მაყურებელი იცინის, მე კი გული მეწურება ტკივილით.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. იქნებ, სწორედ ეს არის ცრემლნარევი სიცილი?!**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სააკაშვილის გამო, ერთადერთი, რისიც უნდა გვრცხვენოდეს ქართველებს, იმის გაცნობიერებაა, როგორ წამოგვისკუპეს პრეზიდენტად ასეთი ქართველთმოძულე მანიაკი და, თუ წამოგვისკუპეს, 9 წლის განმავლობაში როგორ ვითმენდით მის პრეზიდენტობას.**

# Чемодан, вокзал, Варшава...

**მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და მარადიული სირცხვილი — მიხეილ სააკაშვილი, თმით ათრია უკრაინულმა სპეცრაზმმა და საქვეყნოდ გათახსირებული კიევიდან ვარშავაში მიაბრძანა, ქართულ მედიასა თუ სოციალურ ქსელებში გაისმა „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ ქართველ „პოლიტოლოგ-ექსპერტთა“ თუ ფეისბუქმომხმარებელ „მამულიშვილთა“ კომენტარები, რომ ამ ფაქტის ამსახველი კადრები, რომლებმაც მსოფლიოს ტელევიზიები მოიარა, თურმე, ნუ იტყვით და, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, შეურაცხყოფა და, შესაბამისად, ქართველთა ეროვნული ღირსების შელახვა ყოფილა, რადგან მიშიკო, როგორიც უნდა იყოს, 9 წლის განმავლობაში ჩვენი პრეზიდენტი იყო და, აქედან გამომდინარე, სასაცილოც არაფერიაო. ასე შეფარვით გვამუნათებენ მათ, ვინც სახელმწიფოებრივად „ვერ ვაზროვნებთ“ და ამიტომ „შეუგნებლად“ ვიცინით.**




**სააკაშვილისგან არ გამოვიდა ქართველი ჩე გევარა, გამოვიდა მხოლოდ სახურავის ბინადარი კარლსონი, ანუ პოლონეთში დეპორტაციის შემდეგ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა, დიდი ალბათობით, სამარცხვინოდ დასრულდა**



ჩამოთვლილი ბრალდება-კომენტარებიდან მხოლოდ ერთს ვეთანხმები და ისიც ნაწილობრივ — მიუხედავად იმისა, რომ სასაცილო მართლაც არაფერია, ბოლო ნაცურ 9 წელიწადს პლუს 5 ქოცური (მათზე ქვემოთ და საგანგებოდ), ანუ, ჯამში, 14 წელიწადია, ჩვენ, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი, მაინც ვიცინით, ოღონდ სახელმწიფოებრივად შეუგნებლად კი არ ვმხიარულობთ, არამედ სრულიად შეგნებული, სახელმწიფოებრივად გააზრებული (თუ ასე შეიძლება ითქვას) სიცილით, რადგან ე.წ. სიმწრის ღიმილიც არსებობს, სიცილიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხარხარიც, რომელიც ნებისმიერ ტირილზე უფრო მტკივნეულია...

„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, — მართალი ბრძანა **დავით გურამიშვილმა** (სხვათა შორის, უკრაინაში გადახვეწილმა), მაგრამ ეს ოხერი მწარე რომ არ გათავდა და ტკბილის ჯერი არა და არ მოვიდა?..

ქვემოთ, ქრონოლოგიურად შეგახსენებთ იმ მოვლენებსა თუ ფაქტებს, რომლებიც თავის დროზე შეიქნა მიზეზი ქართველი საზოგადოების სიმწრის ღიმილის, სიცილისა თუ ხარხარისა:

*** 2008 წლის აგვისტოს ომი და ჯერ ავლაბრის სასახლეში საკუთარი ჰალსტუხის მღეღვნელი პრეზიდენტი და შემდეგ გორში მიწაზე მფორთხავი მთავარსარდალი მიშა სააკაშვილი.**

აქედან გამომდინარე, მისი მშიშარა კურდღელის იმიჯის დასანგრევად დადგმული სპექტაკლი განმუხურში, სადაც მთვრალ რუს პოლკოვნიკსა და მის ბატალიონს, როგორც „უშიში, ვითარ უხორცო“, ისე ერკინება მთავარსარდალი. ერკინება და „ამარცხებს“ კიდეც, სინამდვილეში მხდალი, ცინგლიანი მიშიკო;

*** საქართველოს პატრიარქის მოსკოვში ვიზიტის** შედეგად საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან რუსული ტანკების უხმაუროდ გასვლა და სააკაშვილის ტრაბახის გამო, საქართველოს **კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ვლადიმერ პუტინსა** და **დიმიტრი მედვედევს** ჩემი ინსტრუქტაჟის მიხედვით ესაუბრებოდაო — მეორე დღესვე იმ ტანკების გრუხუნით დაბრუნება სოფელ პერევში და რუსული ბლოკპოსტის ხელახალი აღდგენა;

***** გორში **სტალინის მონუმენტის** შუაღამით ქურდულად დემონტაჟი და, დღისით მზისით, ქუთაისში დიდი სამამულო ომის გმირთა **მემორიალის ვანდალურად აფეთქება**, რომელსაც უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა, რაც გარკვეულ წილად შურისძიების აქტიც იყო რუსების მიმართ — სტალინის ძეგლის აფეთქბაზე ხომ კატეგორიული უარი მიიღეს რუსი გენერლისგან და სამამულო ომიც ხომ ჩვენი, ქართველთა, ომი არ იყო, სადაც ასი ათასობით ქართველი ვაჟკაცი დავკარგეთ...

ეს, რაც შეეხება შედარებით შორეულ წარსულს და ახლა უახლოეს წარსულსა და, რა თქმა უნდა, აწმყოზე:

***** ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავე არათუ გადმოსცა უკრაინამ ქართულ მართლმსაჯულებას, პირიქით — მას ჯერ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა, უბოძა რა პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** უკრაინის მოქალაქეობა და შემდეგ ოდესის გუბერნატორად დანიშნა ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე მიხეილ სააკაშვილი.

სად იყვნენ მაშინ ის „სახელმწიფოებრივად“ მოაზროვნენი, რომლებიც დღეს გულში მჯიღს იცემენ და აქეთ გვამუნათებენ?

**რა, ხსენებული ფაქტები არ არის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, შეურაცხყოფა და ქართველი ერის ღირსების შელახვა?**

ან რა შეიძლება ვუწოდოთ ყოფილი პრეზიდენტის თავგადასავლებს უკრაინაში?

**სახურავზე კარლსონივით ამძვრალი საქართველოს მესამე პრეზიდენტის ამსახველი კადრები, რომელმაც მსოფლიო მოიარა, საქართველოს სირცხვილი არ იყო?**

ან იმას რა დავარქვათ, რომ ცოტა ხნის წინათ, სანამ პოროშენკო სააკაშვილს სწყალობდა, უკრაინის პრეზიდენტის მიმართ „რუსთავი 2“ (წაიკითხე, სრულიად ნაცბანდა) ქება-დიდებით ილვრებოდა, ახლა კი იმავე ტელევიზიიდან მხოლოდ ლანძღვა-გინება ისმის?!

ახლახან ამ ზონდერტელევიზიის დირექტორმა, „ტურფა“ **ნიკა გვარამიამ** უკრაინის პრეზიდენტს კორუფციაში ჩაფლული ოლიგარქი უწოდა, ხოლო კრეტინ სააკაშვილს — გენიოსი, რომელიც 60-მილიონიან უკრაინას თითისტარივით ატრიალებს და, დღეს თუ არა ხვალ მაინც, დაამხობს პრეზიდენტ პოროშენკოსო...

**ეკა კვესიტაძის** ბოლო „განსხვავებულ აქცენტებში“ რესპონდენტმა სააკაშვილმა აშკარად ვერ მოზომა და **სანდრო გირგვლიანის** ხსენებაზე, როგორც **კონსტანტინე გამსახურდია** იტყოდა, „გველის კაჭრობა“ დაემართა. მიშიკომ ისტერიკულად შეჰკივლა: აღარ უნდა დამთავრდეს ამაზე ლაპარაკი, ქვეყანა თავზე დაგენგრათ (დააკვირდით, დაგენგრათ და არა დაგვენგრა — დ.მ.) და რაღა დროს სანდრო გირგვლიანიაო?!

ამ შეკივლებით ნაპრეზიდენტალმა კიდევ ერთხელ საჯაროდ დაამტკიცა, რომ გირგვლიანების ტრაგედია ყოველთვის, უკაცრავად და, ფეხებზე ეკიდა.

ეს ერთი და მეორე — ისე დასჭყივლა შეშინებულ ეკა კვესიტაძეს, რომ, როგორც კახეთში იტყოდნენ, მთელმა დინგი-დუნიამ გაიგო, მიხეილ სააკაშვილი, ჩვეულებრივი რესპონდენტი კი არა, ამ ზონდერტელევიზიის მამა-მარჩენალია და ნიკა გვარამიას მიერ საპირისპიროს მტკიცება, სააკაშვილს „რუსთავი 2“ მხოლოდ, როგორც რესპონდენტს, ისე განიხილავსო, კიდევ ერთი ღიმილის მომგვრელია...

მიხეილ ნაპრეზიდენტალის პოლონეთში უხეში ფორმით დეპორტაციით უკმაყოფილოები, პარალელს ნიურნბერგის პროცესზე გასამართლებულ ნაცისტ დამნაშავეებთანაც ავლებენ პათოსით — რა, მიხეილ სააკაშვილი **ჰერმან გერინგზე, ერნსტ კალტენბრუნერსა** და ა.შ. სხვა ნაცისტებზე მეტი დამნაშავეა, რომ ისინი ცივილიზებული ფორმით დააპატიმრეს და გაასამართლეს, მიშიკო კი თმით ითრიესო?!

ამ „რკინისებურ არგუმენტს“ სრულიად მარტივად გავაბათილებთ:

მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტებმა კაცობრიობის წინაშე ჩაიდინეს დანაშაული, მათი უმრავლესობა მამაცი ადამიანი იყო და, სააკაშვილისგან განსხვავებით, რესტორნის ტუალეტიდან კი არ ცდილობდა გაქცევას, თავს იკლავდა ციანიდით ან ნებაყოფლობით ბარდებოდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სამხედრო ხელისუფლებებს.

ეს ისე — ცნობისთვის და, სიმწრის კი არა, ერთხელ მაინც ლაღი ღიმილის მოსაგვრელად.

**სააკაშვილი, თავისი საქციელიდან გამომდინარე, არც პრეზიდენტობისას ტოვებდა ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ საქართველოდან გაქცევის (დიახ, გაქცევის) შემდეგ, რომ იტყვიან, სულ აუშვა აფრები. მისი დღევანდელი საქციელიდან გამომდინარე, ვრწმუნდები, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, ძალაუფლება ყველაზე ძლიერი ნარკოტიკია და მიშა სააკაშვილი ამჟამად, სამედიცინო ენაზე თუ ვიტყვით, მწვავე აბსტინენციაშია, ხოლო უფრო გასაგებად, ნარკომანების ენაზე — მიშუტკა „ლომკაშია“.**

თვითონ განსაჯეთ, პრეზიდენტები კი არა, მირონცხებული მეფეები ვერ აძლევდნენ თავს იმის უფლებას, რასაც ეს შიზოიდი იქმოდა დაუფარავად.

**მის ჰარამხანებზე, კოკაინით ცელქობაზე და ა.შ. ათასი ჭორი დადიოდა, რაც, როგორც წესი, ხშირად სიმართლეს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე სიცრუეს.**

**ბათუმი, ხომ საერთოდ ცალკე თემაა.** კი, ბატონო, ააშენა, გააშენა, მაგრამ არა ხალხისთვის, არამედ საკუთარი თავის გასართობად. ბათუმი ერთგვარი ძვირფასი ალმასი, მოელვარე ბრილიანტი იყო, რომელიც ბრელოკივით ედო ჯიბეში პრეზიდენტყოფილს.

ავლაბრის სასახლე? როგორც იტყვიან, უკომენტაროდ...

ადრეც და ახლაც ბევრისგან მსმენია: რა უნდა, რატომ არ ისვენებს, ფულის მეტი რა აქვს, წავიდეს, დრო გაატაროსო და ა.შ.

არა, ბატონებო!

მას ზუსტად ის არ აქვს, რაც ყველაფერზე ძალიან სურს — ნარკოტიკი, სახელად ძალაუფლება, რომლის დასაბრუნებლადაც იყო მიმართული ყველა მისი ქმედება, დღიდან საქართველოდან წასვლისა.

სააკაშვილისგან არ გამოვიდა ქართველი **ჩე გევარა.** გამოვიდა მხოლოდ სახურავის ბინადარი კარლსონი, ანუ პოლონეთში დეპორტაციის შემდეგ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა, დიდი ალბათობით, სამარცხვინოდ დასრულდა.

დიახ, მისთვის სამარცხვინოდ, რადგან სააკაშვილი, თმით ითრიონ კი არა, ვირზე უკუღმა შესმული რომ ატარონ ქუჩა-ქუჩა, სახელმწიფოებრივად შემრცხვება კი არა, იმდენი სისხლი და ცრემლი მოუტანა ჩვენს სამშობლოს მისმა 9-წლიანმა, მანიაკურ-სადისტურმა რეჟიმმა, რომ ნერვიც არ შემიტოკდება.

სააკაშვილის გამო, ერთადერთი, რისიც უნდა გვრცხვენოდეს ქართველებს, იმის გაცნობიერებაა, როგორ წამოგვისკუპეს პრეზიდენტად ასეთი ქართველთმოძულე მანიაკი და, თუ წამოგვისკუპეს, 9 წლის განმავლობაში როგორ ვითმენდით მის პრეზიდენტობას.

ზემოთ ქოცებზე ვთქვი — ქვემოთ და საგანგებოდ მეთქი:

**სიმწრით მეცინება იმაზე, რომ უკრაინიდან გაძევებული მიშა სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიციას დიდი დაჟინებით არ ითხოვს ქოცების ხელისუფლება.**

**რატომ?** — ამ კითხვის პასუხის პოვნა მკითხველისთვის მიგვინდვია...

**დავით მხეიძე**

**უკვე წლებია, მთავრობა და საზოგადოებაც საუბრობს იმის შესახებ, რომ მრავალშვილიანობა გადაგვარჩენს, რომ მოხუცებს უნდა შევუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები, ხოლო მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ საქმე საუბრის იქით არ მიდის. თუ ასეთ უნაყოფო საუბრებში დავკარგავთ დროს და არ მივხედავთ ყველაზე დიდ ეროვნულ სატკივარს, ქართველი თავის სამშობლოში სანთლით საძებნი იქნება.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დემოგრაფიული ორმოდან» ამოსასვლელად გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს!

ბატონებო, ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება მეტად მძიმე და საგანგაშოა. დრო აღარ ითმენს, აუცილებელია საგანგებო ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია, რომ ქართველ დემოგრაფთა მონაწილეობით შემუშავდა „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2016 წლის 24 ივნისს. პარლამენტმა დაავალა საქართველოს მთავრობას, 2017 წლის 1 ივნისამდე დაემტკიცებინა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას, მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემით არავინ დაინტერესებულა და არაფერი გაკეთებულა, ამიტომ გადავწყვიტე, გაზეთის მეშვეობით მოგმართოთ და წარმოგიდგინოთ პროგრამა ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად.

# საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა



წინამდებარე პროგრამა არის სამომავალო მუშაობის გეგმა, ძირითადი პრინციპების, ამოცანებისა და მიზნების, დემოგრაფიული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების ღონისძიებების შემცველი დოკუმენტი, რომელიც მთავრობამ უნდა განიხილოს. არ ვფიქრობ, რომ ეს პროგრამა უნაკლოა. ალბათ, მასში დასამატებელი ან გამოსაკლები წინადადებებიც მოიძებნება, ღონისძიებათა სხვაგვარი ინტერპრეტაციაც იქნება საჭირო, მაგრამ მთლიანობაში პროგრამა თანამედროვე დემოგრაფიულ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის ეროვნულ ინტერესებთან შეხამებით შემუშავდა.

საჭიროა, შეიქმნას **სპეციალისტთა 5-კაციანი კომისია,** რომლის წევრებსაც შრომა აუნაზღაურდებათ და, რომელიც გონივრულ ვადაში საბოლოო სახეს მისცემს პროგრამას. პარალელურად, მედიის მეშვეობით პროგრამა საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რათა მოსახლეობამ სრულად გააცნობიეროს დემოგრაფიული საფრთხე. საბოლოოდ პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა მთავრობას, რომელმაც უნდა გამოავლინოს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების პოლიტიკური ნება.

**უკვე წლებია, მთავრობა და საზოგადოებაც საუბრობს იმის შესახებ, რომ მრავალშვილიანობა გადაგვარჩენს, რომ მოხუცებს უნდა შევუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები, ხოლო მრავალშვილიან ოჯახებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ საქმე საუბრის იქით არ მიდის. თუ ასეთ უნაყოფო საუბრებში დავკარგავთ დროს და არ მივხედავთ ყველაზე დიდ ეროვნულ სატკივარს, ქართველი თავის სამშობლოში სანთლით საძებნი იქნება.** მოსახლეობის კვლავწარმოების პროცესების რეგულირების სფეროში დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფო ორგანოებისა და არასახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანმიმართული მოღვაწეობაა, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოების მოთხოვნებიდან. დემოგრაფიული პოლიტიკა ძირითადი ღონისძიებების ოთხ ჯგუფს გულისხმობს: **პირველი ჯგუფი** მოიცავს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს — კანონებს, დადგენილებებს, ბრძანებულებებს, მაგალითად, როგორიცაა ქორწინების მინიმალური ასაკის დადგენა, აბორტის უფლება, ბავშვთა უფლებები და სხვ.; **მეორე ჯგუფი** მოიცავს დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებებს; **მესამე ჯგუფს** მიეკუთვნება საინფორმაციო-პროპაგანდისტული ღონისძიებები; ხოლო **მეოთხე ჯგუფი** საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებებია, როგორიცაა ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურები, ცალკეული დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის სამთავრობო სტრუქტურები და სხვ.

საერთოდ, დემოგრაფიული პოლიტიკა უშუალოდ ორიენტირებულია დემოგრაფიული კვლავწარმოების მაჩვენებლების ცვლილებაზე, საოჯახო პოლიტიკა კი მიმართულია ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, მხარდაჭერაზე, ოჯახთა გარკვეული ჯგუფების დახმარებაზე. **დემოგრაფიული განვითარების პროგრამაში, გარკვეულწილად, საოჯახო პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის ღონისძიებებიცაა განხილული იმ ფარგლებში, რომლის საშუალებასაც მოგვცემს მოზიდული ფინანსური რესურსები.**

საქართველოში დემოგრაფიული ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის სრულყოფილად განსახორციელებლად აუცილებელია, შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაცია — **საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ცენტრი** (შემდგომ — „ცენტრი“), რომელსაც ექნება ფილიალები და მთავრობის მხარდაჭერა.

**უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდეგ, რაც უნდა დიდი სახსრები დავხარჯოთ ამ მიმართულებით, სასურველი შედეგი უმნიშვნელო ან, საერთოდ, არ იქნება.**

დემოგრაფიული ვითარების სწრაფად გაუმჯობესება შეუძლებელია. ამას უაღრესად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი ორი თაობა მაინც სჭირდება. გაანგარიშებულია, რომ, როდესაც გოგონები მიაღწევენ დაახლოებით 28-30 წელს, მაშინ ხდება დედათა თაობის სრული ჩანაცვლება. ეს ნიშნავს, რომ დემოგრაფიულ ვითარებას მყისიერად ვერ გავაუმჯობესებთ, რაც უნდა დიდი ფინანსური სახსრები გავიღოთ, რადგან დემოგრაფიული პროცესები ინერტულობით ხასიათდება – დაქორწინება შეიძლება მხოლოდ გარკვეული წლოვანების მიღწევის შემდეგ, ბავშვი ვერ გაჩნდება ცხრა თვეზე ადრე და სხვ.

ამას ადასტურებს შემდეგი გაანგარიშება: 1980-1989 წლებში, 10 წელიწადში, 454 ათასი გოგონა დაიბადა. დავუშვათ, რომ ყველას შეეძინა 2-2 ბავშვი (ამჟამად ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ 2 ბავშვზე ნაკლებს აჩენს და თაობათა განახლება ერთი და იმავე რაოდენობით ვერ ხერხდება), მაშინ ამ 454 ათას გოგონას ეყოლება 908 ათასი ბავშვი. ორი ათწლეულის შემდეგ, 2000-2009 წლებში, ისევ 10 წელიწადში, დაიბადა 236 ათასი გოგონა. თუ გავატარებთ აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას და ამ 236 ათას გოგონას ეყოლება 3-3 ბავშვი, მაშინ ქვეყანაში დაიბადება 708 ათასი ბავშვი, ე.ი., ზუსტად 200 ათასი ბავშვით ნაკლები, ვიდრე გააჩინეს 1980-1989 წლებში დაბადებულმა გოგონებმა. მხოლოდ შემდეგ თაობაში, თუ გატარებული ღონისძიებების შედეგად ნორმა იქნება 3-ბავშვიანი ოჯახი, დაიწყება მოსახლეობის გამრავლება.

**დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება საუკეთესო ხელშეწყობის პირობებშიც კი, დროის მცირე მონაკვეთში (10 ან, თუნდაც 15 წელიწადში), სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, მით უმეტეს, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში.** თუმცა, რა თქმა უნდა, თანდათანობით დაიწყება დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება, ამიტომ არის აუცილებელი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისთვის. **საფრანგეთში** სწორედ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი დემოგრაფიული ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობესდა დემოგრაფიული ვითარება და ამჟამად ევროპის ქვეყნებს შორის დემოგრაფიული მაჩვენებლები იქ თითქმის სხვებზე უკეთესია. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების მიერ დაწყებული დემოგრაფიული პოლიტიკის დადებით შედეგებს საბოლოოდ სხვა ხელისუფლება იღებს, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ინიციატორი ხელისუფლება კი მხოლოდ ნაწილობრივ იმკის გაწეული სამუშაოს შედეგებს, თუმცა საბოლოოდ მოგებული რჩება ერი. როცა ხელისუფლება უფრთხის მძიმე დემოგრაფიული ვითარების გასაჯანსაღებლად თანხების გაღებას, ამით უგულებელყოფს ეროვნულ ინტერესს. უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად გონივრული პოლიტიკის გატარებას იწყებს მხოლოდ პატრიოტიზმით გამსჭვალული ხელისუფლება, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა არის ერის გამრავლება და მისი ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, წარმატებული დემოგრაფიული პოლიტიკა **ეკონომიკურ განვითარებას** ეფუძნება. უახლოეს ათ წელიწადში, შეიძლება უფრო მეტი დროის განმავლობაშიც, ქვეყანა ვერ შეძლებს, მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების იმ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს კატასტროფის პირზე მისული დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების საიმედო პერსპექტივას. ამ პერიოდში, ეკონომიკური ფაქტორის გარდა, თვით დემოგრაფიული ფაქტორიც არანაკლებ როლს შეასრულებს. **ათ წელიწადში, მოსახლეობის ამჟამად არსებული დეფორმირებული ასაკობრივი სტრუქტურის პირობებში, მოსახლეობის დაბერების დონე და, შესაბამისად, პენსიონერების რაოდენობაც შესამჩნევად მოიმატებს. არც პენსია იქნება ერთ დონეზე და ათ წელიწადში იგი, წესით, ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. დაბერებული მოსახლეობის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად მოიმატებს სახელმწიფოს მიერ მათ სამკურნალოდ გაწეული ხარჯებიც, რაც მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

პატივისცემით,

**ანზორ თოთაძე,**
დემოგრაფი, პროფესორი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს აგრარული მიღწევების ძირითადი წყარო სტალინის სიბრძნე და ენერგიაა, რომელიც ხალხთა მატერიალური უზრუნველყოფისთვის ბრძოლას მოახმარა არა მხოლოდ მშობლიურ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სტალინური კოლექტივიზაციის გამარჯვება 1930-იან წლებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია 1941-1945 წლებში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა. რადგან ჩვენი თემა მეტად ვრცელია და ბევრ დარგს მოიცავს, აქ ყურადღებას შევაჩერებთ სტალინის როლზე საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3-5 (429)

# სტალინი და საქართველო

## ნაწილი IV



ერთხელ, თუ არ ვცდები, 1944 წლის გაზაფხულზე, სტალინი შემეკითხა:

— რა რაოდენობით უშვებთ ყოველწლიურად „თელიანს“?

— ორ-სამ ათას დეკალიტრამდე, — ვუპასუხე.

— ჩვენი ბაზრისთვის ეს წვეთია ზღვაში. არ შეიძლება, მეტი გააშენოთ ფრანგული ვაზი, რომ ხალხს ასეთი შესანიშნავი ღვინო მეტი მივაწოდოთ? მე ყოველთვის ვფიქრობ, არაყი კარგმა სუფრის ღვინოებმა უნდა შეცვალოს.

— სწორია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ „თელიანის“ მომცემი ვენახების გაფართოება არ მოხერხდება.

— რატომ?

ჩემი პასუხის დასასაბუთებლად ზემოთ მოყვანილი არგუმენტები მოვიშველიე და დავძინე:

— არათუ გაფართოება, ჩვენი საზრუნავი ახლა ის არის, რომ თელიანის ზვარი შევინარჩუნოთ. ამ ძვირფას ნაკვეთს წალეკვით ემუქრება მდინარე კისისხევი. დიდი წვიმიანობის დროს მისი განიერი კალაპოტი ივსება ღვარცოფით, რომელიც დამცავ ნაგებობებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ნაპირებს ვამაგრებთ, მაგრამ იმის გარანტია მაინც არ არის, რომ თელიანის ნაკვეთი მდინარის შემოტევას ყოველთვის დაუზიანებლად გადაურჩება.

— არ გქონიათ კარგად საქმე, — თქვა სტალინმა და იმ საღამოს თელიანზე სიტყვა აღარ ჩამოუგდია.

ეს საუბარი სტალინისგან ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობის გამოვლინებად ჩავთვალე და რაიმე სპეციალური ღონისძიება თელიანის ნაკვეთის დასაცავად და, მით უმეტეს, კაბერნეს ნარგავების გასაფართოებლად არ გაგვიტარებია.

1946 წლის დეკემბერია. ომი კარგა ხნის დამთავრებულია. ცხოვრება და სამეურნეო მშენებლობა ნორმალურ კალაპოტში დგება. საქმეებზე მოსკოვში ჩასულს სტალინთან შესახვედრად აგარაკზე მიწვევენ. სტალინი პოლიტბიუროს რამდენიმე წევრის მონაწილეობით ჩემგან დაყენებულ საკითხებს იხილავს. შემდეგ კი ჩვეულებრივად მაგიდასთან გვეპატიჟებიან.

ვახშმობისას სტალინი მოულოდნელად კაბერნეს საკითხს დაუბრუნდა და ნახევრადხუმრობით მკითხა:

— წაიღო თელიანის ნაკვეთი წყალმა თუ ისევ ადგილზეა?

კითხვამ ორი წლისწინანდელი საუბარი გამახსენა და თან გამაკვირვა: ნუთუ ამ კაცს, რომელსაც ომის დროს და ომის შემდეგაც იმდენი საზრუნავი ჰქონდა, ის უმნიშვნელო საუბარი დაამახსოვრდა?!

— თელიანს რა უნდა მოსვლოდა, ამხანაგო სტალინ, ის კვლავ თავის ადგილზეა, — ვუპასუხე.

— იმიტომ გეკითხებით, — განაგრძო სტალინმა, — რომ თქვენ ერთხელ თქვით, შეიძლება ეს ვენახი იქვე ჩამდინარე ხევმა წალეკოს და „თელიანის“ მარკის ღვინო აღარ გვექნებაო.

მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ 1944 წლის საუბრისას სტალინს ამ შინაარსის შეკითხვაზე დადებითად ვუპასუხე.

— არა, ამხანაგო სტალინ, თელიანს წყალს არ გავატანთ. მას ბეტონის კედლით ვზღუდავთ და საიმედოდ ვიცავთ.

— იცავთ, ალბათ, მაგრამ რატომ ამ ერთ ნაკვეთს შესჩერებიხართ და კაბერნეს ვენახებს არ აფართოებთ? თვითონ თელიანის ნაკვეთის გარშემო ხომ არის მიწის ფართობები, განა იქ იგივე ნიადაგი არ იქნება?! საერთოდ, ჩვენი მუშაკები ცდილობენ, ზოგჯერ დოგმებს ამოეფარონ. ასე ცხოვრება უფრო იოლია. თელიანის წარმოების გადიდება შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი პრობლემა იყოს, მაგრამ დიდ საკითხებშიც ვხვდებით ამგვარ მიდგომებს. თქვენ კი გირჩევთ, — დაასრულა სტალინმა თავისი შეგონება, — თელიანსა და მის მიდამოებში გამოძებნოთ შესაფერისი ფართობები და გააშენოთ კაბერნეს ჯიშის ახალი ზვრები. მოელაპარაკეთ კვების სახალხო კომისარიატს და შეუდექით ამ საქმეს. ნახავთ, რომ „თელიანის“ მარკის ღვინის წარმოება საქართველოში მნიშვნელოვნად მოიმატებს.

სათქმელი არაფერი მქონდა, არგუმენტები ანგარიშგასაწევი იყო.

**სტალინი ყოველთვის კონკრეტულ და ნათელ დავალებებს იძლეოდა, მაგრამ ერთი ჩვეულებაც ჰქონდა: ზოგჯერ ამა თუ იმ აზრს მსჯელობის საგნად აქცევდა, სხვებსაც მოუსმენდა და შემდეგ დასკვნას გააკეთებდა, ოღონდ პირდაპირ არ გეტყოდა, რომ მიღებული დასკვნა სავალდებულოდ და განსახორციელებლად მიაჩნდა. პირველ ხანებში ეს გარემოება გაურკვეველ მდგომარეობაში მაყენებდა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ, თუ საქმე პრაქტიკული ხასიათისა იყო, სტალინი სიტყვას ბანზე არ აგიგდებდა: კარგა ხნის შემდეგ გკითხავდა, ამა და ამ საკითხზე რომ ვისაუბრეთ, ზომები თუ მიიღეთო. ეს „კარგა ხანი“ ზოგჯერ წელიწადი და მეტიც შეიძლება ყოფილიყო,** ამიტომ სტალინის ამგვარ წინადადებებს ადგილზე გულმოდგინედ ვსწავლობდით, მეტწილად ვახორციელებდით, ხოლო ზოგჯერ, თუ ეს არ ხერხდებოდა ან მიზანშეწონილი არ იყო, მორიგი შეხვედრისას მოვახსენებდი.

**სტალინმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში ვაზის ბევრი სამეურნეო მნიშვნელობის ჯიშია გავრცელებული. მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ კახეთში, ძირითადად, კახური ჯიშებია, ქართლში — ქართლური, იმერეთში — იმერული, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში — ჯიშები, რომლებიც ნახევრადტკბილ ღვინოებს იძლევა.**

— მე არ მჯერა, — თქვა ერთი შეხვედრისას სტალინმა, — რომ ვაზის ჯიშების ასე მკაცრი დარაიონება გამართლებული იყოს. თუ ევროპული ვაზები ხეირობს კახეთში, ქართლში, ნუთუ საქართველოს დასავლეთის საუკეთესო ჯიშების აღმოსავლეთ რაიონებში გადმოტანა შედეგს არ მოგვცემს?!

მე გადმოვალაგე ჩემი არგუმენტები იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით — ქართლის, ვაზის მასობრივი ჯიშები პირველი და მეორე პერიოდების სიმწიფისანი არიან, კახეთში — მესამისა, ამიტომ ყურძენი შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდში ასწრებს მოსვლას, **დასავლეთ საქართველოში კი ვეგეტაციის ხანგრძლივობა უფრო დიდია, ყურძენს ერთი თვით, ექვსი კვირით გვიან კრეფენ. ეს დარაიონება თავისთავად, ბუნებრივად მოხდა. მევენახეობის საცდელი ნაკვეთების მონაცემებიც მოწმობს, რომ სხვა რაიონებში გადატანილი ჯიშები დაბალ მოსავალს იძლევა — მათგან მიღებული ღვინოც არ არის ისეთი ღირსების, როგორც ძირითად რაიონებში.**



კანდიდ ჩარკვიანი

— ეს ყველაფერი თეორიაა, — მიპასუხა სტალინმა, — საცდელი ნაკვეთების მცირე მასშტაბის გამო მათი მონაცემები საბოლოო დასკვნის გამოსატანად საკმარისი არ არის. მიმაჩნია, რომ ფართო საწარმოო ცდა უნდა ჩაატაროთ. დარგეთ გადმოტანილი ჯიშები 2-3-10 ჰექტარზე თითო რაიონში. განა ცუდი იქნება, რომ „ხვანჭკარა“, „ოჯალეში“, „ჩხავერი“ აღმოსავლეთ საქართველოშიც ვაწარმოოთ? საბჭოთა მომხმარებელი ხომ ეძებს ამ ღვინოებს მოსკოვში, ლენინგრადში, სხვა ქალაქებში, მაგრამ ამაოდ. თქვენ ადგილას, თეორიებს კი არ ამოვეფარებოდი, ფართო ცდებს მოვაწყობდი, იქნებ გაამართლოს.

— ვეჭვობ, ამხანაგო სტალინ, რომ ამ ცდამ გაამართლოს. სხვადასხვა მიკრორაიონში ერთი და იგივე ჯიშიც კი სხვადასხვა ხარისხის ღვინოს იძლევა. ეს მეღვინეობაში მტკიცედ დადგენილი ჭეშმარიტებაა. ალექსანდროული აღმოსავლეთ საქართველოში „ხვანჭკარას“ არ მოგვცემს, საფერავიდან დასავლეთ საქართველოში „მუკუზანი“ არ გამოვა.

— ჭეშმარიტებას მექანიკურად ნუ გავიგებთ, **ავიღოთ კაბერნე. ეს ფრანგული ჯიში კახეთში მშვენიერ ღვინოს იძლევა. იქნებ კახეთშიც მოიძებნოს მიკრორაიონი, სადაც ალექსანდროული კარგად იხარებს, კარგ ღვინოსაც მოგვცემს. გიცდიათ? — არა, არ გიცდიათ. თქვენი თეორიით, ვაზის ჯიშების ერთი რაიონიდან მეორეში გადატანა არ შეიძლება. ასე რომ იყოს, ჩვენ არც კაბერნე გვექნებოდა, არც მუსკატი, რომლისგანაც ყირიმში შესანიშნავი ღვინო დგება. პრაქტიკით უნდა შემოწმდეს, იხარებს თუ არა ესა თუ ის ვაზი სხვა რაიონში და მოგვცემს თუ არა იმ ჯიშის შესაფერის ღვინოს.**

არაფერი მეთქმოდა. ასეთი ცდა ჩვენი მიწათმოქმედების ორგანოებს მართლაც არ ჩაუტარებიათ. სტალინის მოთხოვნა სამართლიანი იყო და მეც აღვუთქვი, რომ უკვე იმავე წლის შემოდგომიდან ვაზის ჯიშებს მათთვის ახალ რაიონებში საცდელად დავრგავდით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცდების ჩატარება შეცდომად არ მიმაჩნდა, მაინც ვფიქრობდი, რომ უსახელოურის, ოჯალეშის, ჩხავერის აღმოსავლეთ საქართველოში, მეტადრე კახეთში, შემოტანა არაფერს მოგვცემდა. მსოფლიოში განთქმული კახური ვაზის ჯიშების ყურძნისგან, სუფრის ღვინოებთან ერთად, თუ მოისურვებთ, ნახევრადტკბილი ღვინოების მიღებაც შეიძლება, მაგრამ არის კი ეს საჭირო? განა მიზანშეწონილია, რომ, მაგალითად, საფერავის მოსავალი, ისტორიულად ჩამოყალიბებული „ქინძმარაულის“ გარდა, სხვა ნახევრადტკბილი ღვინოების დასამზადებლად იხარჯებოდეს? კახეთი უბადლო სუფრის ღვინოების მხარეა და ასეთ მხარედ უნდა დარჩეს.

— ეს ყველაფერი არ არის, — განაგრძო სტალინმა, — **თქვენთან ძალიან ბევრი ჯიშია. ეს მრავალფეროვნება ბოტანიკისთვის კარგია, მაგრამ მეურნეობისთვის არ არის მისაღები. მხოლოდ საუკეთესო სამრეწველო ჯიშები უნდა მოაშენოთ. მეღვინეობაში ხარისხია გადამწყვეტი. უჯიშო ვაზი კი ხარისხიან ღვინოს არ მოგცემთ. მე, მაგალითად, მეუბნებიან, რომ ქართლში გავრცელებულია რაღაც ქიწნურა — ჰიბრიდული ჯიში. ღვინო არაფრად ვარგა, ყურძენს მრეწველობა არ ყიდულობს, ვაზს კი ათასობით ჰექტარი მიწა უკავია. უნდა შევცვალოთ ეს ჰიბრიდი ხარისხიანი ვაზით.**

— ამხანაგო სტალინ, ქართლის რაიონებში ქიწნურას ნარგაობა საკარმიდამო ნაკვეთებზე აქვთ. გლეხები მის ღვინოს არ წუნობენ. ამასთანავე, ვაზი მავნებლებსა და ავადმყოფობებს უძლებს. არც საძირეზე გაშენება სჭირდება, არც შეწამვლა. კოლმეურნეები ჰიბრიდებს ადვილად არ შეელევიან.

— ამბობთ, გლეხები ჰიბრიდების ღვინოს არ იწუნებენო. გლეხების გემოვნებას მაინცდამაინც ნუ დაუჯერებთ. მახსოვს, ქართლში ღვინოს ზოგიერთი გლეხი არაყს უმატებდა შესამაგრებლად, ზოგი კიდევ თამბაქოსაც შიგ ჩაყრიდა, მაგრამ ეს ხომ ღვინო არ არის. საკარმიდამო ნაკვეთებზეც კულტურული ვენახი უნდა გქონდეს. თქვენ წინასწარ ნუ გადაწყვეტთ, რომ გლეხები ქიწნურას არ დათმობენ. ხელი შეუწყვეთ ტრაქტორებით პლანტაჟის გაკეთებაში, მიეცით სარგავი მასალა და ნახავთ, თუ კოლმეურნე ხარისხოვანი ვაზის გაშენებას არ არჩევს.

— ამხანაგო სტალინ, ტრაქტორებით, საპლანტაჟე გუთნებით, საწვავით დახმარება დაგვჭირდება. ვენახების გაშენების ისედაც დიდი გეგმები გვაქვს. გამოყოფილი რესურსებით ამდენს ვერ შევძლებთ.

— ცხადია, დაგეხმარებით, — შემპირდა სტალინი და მევენახეობაზე საუბარიც ამით დამთავრდა.

ომის პერიოდში ვენახები სერიოზულად დაზიანდა; შხამქიმიკატების უქონლობისა და მუშახელის სიმცირის გამო ვაზს მოვლა დააკლდა, ბევრგან დასუსტდა, ნაწილობრივ სულ დაიღუპა, მეტიც — საკარმიდამო ვენახებიც დაზარალდა. სწორედ იმ ხანებში, როცა სტალინთან ზემოთ აღნიშნული საუბარი გაიმართა, რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას ვამზადებდით. სტალინის მოსაზრებები გეგმის პროექტში გავითვალისწინეთ. გეგმა 1946 წლის ოქტომბრის ბოლოს დამტკიცდა. ადრინდელი გეგმებისგან განსხვავებით, ახლა რაიონებს ვენახების გაშენება ჯიშების მიხედვითაც დაევალა. ▶

ფოთი



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი ყოველთვის კონკრეტულ და ნათელ დავალებებს იძლეოდა, მაგრამ ერთი ჩვეულებაც ჰქონდა: ზოგჯერ ამა თუ იმ აზრს მსჯელობის საგნად აქცევდა, სხვებსაც მოუსმენდა და შემდეგ დასკვნას გააკეთებდა, ოღონდ პირდაპირ არ გეტყოდა, რომ მიღებული დასკვნა სავალდებულოდ და განსახორციელებლად მიაჩნდა. პირველ ხანებში ეს გარემოება გაურკვეველ მდგომარეობაში მაყენებდა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ, თუ საქმე პრაქტიკული ხასიათისა იყო, სტალინი სიტყვას ბანზე არ აგიგდებდა: კარგა ხნის შემდეგ გკითხავდა, ამა და ამ საკითხზე რომ ვისაუბრეთ, ზომები თუ მიიღეთო. ეს „კარგა ხანი“ ზოგჯერ წელიწადი და მეტიც შეიძლება ყოფილიყო.**

◀ გეგმაში შევიდა ზოგიერთი დასავლეთ-ქართული ვაზის ჯიშის აღმოსავლეთ რაიონებში საცდელად გაშენება: 1947-1948 წლებში ჩხავერი აქ უნდა დარგულიყო 45 ჰექტარზე, ოჯალეში — 25 ჰექტარზე, უსახელოური — 18 ჰექტარზე. ალექსანდროულის ნარგავები კახეთში და ქართლში მანამდეც იყო.

ცდამ შედეგი ვერ გამოიღო. მეოთხე ხუთწლედის დავალება დასავლური ჯიშების აღმოსავლეთ რაიონებში ინტროდუქციის შესახებ არ შეიძლებოდა, არ შესრულებულიყო. მიუხედავად ამისა, 1950-იანი წლების შუა ხანებისათვის ქართლსა და კახეთში აღირიცხა: ოჯალეში — სულ 1,97 ჰექტარი, უსახელოური — 0,43 ჰა, ალექსანდროული 3,58 ჰექტარი, ჩხავერის კვალი უკვე აღარ ჩანდა.

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის ზოგიერთი საკითხი სტალინის აგარაკზე სუფრასთან წამოიჭრებოდა და წყდებოდა კიდეც. ეს გასაგები უნდა იყოს. სტალინის მაგიდაზე ქართული ღვინოები იდგა და მხოლოდ ეს გარემოება საკმარისი იყო, მათ წარმომავლობაზე, ხარისხზე, სამეურნეო მნიშვნელობაზე საუბრის წამოწყების მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩვენი ღვინოების საკითხი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. აქ ბევრ, გაცილებით მნიშვნელოვან პრობლემებზე იყო სჯა-ბაასი“.

არ არსებობს საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის განვითარებაზეც სტალინს უზარმაზარი სამუშაო არ ჰქონდეს ჩატარებული. მხოლოდ ის რად ღირს, რამდენი ფარული თუ ღია მითითება და განკარგულება გასცა დატოტვილი ხორბლის თავთავის აღმოჩენაზე, რომელიც რევოლუციას მოახდენდა მსოფლიოში და რომელიც პატარა საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს აგრარული მიღწევების ძირითადი წყარო სტალინის სიბრძნე და ენერგიაა, რომელიც ხალხთა მატერიალური უზრუნველყოფისთვის ბრძოლას მოახმარა არა მხოლოდ მშობლიურ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სტალინური კოლექტივიზაციის გამარჯვება 1930-იან წლებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია 1941-1945 წლებში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა. რადგან ჩვენი თემა მეტად ვრცელია და ბევრ დარგს მოიცავს, აქ ყურადღებას შევაჩერებთ სტალინის როლზე საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში.

მეორე საკითხად უნდა განვიხილოთ სტალინის როლი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ქალაქმშენებლობაში, რომლის ნათელ მაგალითადაც გამოდგება 1935 წლის ოქტომბერში სტალინისა და ბერიას კონფიდენციალური შეხვედრა შავი ზღვის სანაპიროზე, საუბარი და გადაწყვეტილების მიღება. აი ისიც:

**„დადგენილება**
**სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოსი**
**16 თებერვალი, 1936 წელი**
**პარაგრაფი №3**

„ქ. ფოთში ფლოტისათვის ბაზის მშენებლობის გეგმისა და მოცულობის შესახებ“.

თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობის ვადაზე დაწყებისა და ამასთან დაკავშირებული ნაგებობების მშენებლობისთვის:

**პირველი.** დაევალოს სსრკ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

**ა)** თავდაცვის სახალხო კომისარიატის დავალებით, ბაზის მშენებლობის ადგილას გაასწოროს მდინარე რიონის ნაპირები ისე, რომ აკვატორიის სიგანე გახდეს 480 მეტრი, სიღრმე — 5,5 მეტრი, ზოგან 3-4 მეტრი. სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1938 წლის 1 მაისისთვის;

**ბ)** წარმოიქმნას ბაზის ტერიტორია 2 მეტრ ნიშნულამდე რეფულირების გზით. საერთო მოცულობით 650 000 კვ.მ 1938 წლის 1 იანვრამდე. გამაგრდეს ნაპირი 600 მეტრის მანძილზე 1938 წლის 1 იანვრამდე, ხოლო დანარჩენი 1200 მეტრი — 1939 წლის 1 იანვრამდე;

**გ)** 5,5 მეტრით გაღრმავდეს და გაფართოვდეს მდინარე რიონის ძველი კალაპოტი ჩრდილოეთი შენაკადის ფარვატერის შესართავთან ბაზამდე, საერთო სიგრძით 4 კილომეტრამდე, სიგანით — 50 მეტრამდე. სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1939 წლის 1 იანვრამდე;

**დ)** გაკეთდეს არხი სიგანით 40 მეტრი, სიღრმით — 3,6-4 მეტრი ბაზის აკვატორიიდან პალიასტომის ტბამდე. ჰიდროავიაციის დასაჯდომად გაღრმავდეს პალიასტომის ტბა 3,6-4 მეტრით, სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1938 წლის 1 იანვრამდე, ხოლო არხის მშენებლობა — 1939 წლის 1 იანვრამდე;

**ე)** 1938 წლის ბოლომდე 100 მეტრით გაფართოვდეს სავაჭრო გემებისთვის მისადგომი და 1937 წლის 1 მარტამდე შემუშავდეს ტექნიკური პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მეორე გამოსასვლელს სამხედრო-საზღვაო ბაზიდან მდინარე რიონის ძველი კალაპოტის სამხრეთ შენაკადიდან, სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1939 წელს;

**ვ)** 1939 წლის 1 ივლისისთვის დამთავრდეს რეკონსტრუქცია ქალაქ ფოთში არსებული ყველა სარემონტო სახელოსნოებისა გემებისთვის, 1 მილიონი მანეთის რაოდენობით, გემების სადგომების უზრუნველყოფით;

**ზ)** აშენდეს დამცავი ჯებირი მდინარე რიონის ახალი შესართავის დასაცავად სავაჭრო გემებისთვის 1940 წლის 1 იანვრისთვის, რაც უზრუნველყოფს მდინარის შესართავთან მისი ჩრდილოეთის შენაკადთან დიდი კუნძულის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის დაცვას. ჯებირის საერთო სიგრძე უნდა იყოს 1500 მეტრი, რაც მთელი სანაპირო ზოლის დაცვას უზრუნველყოფს რიონის ადიდების შემთხვევაში;

**თ)** წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად ჩატარდეს მდინარე რიონზე არსებული 3 გახსნილი ხიდის რეკონსტრუქცია. ქალაქ ფოთში ხიდები უნდა გაიხსნას 25 მეტრით გემების გასატარებლად 10 წუთში. სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1939 წლის 1 იანვრისთვის.

**მეორე.** სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალოს:

ა) ქ. ფოთი უზრუნველყოფილი იქნას ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდებით 1937 წლის 1 ოქტომბრისთვის, რისთვისაც უნდა აშენდეს 110-კილოვატიანი გადამცემი ხაზი ახალი სენაკიდან ფოთამდე;

ბ) აშენდეს 35-კილოვატიანი გადამცემი ხაზი ქალაქ მახარაძიდან (ოზურგეთი — გ.ო.) 1939 წლის 1 იანვრისთვის;

გ) გადამცემი ხაზის ტექნიკური პროექტირება დამთავრდეს 1937 წლის 1 იანვრამდე.

**მესამე.** სსრკ სახალხო კომისარიატს დაევალოს:

ა) გასწორდეს რკინიგზის ხაზი. ბაზასთან არსებული სატვირთო-სამგზავრო გზები და შენობები გადაეცეს თავდაცვის სახალხო კომისარიატის ბაზას;

ბ) წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად შეიქმნას პროექტი გაერთიანებული სარკინიგზო და საზღვაო სადგურებისა ქ. ფოთში. სავაჭრო სადგურისა და სარკინიგზო ვაგზლის მშენებლობა უნდა დაიწყოს 1937 წელს და დამთავრდეს 1938 წელს.

**მეოთხე.** საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს დაევალოს:

ა) მდინარე რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების გამო 1937 წლის 1 იანვრისთვის აშენდეს ახალი წყალსადენი წამში 95 ლიტრის სიმძლავრის, ხოლო 1938 წელს აშენდეს წყალსადენის მეორე რიგი წამში 115 ლიტრი სიმძლავრის. სამუშაოები დამთავრდეს 1940 წლისთვის, რისთვისაც სსრკ სახალხო მეურნეობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 3.5 მილიონი მანეთი. 1937 წელს გათვალისწინებულ იქნას პირველი რიგის წყალსადენისთვის საჭირო თანხები;

ბ) 1937 წლის 1 იანვრისთვის დაპროექტებულ იქნას ქალაქ ფოთის კანალიზაცია. ქალაქისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ინტერესების გათვალისწინებით გამოყოფილი იქნას 1937 წლის საჭირო თანხა. სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1938 წელს.

**მესუთე.** სსრკ კავშირგაბმულობის კომისარიატს დაევალოს:

1937-1938 წლებში ქ. ფოთში აშენდეს სატელეფონო ავტომატური სადგური 2000 ნომრით, რომელიც მოემსახურება ქალაქს, თავდაცვის კომისარიატს და წყალთა მეურნეობის კომისარიატს.

**მეექვსე.** დაევალოს სსრკ სესხის სახალხო კომისარიატს:

ა) 1936 წელს ჩაატაროს სამხედრო-საზღვაო ბაზის რეფულირება თავდაცვის სახალხო კომისარიატის მითითებით 2 მეტრის ნიშნულამდე 100 000 კვ. მ-ზე;

ბ) 1937 წელს დაასრულოს ტერიტორიის დაშრობა ბაზის გარშემო თავდაცვის კომისარიატის მითითებით. ელექროგადამცემი ხაზის უზრუნველსაყოფად დამთავრდეს გზის მშენებლობა ფოთსა და ახალ სენაკს შორის 1937 წლის 1 იანვრამდე.

**მეშვიდე.** ჩამოთვლილი სამუშაოების დაჩქარების მიზნით:

ა) წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს მიეცეს ნება, ტექნიკური პროექტის დამტკიცებამდე, 1936 წლიდან დაიწყოს დროებითი ნაგებობების მშენებლობა, აგრეთვე, ნაპირებთან წყლის დონის მოსამატებლად საჭირო სამუშოები, რისთვისაც სსრკ სახალხო კომისარიატის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 1 მილიონი მანეთი;

ბ) ქ. ფოთში ქვესადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს ნახევარი მილიონი მანეთი;

გ) დაევალოს წყალთა მეურნეობის საკავშირო სახალხო კომისარიატს და სხვა უწყებებს, აგრეთვე, საქართველოს სახალხო კომისარიატს, 20 დღის განმავლობაში წარუდგინოს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განაცხადები მასალებისა და მოწყობილობების შესახებ 1936 წლის სამუშაოებისთვის და 1937 წლის სამუშაოების მოსამზადებლად.

სსრკ საგეგმო კომიტეტს დაევალოს განაცხადების დაკმაყოფილება მიღებიდან 10 დღის განმავლობაში“.

**დადგენილების პროექტი, რომელიც უშუალოდ სტალინისა და ბერიას დავალებით მომზადდა, ფოთის, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი პორტის ხელახალ დაბადებას ნიშნავდა.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**«ავილოთ კაბერნე. ეს ფრანგული ჯიში კახეთში მშვენიერ ღვინოს იძლევა. იქნებ კახეთშიც მოიძებნოს მიკრორაიონი, სადაც ალექსანდროული კარგად იხარებს, კარგ ღვინოსაც მოგვცემს. გიცდიათ? — არა, არ გიცდიათ. თქვენი თეორიით, ვაზის ჯიშების ერთი რაიონიდან მეორეში გადატანა არ შეიძლება. ასე რომ იყოს, ჩვენ არც კაბერნე გვექნებოდა, არც მუსკატი, რომლისგანაც ყირიმში შესანიშნავი ღვინო დგება. პრაქტიკით უნდა შემოწმდეს, იხარებს თუ არა ესა თუ ის ვაზი სხვა რაიონში და მოგვცემს თუ არა იმ ჯიშის შესაფერის ღვინოს»**



სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი და მოლოტოვი სუფრასთან

**«თქვენთან ძალიან ბევრი ჯიშია. ეს მრავალფეროვნება ბოტანიკისთვის კარგია, მაგრამ მეურნეობისთვის არ არის მისაღები. მხოლოდ საუკეთესო სამრეწველო ჯიშები უნდა მოაშენოთ. მეღვინეობაში ხარისხია გადამწყვეტი. უჯიშო ვაზი კი ხარისხიან ღვინოს არ მოგვცემს. მე, მაგალითად, მეუბნებიან, რომ ქართლში გავრცელებულია რაღაც ქინწურა — ჰიბრიდული ჯიში. ღვინო არაფრად ვარგა, ყურძენს მრეწველობა არ ყიდულობს, ვაზს კი ათასობით ჰექტარი მიწა უკავია. უნდა შევცვალოთ ეს ჰიბრიდი ხარისხიანი ვაზით»**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ში მასობრივ მკვლელებს შორის ბევრია მოსწავლე, სტუდენტი, რიგითი ჯარისკაცი, რომლებსაც მკვლელობის ჩადენა სკოლებსა და ოფისებში სწადიათ. უბედურება არის ის, რომ ეს მკვლელები სამაგალითოდ იქცნენ ლუზერებისთვის (წარუმატებელი ადამიანები) არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ გერმანიაში, ფინეთში, კანადაში, ნორვეგიაში (ბრეივიკი).**

# 5 ყველაზე შემაძრწუნებელი ხოცვა-ქლეტა აშშ-ის სკოლებში

**14 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პარკლენდის (ფლორიდის შტატი) საშუალო სკოლა Marjory Stoneman Dougkgas-ში ამ სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, 19 წლის ნიკოლას კრუზმა ნახევრადავტომატური შაშხანა AR-15-დან სროლა ატეხა. დაიღუპა 17 (ბავშვები და ზრდასრულები) და დაიჭრა 15 ადამიანი. ბოროტმოქმედი პოლიციამ დააკავა.**

პარკლენდის ტრაგედიას მყისვე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი:**

„ჩემი ლოცვა და თანაგრძნობა მიმართულია ფლორიდაში მომხდარი საზარელი სროლებისგან დაზარალებული ოჯახებისკენ. ამერიკულ სკოლაში არც ერთი ბავშვი, მასწავლებელი თუ სხვა თავს საფრთხეში არ უნდა გრძნობდეს“, — დაწერა ტრამპმა სოციალურ ქსელში.

სამწუხაროდ, ტრამპის სიტყვების მიუხედავად, აშშ-ის სკოლებში მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც, დიდი ხანია, თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ. **ამერიკული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის პირველი 45 დღის განმავლობაში ამერიკის სკოლებში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის 18 შემთხვევა აღირიცხა.**

აი აშშ-ის სკოლებში მომხდარი ყველაზე მასობრივი მკვლელობების ჩამონათვალი:

*** 1927 წელი, მიჩიგანი, 44 ადამიანის მკვლელობა**

აშშ-ის ისტორიაში მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით ყველაზე მასობრივი მკვლელობა სკოლაში 1927 წლის 18 მაისს მიჩიგანის შტატის ქალაქ ბეტში მოხდა. 55 წლის **ენდრიუ ფილიპ კიჰომ** ჯერ კლინიკიდან შინ დაბრუნებული თავისი ცოლი **ელენი** მოკლა თავში მძიმე საგნის ჩარტყმით, შემდეგ გადაწვა ფერმა, რომელშიც ცხოვრობდნენ; შემდეგ წავიდა და ბეტის სკოლის შენობის ჩრდილოეთი ნაწილი ააფეთქა. დაიღუპა 37 ადამიანი: 35 ბავშვი და 2 ზრდასრული. ნახევარი საათის შემდეგ მკვლელი კვლავ მივიდა სკოლასთან და იარაღიდან სკოლის შენობაში დამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას გაუხსნა ცეცხლი. აფეთქების შედეგად თვითონაც გამოესალმა სიცოცხლეს და 2 ადამიანი. მოგვიანებით ჭრილობებისგან კიდევ სამი ადამიანი მოკვდა. სულ კი დაიღუპა 44 და დაიჭრა 58 ადამიანი.

*** 2012 წელი, დაწყებითი სკოლა „სენდი ჰუკი“, 26 ადამიანის მკვლელობა**

2012 წლის 14 დეკემბერს, 20 წლის **ადამ პიტერ ლენზამ** ჯერ დედა მოკლა, შემდეგ ავტომობილში ჩაჯდა და გაემგზავრა ქალაქ ნიუტონის (კონექტიკუტის შტატი) დაწყებით სკოლა „სენდი ჰუკში“. შაშხანითა და 3 პისტოლეტით შეიარაღებულმა ლენზამ სკოლაში შესვლისთანავე გახსნა ცეცხლი. დაიღუპა 26 ადამიანი, მათ შორის, 6-7 წლის 12 გოგონა და 8 ბიჭი, აგრეთვე, ზრდასრულები და სკოლის დირექტორი, დაიჭრა — 2. ლენზამ თავი მოიკლა.



ნიკოლას კრუზი



ენდრიუ ფილიპ კიჰო



კრისტოფერ შონ ჰარპერ-მერსერი




სკოლა „სენდი ჰუკი“

*** 1999 წელი, სკოლა „კოლუმბაინი“, 13 ადამიანის მკვლელობა**

1999 წლის 20 აპრილს ჯეფერსონის ოლქის (კოლორადოს შტატი) სკოლა „კოლუმბაინში“ 17-18 წლის მოსწავლეებმა — **ერიკ ჰარისმა** და **დილან კლებოლდმა** — ცეცხლი გაუხსნეს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. მძიმედ დაიჭრა 37 ადამიანი, მათგან 13 დაიღუპა. ჰარისმა და კლებოლდმა თავი მოიკლეს.

*** 2015 წელი, ქალაქი როზბერგი, 9 ადამიანის მკვლელობა**

2015 წლის 1 ოქტომბერს ორეგონის შტატის ქალაქ როზბერგში მოსწავლეთა საშინელი მასობრივი მკვლელობა მოხდა. 26 წლის **კრისტოფერ შონ ჰარპერ-მერსერმა** კოლეჯ ამპკვას კამპუსის (სტუდენტების საერთო საცხოვრებელი) ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 9 ადამიანი მოკლა, 9 დაჭრა და შემდეგ თავი მოიკლა. ეს მეორე ასეთი ინციდენტი იყო როზბერგში. პირველი მოხდა 2006 წლის 23 თებერვალს: 14 წლის მოსწავლემ **ვინსენტ უეინ ლეუდორფმ**, რომელსაც კლასელები გამუდმებით დასცინოდნენ, პისტოლეტიდან გასროლით მძიმედ დაჭრა 16 წლის ჯოზეფ მონტი. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ კოლეჯში სისხლიანი კალოს დამტრიალებელი ჰარპერ-მერსერი, რომელსაც 18 წლის შესრულების შემდეგ მამა აღარ უნახავს, აშშ-ის არმიაში მსახურობდა. ახალგაზრდა მამაკაცი დედასთან ერთად ცხოვრობდა სახლში, სადაც 14 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი ინახებოდა (დედას იარაღის შეძენა-შენახვის უფლება ჰქონდა). ჰარპერ-მერსერი ანტირელიგიურ და რასისტულ იდეებს იზიარებდა.

* * *

დემოკრატიის ციტადელად წოდებულ ამერიკაში მასობრივი მკვლელობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სწორედ „ჩვეულებრივი მოვლენა“ უწოდა მოსწავლეების მასობრივ მკვლელობას პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელმაც თავისი პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის კონგრესს 15-ჯერ (!) სთხოვა (და არა — მოსთხოვა) მოქალაქეებისთვის იარაღის თავისუფალი გაყიდვის შეზღუდვა. აშშ-ის პრეზიდენტს კარგად ესმოდა, რომ იარაღის მწარმოებლებს ვერ აიძულებდა, შეეწყვიტათ გაყიდვა პროდუქციისა, რომელზეც დიდი მოთხოვნაა ამერიკაში. იარაღის ლობისთან დაპირისპირება ნიშნავს დაპირისპირებას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან, რომელიც უოლ სტრიტთან ერთად ამერიკული სისტემის ბურჯია.

აშშ-ის პრეზიდენტი **ჯონ კენედი** პირველი იყო, ვინც დაუპირისპირდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და მის საქმიანობაში გარკვევა მოისურვა, მაგრამ რით დასრულდა ეს, ყველასთვის ცნობილია....

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თვლის, რომ პლანეტაზე წესრიგის დამყარება მხოლოდ მას შეუძლია, მსოფლიოს ლიდერად იქცა ქვეყნის შიგნით ჩადენილი მასობრივი მკვლელობების მხრივ, თუმცა პირველობას არც მსოფლიოს ქვეყნებში მოსახლეობის მასობრივად განადგურების მხრივ თმობს** (ვიეტნამი, კამბოჯა, სერბეთი, ლაოსი, ერაყი, ლიბია, სირია და ა.შ.). **აშშ-ზე, სადაც დედამიწის მოსახლეობის 5 პროცენტი ცხოვრობს, ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, 1966 წლიდან დღემდე მსოფლიოში ჩადენილი მასობრივი მკვლელობების 31% მოდის. ამ მხრივ დანარჩენი ქვეყნები (ფილიპინები, იემენი, საფრანგეთი), რომლებშიც შედარებით დიდია მასობრივი მკვლელობების რაოდენობა, ახლოსაც ვერ მივლენ „დემოკრატიის მამამთავარ“ სახელმწიფოსთან. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში მცხოვრებთა სახელზე, 2015 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულია 270 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი(?!) — 100 კაცზე თითქმის 90 ერთეული.**

ამასთანავე, აშშ-ში მასობრივ მკვლელებს შორის ბევრია მოსწავლე, სტუდენტი, რიგითი ჯარისკაცი, რომლებსაც მკვლელობის ჩადენა სკოლებსა და ოფისებში სწადიათ. უბედურება არის ის, რომ ეს მკვლელები სამაგალითოდ იქცნენ ლუზერებისთვის (წარუმატებელი ადამიანები) არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ გერმანიაში, ფინეთში, კანადაში, ნორვეგიაში **(ბრეივიკი).**

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**



სკოლა „ბეტი“




სკოლა „კოლუმბაინი“

## საქართველოს სახელმწიფო ვალი 16 მლრდ დოლარზე მეტია, ხოლო მოსახლეობის ვალი კომერციული ბანკების მიმართ, 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 19,7 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2017 წელთან შედარებით 1,4 მილიარდით მეტია, 2016 წელთან შედარებით კი — 6,4 მლრდ-ით(!)

რეიტინგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლების განცხადებების მიუხედავად, რომ საქართველოს პოზიციები ყველა სარეიტინგო სიაში გაუმჯობესდა, გაეროს მონაცემები საპირისპიროზე მიუთითებს

**საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები ბოლო პერიოდში ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა სარეიტინგო სიაში, რომლებიც ეკონომიკის მაჩვენებლებზეა გათვლილი, საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა და ქვეყანა აყვავების გზას ადგას.**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 123 | ▲7 | Mauritania | 4.292 | ▲0.091 | 0.648 | 1.272 | 0.285 | 0.096 | 0.202 | 0.137 | 1.652 |
| 124 | ▲1 | Congo (Brazzaville) | 4.291 | ▲0.019 | 0.809 | 0.832 | 0.290 | 0.435 | 0.121 | 0.080 | 1.724 |
| 125 | ▲1 | Georgia | 4.286 | ▲0.034 | 0.951 | 0.571 | 0.650 | 0.309 | 0.054 | 0.252 | 1.500 |
| 126 | ▲1 | Congo (Kinshasa) | 4.280 | ▲0.044 | 0.092 | 1.229 | 0.191 | 0.236 | 0.246 | 0.060 | 2.225 |
| 127 | ▲8 | Mali | 4.190 | ▲0.117 | 0.476 | 1.281 | 0.169 | 0.307 | 0.183 | 0.105 | 1.668 |

„ბოლო ხუთ წელიწადში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა თითქმის ყველა რეიტინგში ეკონომიკური მიმართულებით. მაგალითისთვის მინდა მოგახსენოთ, რომ, Fraser Institute-ის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანახმად, საქართველო მე-8 ადგილზეა მსოფლიოში. კერძო საკუთრების დაცვის მიმართულებით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს პოზიციები 77 პუნქტით გაუმჯობესდა. საქართველო აქტიურად ვითარდება, როგორც ევროპული ქვეყანა, და, ამასთანავე, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი. საქართველოს მთავრობა წარმატებით ახორციელებს 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმას, რომლის მიზანია ქვეყნის სწრაფი განვითარება. ამ რეფორმების შედეგად, ჩვენ უკვე ერთ წელიწადში შევძელით არა მხოლოდ რეგიონული შოკის წარმატებით გადალახვა, არამედ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ვიდრე დაგეგმილი იყო. ჩვენი რეფორმები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამასთან. სავალუტო ფონდმა მიმდინარე კვირას განაცხადა, რომ საქართველოს რეფორმების პროგრამის განხორციელება შთამბეჭდავად დაიწყო და ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით არის შესრულებული, ეკონომიკა გაიზარდა დაგეგმილზე უფრო სწრაფად, სწორი პოლიტიკის გატარების შედეგად, და რომ მთავრობის რეფორმები უზრუნველყოფს კიდევ უფრო მეტ დინამიკას მომავალში. საქართველოს მთავრობის პოლიტიკას ნდობას უცხადებს არა მხოლოდ სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და სხვა საფინანსო ინსტიტუტები, არამედ კერძო სარეიტინგო კომპანიებიც. ამის დასტურია „მუდისის“ მიერ მიმდინარე წლის სექტემბერში გაუმჯობესებული საკრედიტო რეიტინგი საქართველოსთვის ა3-დან ა2-მდე“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** 2017 წლის ოქტომბერში ბათუმში გამართულ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

კვირიკაშვილს კვერი დაუკრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა **ვერა მერსედეს მარტინმა:** „ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ველოდით“.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით კი, 2018 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,5%-ით გაიზრდება.

მოკლედ, საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები ხედავენ, რომ საქართველო განვითარდა, აყვავდა და კიდევ უფრო აყვავდება, მაგრამ ეს „აყვავება“ მოსახლეობის ჯიბეს, მის მსყიდველუნარიანობას არ ეტყობა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან მეექვსე წელიწადი დაიწყო და ის ეკონომიკურ-სოციალური დაპირებები, რომლებიც ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და მისმა ლიდერებმა ხალხს მისცეს 2012 წელს და შემდეგ, კვლავ შეუსრულებელია:

*** ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფებმა, შემცირების ნაცვლად, მოიმატა. გაძვირდა წყალიც;**

*** საწვავი, ფარმაცევტული პროდუქცია და სხვა სამომხმარებლო საქონელი, გაიაფების ნაცვლად, გაძვირდა;**




*** შრომისუუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 175(!) ლარია;**

*** ბოლო, 2014 წლის, აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 14,3%, ანუ 500 ათასზე მეტი ადამიანი პენსიონერია. პენსია კი 180 ლარს შეადგენს და ამ მხრივ საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის აუტსაიდერთა რიგებშია — უსწრებს ყველა მეზობელი ქვეყანა: რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი;**

*** საქართველო მსოფლიოში აუტსაიდერთა შორისაა საშუალო ხელფასის მხრივაც;**

*** „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 21,3%-ია, ანუ ასეთი ადამიანების რაოდენობა 700 ათასზე მეტია;**

*** არ შესრულებულა დაპირება 1000-ზე მეტი საწარმოს აშენებისა (მხოლოდ 2013 წელს 60-ზე მეტი საწარმო უნდა აშენებულიყო) და უმუშევრობის აღმოფხვრის შესახებ.**

**„საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში 235,1 ათასი უმუშევარია (2016 წლის მონაცემი).**

ისიც აღსანიშნავია, რომ **საქართველოს სახელმწიფო ვალი 16 მლრდ დოლარზე მეტია,** ხოლო მოსახლეობის ვალი კომერციული ბანკების მიმართ, 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 19,7 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2017 წელთან შედარებით 1,4 მილიარდით მეტია, 2016 წელთან შედარებით კი — 6,4 მლრდ-ით(!)**

ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და ზრდაზე ლაპარაკობენ.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლოზუნგით „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ხალხის კეთილდღეობა“ და, მიუხედავად ხელისუფლების ბაქიბუქისა, რომ საქართველოს ეკონომიკა „იზრდება“, **ბედნიერი ქვეყნების სია(2017 წ.), რომელიც გაერომ გამოაქვეყნა, თვალნათლივ აჩვენებს, როგორ „იზრდება“ და „აყვავდა“ ეკონომიკა და როგორი კეთილდღეობა სუფევს ქვეყანაში.**

გაეროს მიერ გამოქვეყნებულ 2017 წლის ყველაზე ბედნიერი ქვეყნების სარეიტინგო სია შემდეგი პარამეტრებით არის შედგენილი:

**მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; სოციალური მხარდაჭერა; სიცოცხლის ხანგრძლივობა; არჩევნების თავისუფლება; გულუხვობა; კორუფციის დონე.**

აი ამ სიაში საქართველო 155 ქვეყანას შორის 125-ე ადგილზეა და მას უსწრებს არა მხოლოდ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა — **რუსეთი, მოლდოვა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, სომხეთი** (საქართველოს მხოლოდ უკრაინა ჩამორჩება, რომელიც 132-ე ადგილზეა), არამედ ომისგან გაწამებული ერაყი, აფრიკული გაბონი, კონგო (ბრაზავილი), სომალი, ჰონდურასი, ბუტანი, ნეპალი, მონგოლეთი და სხვ.

პირველ ათეულში კი შედის: **ნორვეგია, დანია, ისლანდია, შვეიცარია, ფინეთი, ნიდერლანდები, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია** და **შვედეთი.**

სწორედ გაეროს ეს სარეიტინგო სია მიუთითებს საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ნამდვილ მდგომარეობაზე და არა ხელისუფლების პირველი პირების ლაპარაკი, რომ მსოფლიოს ყველა სარეიტინგო სიაში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა და ქვეყანა აყვავების გზას ადგას.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

# გადახდისუუნარო პირების სიაში 238 562 მოქალაქეა

**საქართველოს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მოვალეთა სიაში 238 562 მოქალაქეა.**



მოვალეთა სიაში პირი აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხვდება. ეს ადამიანები გადახდისუუნარო (გადახდისუუნარობა ნიშნავს მოვალის უუნარობას ვადაში დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა) პირებად მიიჩნევიან და მათ სახელზე რეგისტრირებული ანგარიშები და ქონება ყადაღას ექვემდებარება.

ვებგვერდზე მოქალაქის სახელის, გვარის ან პირადი ნომრის ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით შეგიძლიათ გაარკვიოთ, არის თუ არა ის გადახდისუუნარო პირთა სიაში. მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის.

მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ პირს ეზღუდება მის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი, რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების განკარგვა.

# საქართველოში ყველაზე მეტი თანხა რუსეთიდან იგზავნება

**ყველაზე მეტ ფულს რუსეთიდან, იტალიიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ.**

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობის მიხედვით, პირველ ადგილზეა რუსეთი — 2018 წლის იანვარში რუსეთიდან დაახლოებით 31 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც გასული წლის იანვრის მონაცემებს 17%-ით აღემატება;

მეორე ადგილზეა **იტალია** — ამ ქვეყნიდან საქართველოში გადმორიცხულია დაახლოებით 14 მლნ დოლარი, რაც 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 43%-ით მეტია.

შემდეგ მოდის **საბერძნეთი** — დაახლოებით 12,4 მლნ დოლარით (33,4%), **ისრაელი** — დაახლოებით 12 მლნ დოლარით (84%), **აშშ** — დაახლოებით 11 მლნ დოლარით (13,3%), **თურქეთი** — დაახლოებით 9 მლნ დოლარით (41,3%).

ქართულ კომერციულ ბანკებში ელექტრონული სისტემებით განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა და დაახლოებით 1,4 მლრდ დოლარი შეადგინა.

საქართველოდან უცხოეთში 2018 წლის იანვარში გადარიცხულია დაახლოებით 15 მლნ დოლარი, რაც გასული წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით 12,3%-ით მეტია.



2017 წელს საქართველოდან უცხოეთში სულ გადაირიცხა დაახლოებით 193 მლნ დოლარი, რაც 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8,2%-ით მეტია.

2018 წლის იანვარში 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქართულ კომერციულ ბანკებში ელექტრონული სისტემებით განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა 31,1%-ით გაიზარდა და 110 მლნ დოლარზე მეტი შეადგინა.

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1945 წლის 17 ივლისს აშშ-ის სენატში სენატორმა ჯეიმს ისტლენდმა განაცხადა, რომ ფრანგი სამხედროები, ძირითადად, აფრიკული წარმოშობის, შევიდნენ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში, უამრავი ქალი შერეკეს მეტროპოლიტენში და მათგან 2 ათასი გააუპატიურეს. სამხედროებმა, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი — აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი, შტუტგარტში მხოლოდ ერთ კვირაში იმაზე მეტი ქალი გააუპატიურეს, რამდენიც გერმანელებმა საფრანგეთის ოკუპაციის 4 წლის განმავლობაში.**

# გერმანელმა ისტორიკოსმა გააქარწყლა ძველი მითი საბჭოთა არმიის «მხეცობების» შესახებ: გერმანელ ქალებს მასობრივად აუპატიურებდნენ ამერიკელები და ბრიტანელები

**დასავლური პროპაგანდა, უკვე წლებია, ცდილობს მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა არმიის როლის დაკნინებას, ისტორიული მეხსიერების ტრანსფორმაციას და ისტორიის ფალსიფიკაციას. მსოფლიოს ხალხების შეფასებების შეცვლა პოზიტიურიდან ნეგატიურზე მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის როლის შესახებ არა შემთხვევითი ტენდენცია, არამედ ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა მიზანმიმართული მუშაობისა მასების ცნობიერების „გადასაფორმატებლად“ და საბჭოთა ისტორიისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად.**

1945 წლიდან მეორე მსოფლიო ომის ისტორია იდეოლოგიური დაპირისპირებების სფეროდ იქცა. დასავლეთი თავიდანვე ცდილობდა, თავისი თავისთვის მიეწერა ფაშიზმზე გამარჯვებაში ძირითადი როლის შესრულება, გადაეწერა ისტორია თავისი ინტერპრეტაციით. მეორე მსოფლიო ომის შესახებ მეხსიერების გარშემო იდეური შეჯახების ერთ-ერთი მიზეზი არის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ომისა და ომისშემდგომი თაობებისთვის.

1985 წელს ამერიკელთა 30%-მა XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებში პირველ ადგილზე მეორე მსოფლიო ომი დაასახელა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას მსოფლიოსთვის და სამართლიანობას ამ ომში აშშ-ის მონაწილეობით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ ომს რუსების ცნობიერებაში. მათ ამ ომისთვის შემთხვევით არ უწოდებიათ **დიდი** და **სამამულო**, რაც ხაზს უსვამს ომის არა მასშტაბს, არამედ მნიშვნელობას ქვეყნის, ხალხის, ცივილიზაციის გადარჩენისთვის. მისი აღქმა, როგორც საბედისწერო ომისა, განპირობებული იყო კოლოსალური მსხვერპლით, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა გაიღეს ოთხწლიან ომში ფაშისტური გერმანიის მიერ ფეხქვეშ გათელილ ევროპაში. **დიდი სამამულო ომი ტრაგედიად იქცა საბჭოთა ხალხების ოჯახების უმრავლესობისთვის: ამ ომში მილიონობით რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და სხვა ხალხების წარმომადგენელი დაიღუპა, მათ შორის 700 ათასზე მეტი ქართველი.**

მეორე მსოფლიო ომის ფალსიფიკაცია მიზნად ისახავდა და ისახავს ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებებში ფასეულობებისთვის ძირის გამოთხრას. ამ მხრივ გარდამტეხი იყო 1980-1990-იანი წლები. გადაფასდა ასწლეულის განმავლობაში მომხდარი ყველა საომარი მოვლენა, განსაკუთრებით — დიდი სამამულო ომი, წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისია, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური უღლისგან ევროპის გასათავისუფლებლად მილიონზე მეტმა საბჭოთა ჯარისკაცმა გაწირა სიცოცხლე: **პოლონეთის** გასათავისუფლებლად — 600 ათასზე მეტმა; **ჩეხოსლოვაკიის** — 140 ათასმა; **უნგრეთის** — 140 ათასზე მეტმა; **რუმინეთის** — 69 ათასმა; **ავსტრიის** — 26 ათასმა; **გერმანიის** — 102 ათასმა...

**2002 წელს ინგლისელმა ისტორიკოსმა ენტონი ბივორმა გამოსცა წიგნი „ბერლინის დაცემა“. ავტორი თვითმხილველების ნაამბობითა და საავადმყოფოებში (სამშობიაროებში) მოპოვებული საარქივო მასალების(?) მიხედვით ასკვნის, რომ საბჭოთა არმიელებმა გერმანიაში შეჭრის დღიდან ბერლინის ოკუპაციამდე ანუ 1945 წლის იანვრიდან მაისამდე, 2 მლნ გერმანელი ქალი გააუპატიურეს(?).** ამ საკითხზე იყო, აგრეთვე, საუბარი ლონდონში 2015 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე — „ნაცისტურ გერმანიაში გამარჯვების გაკვეთილები“, რომელზეც ბრიტანელი ექსპერტები კვლავ ამტკიცებდნენ, რომ ჰიტლერელებზე გამარჯვებაში გადამწყვეტი იყო დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მიერ შეტანილი წვლილი. ისინი, აგრეთვე, ხშირად ახსენებდნენ **„გაუპატიურებულ გერმანიას“**, რა თქმა უნდა, წითელი არმიის ჯარისკაცების მიერ, თუმცა „2 მილიონი გერმანელი ქალის გაუპატიურება“ უარყოფილი იქნა მეორე მსოფლიო ომის საარქივო მასალების გამომზეურების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ენტონი ბივორი თავის წიგნში არაფერს ამბობს ბრიტანელების, ამერიკელებისა და ფრანგების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მაგრამ ყველაფერს ფარდა აჰხადა გერმანელმა ისტორიკოსმა და მწერალმა კონსტანცის (ბადენ-ვიუტენბერგის მიწა) უნივერსიტეტის პროფესორმა **მირიამ გებჰარდტმა** 2015 წელს გამოცემულ წიგნში **„როცა მოვიდნენ ჯარისკაცები“ (ALS DIE SOLDATEN KAMEN),** რომელშიც სულ სხვა ციფრები და ფაქტები მოჰყავს.

**მირიამ გებჰარდტი წერს: „ერთ-ერთი პოპულარული სურათი, რომელიც ასახავს მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებს, არის შემდეგი: ნაცისტებისგან გერმანიის გათავისუფლებისას ბრიტანელი და ამერიკელი ჯარისკაცები ღირსეულად იქცეოდნენ, აი საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა კი 8-დან 80 წლამდე ათასობით ქალი გააუპატიურეს. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად არის: ამერიკელებმა 190 ათას გერმანელ ქალზე იძალადეს, ბრიტანელებმა — 45 ათასზე, ფრანგებმაც დაახლოებით იმდენივეზე“.**

გებჰარდტის წიგნმა შეაცბუნა გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებნი. „თუ ეს მონაცემები მართალია, — წერდა ლონდონური „დეილი მეილის“ ჟურნალისტი, — სერიოზულად უნდა გადავხედოთ ჩვენს შეფასებებს მოკავშირეების ჯარების მიერ გერმანიის გათავისუფლებაზე“.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 152 ამერიკელი ჯარისკაცი გაასამართლეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელი ქალების გაუპატიურების გამო, თუმცა ეს რაოდენობა ძალიან ცოტაა, რადგან ბრიტანელი მეცნიერის, **ლეონ რაძინოვიჩის,** გაანგარიშებით, ქალების მხოლოდ 5% თუ განაცხადებს ხოლმე სექსუალურ ძალადობაზე. რცხვენიათ და დუმან.

ომის პერიოდში ეს პროცენტი კიდევ უფრო მცირე იყო. **„როდესაც ამერიკელი ჯარისკაცები შედიოდნენ მესამე რაიხის სოფლებსა და ქალაქებში, შეშინებულ ქალებს უყვიროდნენ: „ჩემთან დაიძინებ!“ — წერს გებჰარდტი, — ბევრი ქალი თანხმდებოდა ამას. ზოგი ახლობლების გადარჩენის მიზნით, ზოგი — საჩუქრისთვის, ზოგი კი — სურვილით“.**

ძალადობას სჩადიოდნენ გამხეცებული მძარცველები და მაროდიორები.

* 1945 წლის მარტში, ღამით, ფრანკფურტთან ახლოს ერთ-ერთ სახლში 6 მთვრალი ამერიკელი შეიჭრა და რამდენიმე საათის განმავლობაში აუპატიურებდა დიასახლისსა და მის 18 წლის ქალიშვილს, მოგვიანებით კი სახლიდან ყველა ძვირფასი ნივთი გაზიდეს.

მირიამ გებჰარდტს მოჰყავს ამონარიდი ბერტხესტგადენის პასტორ **მიხაელ მერკსმიულერის** ჩანაწერებიდან: **„8 გოგონა გააუპატიურეს, ზოგიერთი მშობლების თვალწინ“.**

წიგნის ავტორი დასძენს, რომ ამერიკელებს არც ბრიტანელები და ფრანგები ჩამორჩებოდნენ: 1945 წლის 16 აპრილს ჯარისკაცები ნისლიანი ალბიონიდან ქალაქ ნოიშტადტში რამდენიმე საათის განმავლობაში აუპატიურებდნენ სამ ქალს.

* ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ გერმანიაში ჩადენილ მხეცობებზე წერდა ლუთერანელი პასტორი **სილვესტერ მიხელფელდერი** გამოცემა „ქრისჩენ სენჩირიში“ (Christian Century):

**„ინგლისურ და ამერიკულ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ბანდიტები ძარცვავენ მატარებლებს, ქალებსა და გოგონებს ყველას თვალწინ აუპატიურებენ. აიძულებენ შიშვლებმა იარონ“.**

*** ჯონ დოს პასოსი ჟურნალ „ლაიფის“ (Life) 1946 წლის 7 იანვრის ნომერში ციტირებს „წითელლოყება მაიორს“, რომელმაც განაცხადა, რომ „სექსი, ვისკი და ძარცვა“ — ეს ყველაფერი ჯილდოა ჯარისკაცისთვის“.**

*** ჟურნალ „თაიმის“ (Time) 1945 წლის 12 ნოემბრის ნომერში ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურე წერდა: „ბევრი ნორმალური ამერიკული ოჯახი შეძრწუნდებოდა, თუ შეიტყობდა, ყველაფერი ადამიანურისადმი როგორი გულგრილობით მოქმედებენ აქ „ჩვენი ბიჭები“.**

*** ერთი ამერიკელი სერჟანტი წერდა: „ჩვენმა და ბრიტანულმა არმიამაც შეიტანეს თავიანთი წვლილი ძარცვასა და გაუპატიურებაში... ეს დანაშაულები დამახასიათებელი არ არის ჩვენი არმიისთვის, მაგრამ მათი პროცენტი საკმაოდ მაღალია, რათა ჩვენს არმიას საშინელი რეპუტაცია ჰქონდეს. ასე რომ, ჩვენ შეიძლება მიგვიჩნიონ მოძალადეთა არმიად“.**

*** 1945 წლის 17 სექტემბერს ჟურნალი „თაიმი“ იუწყებოდა, რომ მთავრობა ჯარისკაცებს ყოველთვიურად 50 მლნ პრეზერვატივს უგზავნიდა გამოყენების ინსტრუქციით. „ჩაუტარეთ გერმანელებს გაკვეთილები, — და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ!“**

აი ასეთი იყო ამერიკელების ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაზე, სადაც დემოკრატია შეიტანეს.

**ამერიკელი ჯარისკაცების „დროის სასიამოვნოდ გატარება“ დიდწილად იყო დამოკიდებული გერმანელ და ავსტრიელ ქალებთან „თანამშრომლობაზე“. შიმშილისგან ღონემიხდილი და უსახლკარო ქალებისგან ასეთი „თანამშრომლობის“ ყიდვა რამდენიმე ცენტად ან პურის ნაჭრად შეიძლებოდა.**

ამ ვითარებას ლონდონური „უიკლი რევიუ“ (Weekly Review) 1945 წლის 25 ოქტომბერს ასე აღწერდა: „მიუსაფარი ახალგაზრდა ქალები დაუფარავად სთავაზობენ საკუთარ სხეულს საჭმლის ან ღამის გასათევის სანაცვლოდ... მათ გასაყიდად ერთადერთი რამ დარჩათ და ყიდიან კიდეც... როგორც თავის გადარჩენის ერთ-ერთი ხერხი, ეს, ალბათ, უარესია, ვიდრე შიმშილი, მაგრამ სიკვდილი შეიძლება რამდენიმე თვით ან წლით გადასწიოს“.

**1945 წლის 17 ივლისს აშშ-ის სენატში სენატორმა ჯეიმს ისტლენდმა განაცხადა, რომ ფრანგი სამხედროები, ძირითადად, აფრიკული წარმოშობის, შევიდნენ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში, უამრავი ქალი შერეკეს მეტროპოლიტენში და მათგან 2 ათასი გააუპატიურეს. სამხედროებმა, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი — აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი, შტუტგარტში მხოლოდ ერთ კვირაში იმაზე მეტი ქალი გააუპატიურეს, რამდენიც გერმანელებმა საფრანგეთის ოკუპაციის 4 წლის განმავლობაში.**

მეორე მსოფლიო ომში უამრავი მხეცობა ჩაიდინეს გუმიერებმა — მაროკოელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ანტიჰიტლერულ კოალიციაში იბრძოდნენ ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით. მათ პირველად თავი გამოიჩინეს **მონტე-კასინოსთვის** (რომიდან 120 კმ-ით დაშორებული დასახლებული პუნქტი) ბრძოლაში. ბრძოლის დასრულების შემდეგ მაროკოელთა დივიზია — 12 ათასი გუმიერი — ახლომდებარე სოფლებს შეესია და, ვინც იპოვეს, ყველა გააუპატიურეს — 3000 ქალი 11-დან 86 წლამდე, მოკლეს 800 მამაკაცი, რომლებმაც მათთვის ხელის შეშლა სცადეს.

მაროკოელი სამხედროების მხეცობა აღწერილი აქვს იტალიელ მწერალ **ალბერტო მორავიას** რომანში „ჩოჩარა“ (ამ რომანის მიხედვით გადაღებულია ფილმიც, რომელშიც მთავარ როლს **სოფი ლორენი** თამაშობს, მონაწილეობს, აგრეთვე, **ჟან-პოლ ბელმონდო)...** შემდეგი იყო გერმანული ქალაქი შტუტგარტი, აქ გუმიერებმა 2 ათასამდე გერმანელი ქალი გააუპატიურეს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა არმიის ჯარისკაცებიც სცოდავდნენ, მაგრამ ზემომოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით ყველაფრის წითელარმიელებისთვის გადაბრალება დანაშაულია.

აღსანიშნავია, რომ **სამხედრო პროკურორი საბჭოთა არმიის ბელორუსიის 1-ელი ფრონტისა (მონაწილეობდა ბერლინის აღებაში), რომელსაც ხელმძღვანე-** ▶



მირიამ გებჰარდტი და მისი წიგნი


ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცები ყოველთვის ასე კორექტულად როდი ეპყრობოდნენ გერმანელ ქალებს

**„მიგრანტებს აქვთ ფასეულობების სულ სხვა სისტემა, რომელიც შეუთავსებელია ევროპულ ფასეულობებთან. სირიელები, რომლებსაც მე ველაპარაკე, ამბობენ: გერმანელებს არც ღირსება აქვთ და არც სინდისი, იმიტომ, რომ მათი ცოლები ყველასთან წვებიან“. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანელი ქალები კახპები არიან“.**



«ევროპული ინტეგრაცია»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ენტონი ბივორის წიგნი „ბერლინის დაცემა“







◀ლობდა კონსტანტინე როკოსოვსკი, 1945 წლის 22 აპრილი-5 მაისის ანგარიშში წერდა, რომ ფრონტის 7 არმიაში, რომლებიც 908,5 ათასი სამხედროსგან იყო დაკომპლექტებული, აღრიცხული იყო 124 დანაშაული, მათ შორის — 72 გაუპატიურება; 908,5 ათას ჯარისკაცზე მხოლოდ 72 შემთხვევა!**

დასავლელ პროპაგანდისტებს საბჭოთა ჯარისკაცების წარმოჩენა ველურების ურდოებად ტყუილუბრალოდ არ დაუწყიათ. წითელარმიელები გმირულად იბრძოდნენ, მეორე მსოფლიო ომის სიმძიმე საკუთარ მხრებზე გადაიტანეს და ფაშისტებს მათივე ბუნაგში მოუღეს ბოლო.

დიდ სამამულო ომზე ისტორიული მეხსიერების ტრანსფორმაცია დასავლეთის პოლიტიკაა „ცივი ომის“ პერიოდიდან დღემდე. ის იყო მთავარი საშუალება საბჭოთა კავშირისთვის ნეგატიური სახის შექმნის საქმეში, ნგრევის ინსტრუმენტი ჯერ სოციალისტური სისტემისა ევროპაში, შემდეგ სსრკ-ის დაშლისა მოსახლეობის დემორალიზაციის მეთოდით. თუმცა ეს პოლიტიკა არ შეწყვეტილა სსრკ-ის დაშლის შემდეგაც — გარდაიქმნა რუსეთზე ფსიქოლოგიური შეტევის საშუალებად, პოსტსაბჭოთა სივრცეზე მტრობის რუსოფობიისა და რუსეთისადმი სიძულვილის გასაღვივებლად.

**ფალსიფიკაცია მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა, რომელიც სსრკ-ის ხალხებისთვის დიდი სამამულო ომი იყო, დღეს პოსტსაბჭოთა ხალხების გათიშვის, მათ შორის შუღლის ჩამოგდების ინსტრუმენტად გამოიყენება.** ცნობიერებაში ისტორიული, რეგიონული და რელიგიური საფუძვლების ასეთი ტრანსფორმაცია აუცილებლად იწვევს სისხლისმღვრელ ომებს, როგორიც იყო **იუგოსლავიაში** მისი დაშლის შემდეგ, დღეს — უკრაინაში. ამჟამად ბევრ ქვეყანაში ანტიკომუნიზმი, ანტისოვეტიზმი და რუსოფობია შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური სტრატეგიისა, რომელიც აგებულია „ნაციონალურ იდენტობაზე“, როგორც უკრაინაში, სადაც **ლენინისა** და **კუტუზოვის** ძეგლებს ერთნაირი გულმოდგინებით ანგრევენ და მათ ადგილას **ბანდერას** ძეგლებს დგამენ, სასკოლო სახელმძღვანელოებს ხელახლა წერენ, პოლიტიკოსები კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში „გერმანიასა და უკრაინაში საბჭოთა ჯარების შეჭრაზე“ ლაპარაკობენ. ისინი წითელი არმიის განმათავისუფლებელ მისიას ელემენტარული ლოგიკის საწინააღმდეგოდ წარმოადგენენ, როგორც ახალ ოკუპაციას, და ივიწყებენ, რომ ეს ახალი ქვეყნები ოდესღაც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. **დიდი სამამულო ომის შესახებ მეხსიერება უმნიშვნელოვანესია საერთო (და გამაერთიანებელი) პოზიტიური ფასეულობების შესანარჩუნებლად პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხებისთვის, რომლებმაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ბევრი დრამატული მოვლენა გადაიტანეს. ეს არის მეხსიერება იმის შესახებ, რომ ჩვენს მამებსა და ბაბუებს აღმოაჩნდათ უნარი, ერთობლივი ძალით გაენადგურებინათ მანამდე დაუმარცხებელი მტერი — ნაცისტური გერმანია, რომელმაც მის მიერ დაპყრობილი ევროპის ძალები აღმოსავლეთისკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაისროლა, და ამ მეხსიერებას დღესაც შეუძლია ხალხების მობილიზება ახალი გამოწვევების გადასალახავად.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ცნობისთვის:** მეორე მსოფლიო ომი, მსოფლიოს ორი სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის (ერთი მხრივ — სსრკ, დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, პოლონეთი და სხვა ქვეყნები, მეორე მხრივ — გერმანია, იტალია, იაპონია, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვა ქვეყნები) დაპირისპირება, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი სამხედრო კონფლიქტი იყო, დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის შეჭრით პოლონეთში და დასრულდა 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით. ომში მონაწილეობდა 62 სახელმწიფო, იმხანად არსებული 73-დან. სულ დაიღუპა 60-65 მლნ ადამიანი, ფრონტზე — 27 მლნ. სსრკ-მა ამ ომში დაკარგა 16,4 მლნ ადამიანი (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის თებერვლის მონაცემებით — 41,9 მლნ), მატერიალურმა დანაკარგმა შეადგინა 2 ტრილიონ 569 მლრდ დოლარი (1945 წლის შეფასებით), გერმანიამ დაკარგა დაახლოებით 8 მილიარდი ადამიანი, ჩინეთმა — 3,7 მლნ, დიდმა ბრიტანეთმა — 449 ათასი, აშშ-მა — 413 ათასი.

მაროკოელი გუმიერები



# გერმანიას კვლავ აუპატიურებენ

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 73 წელი გადის, ბერლინის კედლის დანგრევიდან და გერმანიის გაერთიანებიდან, რომელსაც ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა მოჰყვა, 29 წელიწადი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ჩრდილოეთის ქვეყნებში ომმა და სიდუხჭირემ, გამოწვეულმა იმ ქვეყნების ძალისხმევით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ფაშიზმისგან გერმანიის გათავისუფლებაში მეტი წვლილი შეიტანეს, ვიდრე საბჭოთა კავშირმა, ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა, სამშობლო მიეტოვებინა და ევროპაში გადახვეწილიყო, შედეგად გერმანიას გაუპატიურებების ახალი ტალღა დაატყდა თავს.**

გერმანიაში მიგრანტების მიერ ევროპელი ქალების გაუპატიურების ბევრი შემთხვევაა აღრიცხული.

2016 წლის საახალწლო დღეებში კელნში 1,2 ათასმა ქალმა მიმართა პოლიციას მიგრანტების მხრიდან სექსუალური ძალადობის გამო. სულ კი იმ დღეებში გერმანიაში 3 ათას ქალზე იძალადეს. ანალოგიური რამ მოხდა ავსტრიაში, შვედეთში, ფინეთსა და შვეიცარიაში.

**2016 წლის 1-დან 31 ივლისის ჩათვლით გერმანიაში აღირიცხა ქალების გაუპატიურების 131 შემთხვევა და 72 — გაუპატიურების მცდელობა. დანაშაული, ძირითადად, ხდებოდა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში — ქუჩებში, პარკებში, მატარებლებში, საცურაო აუზებში, მუსიკალურ ფესტივალზე. ერთ შემთხვევაში (ქალაქი ტრირი) მოძალადე 9 წლის გოგონას ეკლესიაში დაესხა თავს, მეორე შემთხვევაში (იბენბიურენში) — სასაფლაოზე, როდესაც 79 წლის ქალი დის საფლავზე მივიდა. ორ შემთხვევაში მოძალადეთა მსხვერპლი იყო მამაკაცი — 79 წლის პენსიონერი და 10 წლის ბიჭი.**

ყველა ბოროტმოქმედი იყო მიგრანტი ავღანეთიდან, ერაყიდან, მაროკოდან, სირიიდან, სუდანიდან და აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნიდან.

გეიტსტოუნის ინსტიტუტის პროფესორი **სიორენ კერნი** წერილში „გერმანიაში მიგრანტების მიერ გაუპატიურებების კრიზისი კონტროლს აღარ ექვემდებარება“ წერდა:

**„გერმანიაში გაუპატიურებების კრიზისმა 16-ვე ფედერალური მიწა მოიცვა. დამნაშავეთა უმრავლესობა ვერ იპოვეს და დაკავებული არ არის. ვინც იპოვეს, მსუბუქი სასჯელი შეუფარდეს“.**

გფრ-ის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, გაუპატიურების საქმეების მხოლოდ 8% დასრულდა სასჯელის გამოტანით. გერმანიაში სექსუალურმა ძალადობამ მასშტაბური ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ქვეყანაში მილიონზე მეტი მიგრანტ შეუშვა, ძირითადად, მამაკაცები აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან.

შვეიცარიული გამოცემა Basler Zeitung-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „გაუპატიურებების ეპიდემიას“ ასე ხსნის გერმანელი პოლიტოლოგი, ისლამური სამყაროს საკითხების ექსპერტი, გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი **ბასამ ტიბი**, რომელიც საკუთარ თავს „სირიელს გარმანული პასპორტით“ უწოდებს.

„ეს (მუსლიმი მიგრანტების სექსუალური თავდასხმა გერმანელ ქალებზე — ლ.მ) ხდება ორი მიზეზით: პირველი — იმიტომ, რომ **გერმანია მოლოდინის საწინააღმდეგოდ ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს (ბინა, მანქანა და ა.შ.); მეორე — ამ მიგრანტებს აქვთ ფასეულობების სულ სხვა სისტემა, რომელიც შეუთავსებელია ევროპულ ფასეულობებთან. სირიელები, რომლებსაც მე ველაპარაკე, ამბობენ: გერმანელებს არც ღირსება აქვთ და არც სინდისი, იმიტომ, რომ მათი ცოლები ყველასთან წვებიან“. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანელი ქალები კახპები არიან...** თუ ჩვენ მივაღწევთ მიგრანტების ინტეგრაციას გერმანულ საზოგადოებაში, პრობლემები არ შეიქმნება, მაგრამ ინტეგრაციაზე არაფერი მიუთითებს“.

ტიბი ამბობს, რომ შეძრწუნებულია „სტუმართმოყვარეობის კულტურით“, რომელსაც „განსაკუთრებულ გზას“ უწოდებს მერკელი და მისი მთავრობა.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

**P.S. გერმანიაში მიგრანტების მიერ ჯგუფური გაუპატიურების ბოლო შემთხვევა 2017 წლის სექტემბრის ბოლოს მოხდა ბავარიის ქალაქ ჰენკირხენ-ზიგერტსბრუნში, მიუნხენიდან 20 კმ-ში. სამი ავღანელი მიგრანტი თავს დაესხა 16 წლის გოგონას, რომელმაც მიგრანტების საერთო საცხოვრებელთან ჩაიარა.**

**გოგონა ორმა მიგრანტმა გააუპატიურა, მესამეს კი ხელი შემთხვევითმა გამვლელმა შეუშალა — პოლიციას გამოუძახა.**



ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ არ გვეყო არც ცოდნა, არც მოთმინება და, სამწუხაროდ, არც ზნეობა — მომხვდური მტრებივით და ავაზაკებივით შევესიეთ, დავიტაცეთ და გავანიავეთ საერთო სახელმწიფოებრივ საკუთრებად წოდებული მატერიალური დოვლათი და სიღრმისეული ანალიზის გარეშე, სრულიად გაუაზრებლად და ნაჩქარევად დავანგრიეთ და მოვშალეთ ქალაქად და სოფლად სოციალისტური წყობის ეკონომიკური სისტემები.**

# პროფესიონალი ჯაშუშები მივიჩნიეთ სახელმწიფოს აღმშენებელ პოლიტიკოსებად და მივიღეთ კატასტროფის ტოლფასი შედეგი

**გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო, მრავალი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში ოდითგანვე შედიოდა ორ ზღვას შორის გადაჭიმული, ლანდშაფტით მდიდარი და უმშვენიერესი, ორგანიზებული მეწარმეობის მქონე, გეორგიანელებად წოდებული კულტურული ერის ძირძველი სამკვიდრო — საქართველო. თუ დღეს ვარსებობთ, როგორც სახელმწიფო და ერი, და ასე თუ ისე ვინარჩუნებთ მამულს, ენასა და სარწმუნოებას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სახელოვანი წინაპრების დაუღალავი შრომის, წარუმატებლობასთან ერთად, მეტწილად გონივრული პოლიტიკურ-დიპლომატიური მანევრების, სამშობლოსა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენის დასაცავად თავგანწირული ბრძოლის შედეგია.**

რომ არა მტერთაგან ქართველთა სამკვიდროს დაუფლების დაუოკებელი ჟინი დაპყრობისა და აოხრებისა, რომ არა როგორც უწინ, ასევე დღესაც, სულგაყიდული მოღალატეების მიერ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ქვენა მიზნებით ნამოქმედარის შედეგები, დღეს საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონის ნაცვლად, ალბათ, 30-50 მილიონი მაინც იქნებოდა, მაგრამ ამჟამად ეს არის ჩვენი მოცემულობა და აქედან გამომდინარე უნდა დავსახოთ ქართველთა მოდგმის დემოგრაფიული კატასტროფისგან ხსნისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მართალია, მოვიპოვეთ ისტორიული მნიშვნელობის ნანატრი დამოუკიდებლობა, მაგრამ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ლიდერების ჰეროიკულ-რომანტიკულ სულისკვეთებასა და პრაგმატიზმს მოკლებული, უკიდურესი დისიდენტური რადიკალიზმის წყალობით ვერ განვსაზღვრეთ ის სწორი პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ეკონომიკური ორიენტირები, რომლებიც საერთო ეროვნული თანხმობითა და დამოუკიდებელი ქვეყნის ეფექტიანი მმართველობით გაგვიკვლევდა გზას ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ამაღლებისკენ. **ამის მთავარი მიზეზი თუ არა, ერთ-ერთი მაინც იყო შეიარაღებული გადატრიალების გზით პირველი ლეგიტიმური ხელისუფლების ყოვლად გაუმართლებელი დამხობა. შედეგად კი მივიღეთ და დღემდე გრძელდება საბჭოური მენტალობის სტერეოტიპული მმართველობა დასავლური დემოკრატიზმის კამუფლაჟით.**

ბოლოს და ბოლოს, რომ გავერკვეთ, რას ნიშნავს საბჭოური მენტალობა, საჭიროა უფრო დავაკონკრეტოთ და დავაზუსტოთ, ისტორიული თვალსაზრისით, რა არის საბჭოთა სინამდვილე, რომლის ისტორია შედგება სამი მკვეთრად განსხვავებული ეპოქისგან:

**პირველი. 1917-24 წლები** — რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე არსებული მდიდარი წიაღისეულისა და ნედლეულის ხელში ჩაგდებისა და იმპერიაში შემავალი ხალხების დამონების მიზნით, დასავლეთის იმპერიალისტური წრეების მიერ დაფინანსებული და დაქირავებული **ლევ ტროცკისა** და მისი თანამზრახველების უშუალო ძალისხმევით მოღალატური და ძირგამომთხრელი, თითქმის ჰიტლერული ფაშიზმის ტოლფასი საფრთხის შემცველი, განუკითხაობისა და ეგრეთ წოდებული წითელი ტერორის ზეობის ეპოქა;

**მეორე. 1924-53 წლები** — მარქსიზმის თეორიის საფუძველზე, სოციალისტური სახელმწიფოს მატერიალიზაციის მიზნით, ქალაქად და სოფლად მსხვილი, კერძო მფლობელობაში არსებული საკუთრების სოციალიზაციისა და ამ ურთულეს პროცესებთან დაკავშირებული ერთგვარი გადაცდომების, სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისა და ტროცკისტების განადგურების, მანამდე არნახული, უპრეცედენტო აღმშენებლობის, ინდუსტრიალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების (რომლის წყალობითაც, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი დღესაც ინარჩუნებს მსოფლიოს ზესახელმწიფოს ფუნქციას), სოციალური სამართლიანობის საფუძვლების დამკვიდრების, დიდ სამამულო ომში საარაკო გამარჯვების, პატრიოტული სულისკვეთებისა და უმაგალითო გმირობის გამოვლენის სტალინური ეპოქა;

**მესამე. 1953-91 წლები** — 38-წლიანი პოსტსტალინური, ყოვლგვარ სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და ლოგიკას მოკლებული, ვითომ პიროვნების კულტის, რეალურად კი ვიწრო პირადულ-ეგოისტური, უგუნური და საბედისწერო იდეოლოგიური სახელმწიფო ღალატის, საბჭოეთის პირველი პირების მიერ უზარმაზარი იმპერიის უსაზღვრო ძალაუფლებით ტკბობისა და სახელმწიფო სახსრების გაუმართლებელი ფლანგვის, უძრაობის, უნიჭო და უნიათო მმართველობის, ქვეყანაში სამართლიანობის განმტკიცების პრინციპების გულარხეინი დამოკიდებულების, აღვირახსნილი კორუფციისა და სტალინური განვითარების ინერციის თანდათანობითი განლევის ეპოქა.




**სახელისუფლო შტოები სავსეა ფსევდოდემოკრატიის წიაღში შობილი ორსახოვანი და ორპირი იანუსებით, რომლებსაც ერთი სახე იმისთვის აქვთ, რომ, ოპოზიციურ ვითარებაში ყოფნისას, როგორმე წარმოგვიდგნენ ქვეყნის გადამრჩენ უანგარო მებრძოლებად, მეორე სახე — ხელისუფლებაში მოხვედრის შემდგომ იმის უარსაყოფად, რასაც ოპოზიციაში ყოფნისას «თავდადებული» ბრძოლის პერიოდში გვიმტკიცებდნენ და ამას ციკლურ რეჟიმში მონაცვლეობით ისე უტიფრად სჩადიან, რომ არც სახის მიმიკა ეცვლებათ და არც შუბლის ძარღვი უტოკდებათ**

**სწორედ ეს მესამე ეპოქაა თავისი ნეგატიური შედეგებით გადმოყოლილი და დალექილი ჩვენს აზროვნებასა და ქვეცნობიერში, რომელსაც დღეს ვუწოდებთ საბჭოურ მენტალობას და რომელიც ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყანაში სამართლიანობისა და დემოკრატიზაციის დამკვიდრების გზაზე.**

**ქვეყნის დამოუკიდებლობას იმ შემთხვევაში მოაქვს პოზიტიური შედეგები, თუ მასში მცხოვრები თითოეული პიროვნების თავისუფლება სრულფასოვნად თანხვდება ეროვნულ თავისუფლებას, რომელიც გულისხმობს:**

არჩევნების გზით, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, საკუთარი **პოლიტიკური თვალსაზრისის გამოხატვის თავისუფლებას** და კონსტიტუციური გზით იმ ბერკეტების რეალური გამოყენების შესაძლებლობას, რომლითაც მოსახლეობის უმრავლესობას ექნება საშუალება, აუცილებლობის შემთხვევაში, **სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტს უფლებამოსილება შეუწყვიტოს;**

საგადასახადო შემოსავლების მკაცრად და წინდაწინ განსაზღვრული გონივრული ოდენობის პროცენტული კვოტირებით დაფინანსებულ **ადგილობრივ თვითმართველობას;**

პიროვნების კვალიფიკაციისა და მისი შრომითი შესაძლებლობების გათვალისწინებით მისთვის შესაბამის და **ღირსეულ სახელფასო** და **საპენსიო უზრუნველყოფას;**

მოქალაქეთა თანხმობით ნათლად და გარკვევით დადგენილ ნორმას, რომელიც განსაზღვრავს, საჯარო სფეროში დასაქმებული მოქალაქის **მინიმალური ხელფასის ან სიბერის მინიმალური პენსიის რამდენჯერადი სახელფასო სარგო** უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურს და, შესაბამისად, დანარჩენ საჯარო თანამდებობის პირებს;

კანონის უზენაესობის დაცვით **პიროვნების სამართლებრივ დაცვას.**

მაინც რა არის ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი, რომელმაც განაპირობა ის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონით საკმაოდ მდიდარი რესპუბლიკა თავისუფლების მოპოვებიდან 27-ე წელს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორისაც აღმოჩენილიყო აუტსაიდერთა შორის?

**„ევროსტატისა“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში საშუალო ყოველთვიური ხელფასი (234 დოლარი) რუსეთთან (615 დოლარი) შედარებით ორ-ნახევარჯერ, ხოლო შვეიცარიასთან (3755 დოლარი) შედარებით 16-ჯერ(?!) ნაკლებია; რიგითი მოქალაქის პენსია (66 დოლარი) კი — რუსეთთან (216 დოლარი) შედარებით დაახლოებით 3-ჯერ და იაპონიასთან (2000) შედარებით — 30-ჯერ(?!) ნაკლები.**

მართალია, მსოფლიოს პრაქტიკაში არ არსებობდა ისეთი ისტორიული გამოცდილება ან თეორიული ნაშრომი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, მასზე დაყრდნობით გვემოქმედა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სოციალისტური, საერთო-სახელმწიფოებრივი საკუთრების ფორმაციიდან კაპიტალისტურზე, ანუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გონიერი და კეთილსინდისიერი ხელისუფლების მმართველობის პირობებში მოითხოვდა, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, ყოველგვარი აჩქარების გარეშე, მწყობრად ჩამოყალიბებული კონცეფციის მიხედვით მრავალწლიან, ეტაპობრივ და ხავერდოვან გადასვლას საწარმოო ურთიერთობათა იმ სისტემასა და ფორმაციაზე, რომელიც განსაზღვრული წლების (ალბათ, 5-10) მონაკვეთში, მრავალჯერადი, ეტაპობრივი და, ამასთანავე, სამართლიანი ვაუჩერიზაციის (რომლის ნომინალური ღირებულება, თითოეული ზრდასრული მოქალაქისთვის იქნებოდა არა 30, არამედ საშუალოდ 1000 დოლარი) გზით, ქალაქად და სოფლად, ეკონომიკური თვალსაზრისით, გულდასმით შესწავლილ და სანქცირებულ, სახელმწიფოს ბალანსზე არსებული საწარმოო ობიექტებისა და სხვა მატერიალური რესურსების კერძო სამეწარმეო საკუთრებაში სამართლიანი სატენდერო შესყიდვების საშუალებით გადაცემას ინტელექტუალური და სამეწარმეო შესაძლებლობების მქონე ინდივიდთა და ინდივიდთა ჯგუფებისთვის; და ასევე, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებას საბჭოური წყობილების იმ სოციალური სიკეთეებისა და მმართველობითი სისტემებისა, რომლებიც ორიენტირებული იყო მაკროეკონომიკის ეფექტიან ზრდაზე და ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ასეთი მიდგომით ეტაპობრივად გამოვლინდებოდა და ჩამოყალიბდებოდა პროგრესულად და **შემოქმედებითად მოაზროვნე მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესმენთა სოციალური ფენები, რომლებიც მოძლიერდებოდნენ და გამდიდრდებოდნენ არა მონოპოლიური გარემოს შექმნით საკუთარი ხალხის გაღატაკების ხარჯზე, არამედ შემოქმედებითი მიდგომებითა და ნოვაციებით შექმნიდნენ კონკურენტუნარიან მატერიალურ და ინტელექტუალურ პროდუქციას, ისე, რომ მათი პირადი ბიზნესწარმატება პირდაპირპროპორციულად ასახულიყო ქვეყნის წარმატებასა და ხალხის კეთილდღეობაზე.** აგრეთვე, გარკვეული სანქციებისა და რეგულაციების ჩარჩოებში, მაგრამ ბიზნესისთვის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის რეჟიმში საქმიანობის პირობებში, შესაძლებელი გამხდარიყო სატენდერო შესყიდვებში გამარჯვებულ სააქციო საზოგადოებების მიერ შექმნილ საწარმოებში აქციონერს ჩაედო ვაუჩერი ან თუნდაც მცირე კაპიტალი და, დივიდენდის მიღებასთან ერთად, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიეღო მონაწილეობა მის შრომით საქმიანობაშიც. ▶

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მედიასაშუალებებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ პიროვნებები, რომელთა ანალიტიკური აზროვნება ქვეყნის მმართველობითი, ფინანსურ-ეკონომიკური, აგრარული თუ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური მრეწველობის, სამართალწარმოებისა თუ სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობის ხედვების თვალსაზრისით ისე სიღრმისეული და პროფესიონალურია, რომ გული სიამაყით აგევსება, მაგრამ დაგზაფრავს ეჭვები, როდესაც გააცნობიერებ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ასეთ პიროვნებებს სათოფედაც არ იკარებენ.**

**ჩვენ კი ამისთვის არ გვეყო არც ცოდნა, არც მოთმინება და, სამწუხაროდ, არც ზნეობა — მომხვდური მტრებივით და ავაზაკებივით შევესიეთ, დავიტაცეთ და გავანიავეთ საერთო სახელმწიფოებრივ საკუთრებად წოდებული მატერიალური დოვლათი და, სიღრმისეული ანალიზის გარეშე, სრულიად გაუაზრებლად და ნაჩქარევად დავანგრიეთ და მოვშალეთ ქალაქად და სოფლად სოციალისტური წყობის ეკონომიკური სისტემები.**

ამ რევოლუციურ დამანგრეველ აურზაურში, ურთიერთდაპირისპირებასა და სამოქალაქო ომის ქაოსში პოლიტიკურად ისეთი მოუმწიფებელი და გულუბყვრილო აღმოვჩნდით, რომ გამდიდრებისა და თანამდებობრივი კარიერის სხვადასხვა ჯურის მაძიებელი, ენაგაკრეფილი შარლატანები, პოლიტიკური კლოუნები და შოუმენები, მსოფლიოს მასშტაბის მწვერვალებზე ასული, მაგრამ აშკარად დესტრუქციული შედეგების მომტანი პოლიტიკური მანიპულაციების დიდოსტატები და კიდევ უარესი — მაღალი სტანდარტების დონეზე ლამაზად შეფუთული უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი და თავისი ქვეყნის წინაშე „ნამოღვაწარის“ შეფასებით პროფესიონალი ჯაშუშები მივიჩნიეთ სახელმწიფოს აღმშენებელ პოლიტიკოსებად. და **მივიღეთ კატასტროფის ტოლფასი შედეგი — სახელისუფლო წრეებთან გარიგების საშუალებით საბჭოური „ნამსხვრევების პრიხვატიზაციით“ გამდიდრებული ჩარჩებისა და მევახშეების კლანები, მატერიალურად და ფინანსურად გაძარცვული მოსახლეობა, ეკონომიკურად გაპარტახებული, ტერიტორიების მეხუთედით და მოსახლეობის მესამედით შემცირებული, ვითომ დამოუკიდებელი და ფაქტობრივად კი შეუმდგარი და უზნეო მმართველობით დამცრობილი სახელმწიფო.**

თუ სიმართლეს თვალი არ გავუსწორეთ, არ გავაანალიზეთ და არ დავსახეთ კრიზისიდან გამოსვლის გზები, ნუ გვექნება იმედი, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, რეალურად თუ არა, ფორმალურად ხომ მაინც ვართ თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო და ხომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი ღირებულებებისა და ინტერესების, ცხოვრების წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით ვიცხოვროთ და ვმართოთ ჩვენი სახელმწიფო?

ერთი რამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ და გავითავისოთ, რომ სოციალისტური ან კაპიტალისტური სისტემის აკვიატებული და თვითმიზნური მშენებლობა კი არ უნდა იყოს ჩვენი იდეაფიქსი, არამედ მთავარი და უპირველესი მიზანი და საზრუნავი უნდა იყოს, თუნდაც სოციალისტურსა და კაპიტალისტურს შორის რაღაც „ჰიბრიდული“, იმ ადმინისტრაციულ-მმართველობითი და, მათ შორის, განსაკუთრებით, იმ სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც მოგვიტანს მაქსიმალურ ეფექტს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების კუთხით.

ხშირად გვესმის და ვკითხულობთ სხვადასხვა მედიასაშუალებიდან აზრს, რომ მამამარჩენალს კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ისეთი პროტექციონისტული პოლიტიკა, რომლითაც მოსახლეობას მიეცემა საკუთარი ინიციატივების რეალიზაციის საშუალება და მოზღვავებულ იმპორტს უპასუხებს ღირსეული კონკურენციით.

მაგრამ საკითხავია: ვინ უნდა შეასრულოს ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მისია, როდესაც **სახელისუფლო შტოები სავსეა ფსევდოდემოკრატიის წიაღში შობილი ორსახოვანი და ორპირი იანუსებით, რომლებსაც ერთი სახე იმისთვის აქვთ, რომ ოპოზიციურ ვითარებაში ყოფნისას როგორმე წარმოგვიდგნენ ქვეყნის გადამრჩენ უანგარო მებრძოლებად, მეორე სახე — ხელისუფლებაში მოხვედრის შემდგომ იმის უარსაყოფად, რასაც ოპოზიციაში ყოფნისას „თავდადებული“ ბრძოლის პერიოდში გვიმტკიცებდნენ და ამას, ციკლურ რეჟიმში მონაცვლეობით ისე უტიფრად სჩადიან, რომ არც სახის მიმიკა ეცვლებათ და არც შუბლის ძარღვი უტოკდებათ?**

ამის პარალელურად, **მედიასაშუალებებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ პიროვნებები, რომელთა ანალიტიკური აზროვნება ქვეყნის მმართველობითი, ფინანსურ-ეკონომიკური, აგრარული თუ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური მრეწველობის, სამართალწარმოებისა თუ სამხედრო-სტრატეგიული მშენებლობის ხედვების თვალსაზრისით ისე სიღრმისეული და პროფესიონალურია, რომ გული სიამაყით აგევსება, მაგრამ დაგზაფრავს ეჭვები, როდესაც გააცნობიერებ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ასეთ პიროვნებებს სათოფედაც არ იკარებენ.**

დღევანდელი კრიზისული საშინაო და საგარეო ვითარების ფონზე, როდესაც მთელი 25 წლის განმავლობაში ვერ ჩამოვაყალიბეთ ვერც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური და ვერც იდეოლოგიური განვითარების კონცეფცია, ვერ შევძელით ქმედუნარიანი სახელისუფლო მმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სახელმწიფოს მართვის რესურსების გამოყენებით ეკონომიკის შექმნაზე და არა მხოლოდ ქონების გადანაწილებაზე, ვერ დავამკვიდრეთ სოციალური და სამართლებრივი მმართველობის ევროპული სტანდარტები; როდესაც მასშტაბური უმუშევრობის ფონზე მკვიდრი მოსახლეობის მასშტაბური ემიგრაციაა საზღვარგარეთის ქვეყნებში და მათი შევსება, მართალია, ჯერჯერობით შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ, ძირითადად, ხდება უცხოტომელი მიგრანტებით; როდესაც პოლიტიკურ-დიპლომატიური უგუნურებით ან შესაძლოა, გაცილებით უარესი მიზეზების გამო დავკარგეთ საქართველოს განუყოფელი მხარეები აფხაზეთისა და შიდა ქართლის სახით; როდესაც მთელი 25 წლის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ორგანიზება, რათა სახელმწიფოადმინისტრაციულ სისტემებში და, საზოგადოდ, ქართულ კულტურულ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციისთვის მოგვეხსნა ბარიერი; როდესაც მავანთა მიერ დაუფარავი ბრძოლაა გაჩაღებული ჩვენი ზნეობრიობის დედაბურჯის, მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი საჭეთმყრობლის წინააღმდეგ; როდესაც ფულადსაკრედიტო სისტემა ისეა აწყობილი, რომ მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო ღარიბდებიან; როდესაც უმუშევრობისა და მოსახლეობის უმრავლესობის გაუსაძლისი ყოფის ფონზე მომრავლებულია სამევახშეო დაწესებულებები კაბალური საპროცენტო განაკვეთებით; როდესაც აშკარად წახალისებულია არაშრომითი, აზარტული თამაშებით მიღებული შემოსავლებით პარაზიტული ცხოვრებისკენ მისწრაფება სოკოებივით მომრავლებული კაზინოებით, ტოტალიზატორებით, კომპიუტერული თამაშებითა და ლატარიებით; როდესაც პარლამენტის მიერ, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აქვს ანთებული ეგრეთ წოდებული მსუბუქი ნარკოტიკებით ახალგაზრდობის ფიზიკურ და მორალურ გადაგვარებას; როდესაც ფსევდოლიბერალურ-გლობალისტური გარე ძალები, იმ მიზნით, რომ მათი დირექტივების უსიტყვო შემსრულებელ ინფანტილურ პიროვნებებად და მათთვის სასურველ მუტანტებად ვიქცეთ, კარგად შენიღბული ფორმებითა და უზარმაზარი ზეწოლით, მათ მიერვე დაფინანსებული და დაკომპლექტებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსყიდული ვაიქართველების ხელით ცდილობენ ჩვენი ეროვნული და სულიერი ცნობიერებისა და ყოფითი ტრადიციების გაუკულმართებას და ჩვენი სახელმწიფოებრიობის მორალური და ფიზიკური ენერგიისგან დაცლას, ამ ისტორიულ ეტაპზე, არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ბოლომდე დაკარგვის, არამედ, ეთნიკური გადაშენების კრიტიკულ ზღვარზე მდგომ ერს, ალბათ, ისე, როგორც არასდროს, გვესაჭიროება ტოლფასი თუ არა, მიახლოებული მაინც **ილია ჭავჭავაძისა** და **იოსებ სტალინის** მასშტაბური აზროვნებისა და სახელმწიფოებრივი მართვის უნარისა და სიმბიოზური გონის მქონე ხელისუფლება და ხელისუფალი.

დიახ, გვესაჭიროება გონი, ტოლფასი თუ არა, მიახლოებული მაინც ერის მამად წოდებული **ილია ჭავჭავაძისა**, რომლის პორტრეტიც, როგორც წესი, საქართველოს ხელისუფლების ყველა დიდმოხელის სამუშაო კაბინეტს ამშვენებს და, რომელიც, დღეს ცოცხალი რომ იყოს, ე.წ. მეხუთე კოლონის „ბერბიჭაშვილები“, ალბათ, ისევე განგმირავდნენ, როგორც 1907-ში განგმირეს იმდროინდელმა, ქართველებად წოდებულმა, უგუნურმა ავაზაკებმა.

დიახ, გვესაჭიროება გონი, ტოლფასი თუ არა, მიახლოებული მაინც ჩვენი თანამემულის, მსოფლიო ისტორიის უთვალსაჩინოესი ფიგურის, სოციალური სამართლიანობის პატრიარქის — **იოსებ სტალინისა**, რომლის ხსენებაც, ვითომ ჰუმანური იდეალების დამცველ, სინამდვილეში კი კოსმოპოლიტურ პრინციპებში შეფუთულ, უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების მოსყიდული ვაიქართველების ძალისხმევით, ლამის მკრეხელობად ითვლება.

თუ საღი გონებითა და ილიასეული უშუალობით, ყოველგვარი მიკერძოებისა და ემოციების გარეშე, სიღრმისეულად გავაანალიზებთ ჩვენს ისტორიულ წარსულსა და აწმყოს, თუ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით თვალს გავუსწორებთ სიმართლეს და მოვუხმობთ ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რომ ხე ნაყოფით შეიცნობა, ნამდვილად დავინახავთ: მიუხედავად იმისა, საქართველო არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ სუბიექტს, იოსებ სტალინის ოცდაათწლიანი სწორუპოვარი სახელმწიფოებრივი მმართველობის შედეგად, ჩამორჩენილი აგრარული რუსეთის ატომური ტექნოლოგიების მფლობელ ზემძლავრ საბჭოთა იმპერიად ჩამოყალიბების ფონზე, **თამარ მეფის** ოქროს ხანად წოდებული ეპოქის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში უამრავ ჭირ-ვარამ გამოვლილმა საქართველომ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულამდე, ნამდვილი სამეცნიერო-კულტურული და ეკონომიკური **რენესანსი** განიცადა: გვქონდა განვითარებული ინდუსტრიული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განვითარებული ადგილობრივი მრეწველობით; პრაქტიკულად არ არსებობდა უმუშევრობის პრობლემა; სახალხო მეურნეობის **თითქმის ყველა დარგში მუშაობდა ორმოცდაათამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის, ბევრი — საყოველთაოდ აღიარებული კორიფეების ხელმძღვანელობით; უფასო იყო საბავშვო ბაღებში ბავშვების აღზრდა და საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება; უფასო იყო სამედიცინო მომსახურება; ფარმაცევტული პროდუქციის სიმბოლურ ფასად შეძენის შესაძლებლობა; სახელგანთქმული რეჟისორები ქმნიდნენ თეატრისა და კინოს შედევრებს; საკმაოდ განვითარებული იყო საკურორტო-ტურისტული ინფრასტრუქტურა; 5,5-მილიონიანი რესპუბლიკა სპორტში აღწევდა გასაოცარ შედეგებს** და ამ მონაცემებზე დაყრდნობით გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ექსპერტები, აღმოსავლეთ გერმანიასთან ერთად, გვიწინასწარმეტყველებდნენ წარმატებულ და სწრაფ ეკონომიკურ აღმასვლას.

ახლა კი, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, გაეროს ექსპერტები გვიწინასწარმეტყველებენ, რომ, თუ ასე გაგრძელდა ჩვენი ყოფა, 2050 წლისთვის ჩვენ, ქართველები, ჩვენს მიწა-წყალზე ეთნიკური უმრავლესობა აღარ ვიქნებით.

აი, **სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა უგუნურმა და უზნეო, მხოლოდ ეგოისტურ, საკუთარ კეთილდღეობაზე ორიეტირებულმა სახელისუფლო მმართველობამ.**

ჩვენ, ქართველები, ისტორიულად ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში ყოველთვის ვპოულობდით გამოსავალს ეროვნული ღირსების მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებების კონსოლიდაციითა და ძალისხმევით. ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების სწორად დანახვის საფუძველზე, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების გათვალისწინებითა და სამეწარმეო, სამეცნიერო და საფინანსო რესურსების ერთი პრობლემის გარშემო კონცენტრირებით შევძლებთ ამ კრიტიკული სიტუაციიდან თავის დაღწევას და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება როგორც დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების, ასევე მსოფლიო ისტორიის სრულფასოვანი სუბიექტი.

**ანზორ დავითაშვილი,**
არქიტექტორი

**თუ სიმართლეს თვალი არ გავუსწორეთ, არ გავაანალიზეთ და დავსახეთ კრიზისიდან გამოსვლის გზები, ნუ გვექნება იმედი, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, რეალურად თუ არა, ფორმალურად ხომ მაინც ვართ თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო და ხომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენი ღირებულებებისა და ინტერესების, ჩვენი ცხოვრების წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით ვიცხოვროთ და ვმართოთ ჩვენი სახელმწიფო**



**მივიღეთ კატასტროფის ტოლფასი შედეგი — სახელისუფლო წრეებთან გარიგების საშუალებით საბჭოური «ნამსხვრევების პრიხვატიზაციით» გამდიდრებული ჩარჩებისა და მევახშეების კლანები, მატერიალურად და ფინანსურად გაძარცვული მოსახლეობა, ეკონომიკურად გაპარტახებული, ტერიტორიების მეხუთედით და მოსახლეობის მესამედით შემცირებული, ვითომ დამოუკიდებელი და ფაქტობრივად კი შეუმდგარი და უზნეო მმართველობით დამცრობილი სახელმწიფო**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენების კომისიის ხელმძღვანელმა ანჟელა რუჯერომ განაცხადა, ამიერიდან ოლიმპიური მოძრაობის ახალი მიმართულება „მრავალფეროვნება“ და იდეების ერთგულება იქნება, მათ შორის, ლგბტ იდეებისო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, ეს "სუპერპროგრესული" წინადადება მსოფლიოს გაუზიაროს. ასე რომ, თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მომდევნო ოლიმპიადაზე კვოტის მისაღებად ჯერ უნდა გაპედერასტდე და მხოლოდ შემდეგ შედგე თხილამურებზე ან ციგურებზე.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



## 49 წლის ქალმა 25 წლისწინანდელი გაუპატიურების გამო უჩივლა გარდაცვლილ რეპერს

**თუ გსურს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცე, ისეთი სისულელე უნდა „დააბრეხვო“, როგორიც მარიხუანის მოწევის ლეგალიზაციაა. მაგრამ ეს თემა საქართველოში არის თავის გამოჩენის საშუალება, საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად კი საჯაროდ უნდა აღიარო, რომ წლების წინათ ვიღაც ვნებიანად მოგაშტერდა ან მეტიც — გაგაუპატიურა.**

ამერიკელი ქალი, 44 წლის **აიანა ჯექსონი**, სწორედ ასე მოიქცა. მან 25 წლის შემდეგ უჩივლა რეპერ **თუფაქს**, რომელმაც ქალი თავის მეგობრებთან ერთად გააუპატიურა. იმხანად **აიანა** 19 წლისა იყო (1993 წელს), მასაჟის გასაკეთებლად სასტუმროში დადიოდა აწ გარდაცვლილ რეპერ **თუფაქ შაკურთან**. თავიდან მხოლოდ ვფლირტაობდითო და, როცა „მასაჟის“ დრო დადგა (ეს მეორე მისვლაზე იყო), ოთახში რამდენიმე კაცი შემოვარდა და „დაამასაჟა“ მასაჟისტი „მსხვერპლი“. თუფაქმა პირდაპირ უთხრა: ჩემს მეგობრებს უნდა გავუზიარო შენი თავიო. იმათაც „გაიზიარეს“.

რეპერს სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ გისოსებს მიღმა მხოლოდ 9 თვეს დაჰყო. 3 წლის შემდეგ, 1996 წელს, კი მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში. მოკვდა ისე, რომ დანაშაული არ უღიარებია.

## სამხრეთ კორეა, ზამთრის ოლიმპიადა: ფიონჩანგის თავზე ლგბტ-თა დროშა ფრიალებს



**ფიონჩანგის ზამთრის ოლიმპიადაზე, სადაც ყინვა 20 გრადუს აღწევს და ქარიშხალი ოლიმპიურ ნაგებობებს ბაბუაწვერასავით დააფრიალებს, პედერასტების მზე ამობრწყინდა: საკმარისია, ათლეტმა საჯაროდ განაცხადოს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა, წამსვე იმ დღის პოპულარულ მედიაპერსონად იქცევა.**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენების კომისიის ხელმძღვანელმა **ანჟელა რუჯერომ** განაცხადა, რომ მიესალმება ამერიკელი სპორტსმენის *(ფიგურული სრიალი)* — **ადამ რიპონის** განცხადებას თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

უფრო ადრე ასევე მოიქცა სხვა ამერიკელიც — **გას კენუორტი**. ამგვარად, XX და XXI საუკუნეებში ორივე პირველ ოლიმპიელებად იქცნენ არა სპორტული მიღწევების წყალობით, არამედ იმის გამო, რომ გეები არიან.

რუჯერომ განაცხადა, ამიერიდან ოლიმპიური მოძრაობის ახალი მიმართულება „მრავალფეროვნება“ და იდეების ერთგულება იქნება, მათ შორის, ლგბტ იდეებისო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, ეს „სუპერპროგრესული“ წინადადება მსოფლიოს გაუზიაროს.

ასე რომ, თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მომდევნო ოლიმპიადაზე კვოტის მისაღებად ჯერ უნდა გაპედერასტდე და მხოლოდ შემდეგ შედგე თხილამურებზე ან ციგურებზე.

## უფლება მქონდა ძალადობისო



**ამერიკის ალაბამას შტატის სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა ქალმა, ჩარლი პარკერმა, გადაწყვიტა, იბრძოლოს მოსწავლეებთან სექსუალური ურთიერთობის უფლების მოსაპოვებლად.**

ამ ქალს ბრალად ჰქონდა წაყენებული 16 წლის ბიჭებთან გარყვნილი ურთიერთობის მცდელობა. პასუხად ყოფილმა მასწავლებელმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა, რომ მოსწავლეებთან სექსურთიერთობის დამყარების აკრძალვა ანტიკონსტიტუციურად იყოს აღიარებული.

ამჟამად მოქმედი კანონებით, მასწავლებლებს ეკრძალებათ სექსი მოსწავლეებთან, რომლებიც 19 წლისანი არ არიან. სხვა პროფესიის წარმომადგენლებზე აკრძალვა არ ვრცელდება.

ქალბატონს გადაწყვეტილი აქვს, დაამტკიცოს, რომ მასწავლებლებს აქვთ სხვა დარგებში დასაქმებულთა მსგავსი უფლებები.

თუ ეს „პროგრესისტი“ ქალბატონი შეძლებს და სასამართლოს თავის სიმართლეში დაარწმუნებს, ამით მოგებული დარჩება მისი 33 ქმარიც, რომელსაც შარშან ზაფხულში ბრალად ჰქონდა წაყენებული სექსუალური კონტაქტი 16 წლის მოსწავლესთან.

იანვარში თავის ძაღლთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებაში ავსტრალიის მოქალაქე მამაკაცი დააჯარიმეს.

გულის ამრევია, ბატონებო, ამის წერაც და წაკითხვაც, მაგრამ ხომ უნდა იცოდეთ, რა ზნეობრივი „სიწმინდეც“ სუფევს იმ მხარეში, რომელშიც მზე ჩადის და რომლისკენაც ბრმასავით ხელებგაშვერილები მივყვებით, აქაურობას გაცლის სურვილით.




## მასწავლებელმა ქალმა ბიჭი შეაცდინა

**ნიუ-იორკის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელ ქალს ბრალად წაუყენეს არასრულწლოვანთა გახრწნა.**

მასწავლებელთან ორალური სექსის დამყარების შესახებ მოსწავლემ მეგობართან დაიტრაბახა. ამ უკანასკნელმა კი სკოლის დირექციაში დაასმინა.

ბრონქსის ერთ-ერთი სკოლის ადმინისტრაციამ პოლიციას აცნობა სოციოლოგიის 29 წლის მასწავლებელი ქალის, **დორი მაიერსის**, შესაძლო სექსუალური ურთიერთობის შესახებ 14 წლის მოსწავლესთან. ქალი დააპატიმრეს. პროკურორმა მის გასათავისუფლებლად 50 დოლარის გირაო მოითხოვა და განაცხადა, რომ მაიერსმა „შეარცხვინა პროფესიის ავტორიტეტი“.

ადვოკატმა განაცხადა, რომ მაიერსი პოლიციის შერიფის ცოლია, და დასძინა: „ერთი ადამიანის მიერ ბრალის დადება საკმარისია ამ ქალაქში ნებისმიერი მოქალაქის დასაპატიმრებლად. ეს ქალბატონი სამაგალითო მოქალაქეა, რომელიც თავის პატიოსნებას დაიცავს“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს ეკრძალება 30 მეტრზე ახლოს მივიდეს „მსხვერპლთან“, სანამ შემოწმება მიმდინარეობს. ნიუ იორკის განათლების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ „სიტუაცია დიდ შეშფოთებას იწვევს“.

## მილიონი დოლარის ოდენობის დაზღვევის მისაღებად დედამ თავისი ინვალიდი ბავშვები მოწამლა







**Daily Mail-ი იუწყება, რომ ავსტრალიის მოქალაქემ, 51 წლის მერი კრებტრიმ, მოწამლა თავისი ვაჟი ჯონათანი და ქალიშვილი ერინი. დედა მათ წლების განმავლობაში ასმევდა წამალს, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, დახოცა ისინი — ჯერ ქალიშვილი მოკვდა, რომელიც 18 წლისა იყო; ხუთი წლის შემდეგ კი — 26 წლის ვაჟი.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ კრებტრი გატაცებული იყო რეალითიშოუთი და ასევე გახლდათ კვინსლენდის მღრღნელების მოყვარულთა საზოგადოების წევრი. მის სახლში თორმეტი მღრღნელი ცხოვრობდა. ქალი თაგვებსა და ვირთხებს ეალერსებოდა, შვილებს კი წამლავდა. ამ გადაგვარებულმა დედაკაცმა შვილები მილიონამდე ოდენობის დახმარების მისაღებად გაწირა.

მას ბრალად წაუყენეს 2 ადამიანის მკვლელობა და თაღლითობა. სასამართლო სხდომა 12 თებერვალს გაიმართება.

ვისაც ბრბოს მოხიბვლა შეუძლია, იგი იოლად ხდება მისი მბრძანებელი; ხოლო ის, ვინც ცდილობს მის მოჭკვიანებას, ყოველთვის მის მსხვერპლად იქცევა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**


სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (425-429)


რევოლუცია-სპექტაკლი

„ფერადი რევოლუციის“ სპექტაკლში მაყურებელი, მანიპულაციის ობიექტი, თვითონვე ხდება ენერგიის წყარო, საწვავი, ხელოვნურად შექმნილი „რეაქტორი“, რომელშიც ბუნებრივად მიმდინარეობს ჯაჭვური რეაქცია. ითრგუნება რაციონალური აღქმა, იმარჯვებს აღფრთოვანებისა და შიშის ემოციები ერთდროულად: რეჟისორები ქმნიან აღტაცების შიშნარევ განწყობას. ოპოზიციის ლიდერები აქტივს დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებენ ლოკალური გამარჯვებებისა და ახალი საფრთხეების შესახებ ცნობების მონაცვლეობით მიწოდების გზით.

**ამ რევოლუცია-სპექტაკლების მნიშვნელოვანი შედეგია არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, არამედ ახალი ხალხის დაბადება თუნდაც ცოტა ხნით. წარმოიქმნება მასა ადამიანებისა, რომელთა შეგნებაში თითქოს წაშლილია მათი საზოგადოების კულტურის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფასეულობები და სანაცვლოდ ჩაბეჭდილია ამ კულტურის მიღმა არსებული, მათთვის უცხო ღირებულებები.**

ასე იყო უკრაინაში, ასე იყო საქართველოში.

ამგვარი რევოლუციების პროცესში **„ახალი ხალხის“ (ახალი ერისაც კი)** ჩამოყალიბება თავსმოხვეული დოქტრინის ერთ-ერთი პოსტულატია.

„ფერადი პრევოლუციები“, როგორც პოსტმოდერნის ეპოქის რევოლუციები, მოდერნის ეპოქის რევოლუციებისგან განსხვავდება ფრიად მნიშვნელოვანი და ძნელად აღსაქმელი თვისებით. ისინი („ფერადი რევოლუციები“) მაქსიმალურად შესაძლო დოზით გამოიყენებენ ეთნიკურობის შემამჭიდროებელ და გამანადგურებელ რესურსს. ინდუსტრიული ეპოქის რევოლუციები აერთიანებდა თავის მომხრეებს **სოციალური თანასწორობის** რაციონალური იდეალის მეშვეობით, შეიარაღებული იყვნენ კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგებით, გამოდიოდნენ მშრომელი ადამიანების ინტერნაციონალიზაციის დროშით და ეთნიკურობას სოციალური რიტორიკით ნიღბავდნენ.

პოსტმოდერნმა უარყო ეს რაციონალურობა, რომელიც განმანათლებლობის ეპოქაში იყო ფესვგადგმული და მოცემულ მომენტში წარმოდგენილი იყო მარქსიზმითა და მისი მონათესავე იდეოლოგიებით. **პოსტმოდერნი უარყოფს საზოგადოებისა და საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა გასაგებ და მდგრად სტრუქტურებს, ეთნოსით ჩაანაცვლებს კლასს, რაც ემოციურად დატვირთული პოლიტიკური წარმოდგენების დადგმის საშუალებას იძლევა. ამ სპექტაკლებში გამორიცხულია თვით ჭეშმარიტების პრობლემა.** შედეგად წარმოიქმნება სივრცე შეუზღუდავი მითოლოგიის, რომლის ღირებულება მხოლოდ მისი ეფექტიანობით განისაზღვრება.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პოლიტიზებული ეთნიკურობა შეიძლება შეიქმნას ცარიელ ადგილზე და უმოკლეს დროში, თანაც მტრის ხატებასთან ერთდროულად, რომლის მიმართ გამოღვიძებულმა ეთნოსმა შური უნდა იძიოს და რომლისგანაც თავი უნდა იხსნას. ამგვარად მიღწეულ ერთსულოვნებასა და თავგანწირვისთვის მზადყოფნას ვერ შეედრება სოციალური თანასწორობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მოტივით შეკრული საზოგადოებრივი გაერთიანება. ამასთან, **გამორიცხული არ არის, განათლებული ადამიანების ფართო მასებმა ყველას თვალწინ ჩამოიხსნან ცივილიზებულობის ნიღაბი და გარდაიქმნან არქაულ ფანატიკურ ბრბოდ.**

რიგ შემთხვევებში პოსტმოდერნის რაციონალობისკენ გადახრა იწვევს საზოგადოებების ეთნიზაციასა და არქაიზაციას, როგორც ეს ხდება, მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში. არანაკლებ რთული პრობლემებია მოსალოდნელი დასავლეთის ქვეყნებში, სადაც თითქოს სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა ეთნიკური შეგნება, მაგრამ ყველაზე ხშირად აგრესიული ეთნიკური შეგნება ღვივდება გარდამავალი ტიპის სახელმწიფოებში პოლიტიკური ან დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად.

სოციოლოგებს უჩნდებათ ეჭვი, რომ **ეს ყოველივე მიმართულია სოციალური წინააღმდეგობების გადასაჭრელად წარმოებული ბრძოლის ეთნიკურ დაპირისპირებათა ქაოსში ჩასაძირავად.**

საკითხის სიღრმისეულ განხილვას ამჯერად ნუ შევუდგებით, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ **ანტისაბჭოთა რევოლუციები სსრ კავშირსა და ევროპაში ოპერაციის ტიპის მიხედვით ჰგავს იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელებულ კამპანიას, რომელიც ეფუძნებოდა აგრესიული ეთნიკურობის ხელოვნურად გაღვივების პოლიტიკას. ამ დიდ პროგრამაში გამოყენებული ტექნოლოგიებს ამჟამად ეფექტიანად გამოიყენებენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ და პოსტსაბჭოთა ინტეგრაციის ყოველგვარი მცდელობის წინააღმდეგ.**

**«ხავერდოვანი რევოლუციების» ერთ-ერთ მთავარ ეტაპად ითვლება შეუიარაღებელი ბრბოს მოქმედება ქუჩაში, რომელიც, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს დედაქალაქში. ეს არის დიდი პოლიტიკური სპექტაკლი, რომლის დასადგმელად გამოიყენებენ სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებსა და მხატვრულ ხერხებს**

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ეფექტიანად განხორციელებული „ფერადი რევოლუცია“ თანამედროვე საზოგადოების ფუნდამენტურ მოვლენად წარმოგვიდგება, კერძოდ, განუწყვეტლობის დასასრულად. სპექტაკლის ჰიპნოზს დამორჩილებული მოსახლეობის ნაწილი ამოვარდნილია წინამორბედი საზოგადოების ტრადიციებიდან, რაციონალობის ჩვეული ნორმებიდან და „პოსტმოდერნის ეპოქაშია გადამხტარი“, მაგრამ, ამასთანავე, წყვეტს კავშირს ქვეყნის რეალობასთან, მისი ახალი ფასეულობები და „ცხოვრების სტილი“ არ ეფუძნება მყარ მატერიალურ და სოციალურ ბაზას. შეიცვლება თუ არა ეს რეალობა იმგვარად, რომ შეესაბამოს ახალ ფასეულობებს თუ ამ „ნარინჯისფერ“ ახალგაზრდობას მოუწევს ფლუსტრაციის მძიმე პერიოდის გავლა და ცოდვილ მიწაზე საკმაოდ შელახულ და გაქუცულ მდგომარეობაში დაბრუნება? ასეთი შეკითხვა თავისთავად ჩნდება. პრობლემა კი ის არის, რომ „პოსტმოდერნის რაციონალობა“ გამორიცხავს ამგვარ შეკითხვებს — ერთი სპექტაკლი მეორით იცვლება და ადამიანი ვერ ამჩნევს, როგორ გარდაიქმნება მაყურნებელ „ბომჟად“, რომელსაც არც ტრადიციები აქვს, არც დასაყრდენი ნიადაგი.

## „ხავერდოვანი რევოლუციები“, როგორც ცნობიერების მანიპულაციის პროგრამა

„ხავერდოვანი რევოლუციების“ ერთ-ერთ მთავარ ეტაპად ითვლება **შეუიარაღებელი ბრბოს მოქმედება ქუჩაში,** რომელიც, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს დედაქალაქში. ეს არის დიდი პოლიტიკური სპექტაკლი, რომლის დასადგმელად გამოიყენებენ სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებსა და მხატვრულ ხერხებს. იგი უძლიერესად მოქმედებს, როგორც ბრბოში ჩათრეული ადამიანების, ასევე, მაყურებლების — ქალაქში მცხოვრებთა და საერთოდ ქვეყნის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის — ცნობიერებაზე. ეს რევოლუციები პრაქტიკულად წარმოგვიდგება სპექტაკლებად, რომლებიც საერთაშორისო მედიაარხებით გადაიცემა.

აქედან ცხადია, რომ სპექტაკლ „ხავერდოვანი რევოლუციების“ დამდგმელთა მთავარი ამოცანაა, მათი მიზნების შესატყვისი **ბრბოს** შექმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საკმაო ოდენობით მასის მოზიდვას, ქალაქის სივრცის გარკვეულ წერტილებში მის კონცენტრაციას, იქ მის დაყოვნებას აუცილებელი დროით და მათი ცნობიერების იმგვარად დამუშავებას, რომ ბრბომ რეჟისორების ნიშანზე ზუსტად ისე იმოქმედოს, როგორც სცენარითაა გათვალისწინებული. ეს მიიღწევა ცნობიერების მანიპულაციით, რომელიც ბრბოს, როგორც ადამიანების განსაკუთრებული ტიპის კოლექტივის, შესწავლის მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარეობს. თავიდან პრაქტიკულმა პოლიტიკოსებმა და ფილოსოფოსებმა ემპირიული გამოცდილების სისტემატიზება მოახდინეს, მოგვიანებით ამ საქმეში ჩაერთო მეცნიერება — **სოციალური ფსიქოლოგია.**

სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი ცალკეული პიროვნება კი არ არის, არამედ **ადამიანების ჯგუფები.** 1990 წლებში აშშ-ში გამართული დისკუსიის მონაწილეებმა, რომელთაც განიხილეს სოციალური ფსიქოლოგის ადგილისა და მისი გამოყენების პრობლემა, დაასკვნეს, რომ მეცნიერების ამ დარგის დანიშნულება ქცევის ტექნოლოგიების დამუშავებაა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სოციალური ფსიქოლოგია გადავიდა მასირებულ ექსპერიმენტულ კვლევაზე, რომლის ბაზაზეც შემუშავდა „ქცევითი ტექნოლოგიები“.

ცნობილია, რომ ადამიანს, რომელიც ადამიანების დიდ მასასთან მჭიდროდ და უშუალოდ ურთიერთობს, ეცვლება ცნობიერება. **ნიცშე** წერდა, როცა ასი ადამიანი ერთმანეთის გვერდით დგას, თითოეული კარგავს თავის გონს და მიიღებს რომელიღაც სხვასო. **ლებონი** თავის წიგნში „მასების ფსიქოლოგია“ ჩამოთვლის ბრბოს, როგორც ადამიანების ხანმოკლედ მცხოვრები კოლექტივის, თავისებურებებს. გთავაზობთ მის თეზისებს ამ წიგნის კარიდან „ბრბოს სული“:

**ბრბოში „ცნობიერი ადამიანი ქრება**, ამასთანავე — ერთეულთა გრძნობები და იდეები, რომლებიც მთლიანობას ქმნის, ერთსა და იმავე მიმართულებას იძენს. ყალიბდება კოლექტიური სული, რომელიც, რა თქმა უნდა, დროებითია, მაგრამ გარკვეული თვისებები გააჩნია... ინდივიდი, რომელიც გარკვეულ დროს დაყოფს მოქმედ ბრბოში, მალევე ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელიც ძალიან ჰგავს დაგიპნოზებულ სუბიექტს“.

**ბრბო ხარისხობრივად ახალი სისტემაა და არა დაუკავშირებელი ერთეულების კონგლომერატი.** ლებონი წერს: „ბრბოში მყოფი ადამიანი დაუძლეველ ცნობიერებას იძენს და ეს ცნობიერება უბიძგებს მას, დაემორჩილოს ისეთ ინსტიქტებს, რომელთაც გალაღების საშუალებას იგი არ აძლევს მარტოდ ყოფნის დროს. ბრბოში ყოფნისას კი ამ ინსტიქტების მოსათოკად ნაკლებად არის მიდრეკილი იმიტომ, რომ ბრბო ანონიმურია და პასუხისმგებლობის მოვალეობა არ აწუხებს. **პასუხისმგებლობის განცდა, რომელიც ცალკეულ ინდივიდს თავს ყოველთვის შეაკავებინებს, ბრბოში უკვალოდ ქრება“.**

**ბრბოს ცნობიერება პოსტმოდერნის სპეციფიკური რაციონალობის ხასიათს იძენს — ამ ცნობიერებიდან ამოვარდნილია ჭეშმარიტების პრობლემატიკა.** მთავარი კრიტერიუმი, რომელიც ბრბოს აღქმის უნარს განსაზღვრავს, ცნობების მიმზიდველობაა. ლებონი წერს: „ბრბო არასოდეს ისწრაფვის სიმართლისკენ; იგი ზურგს აქცევს სიცხადეს, რომელიც არ მოსწონს; უპირატესობას ანიჭებს ცდომილებას, როცა ეს უკანასკნელი ხიბლავს. **ვისაც ბრბოს მოხიბვლა შეუძლია, იგი იოლად ხდება მისი მბრძანებელი; ხოლო ის, ვინც ცდილობს მის მოჭკვიანებას, ყოველთვის მის მსხვერპლად იქცევა.**

**ბრბოს ქმნის შეუწყნარებლობა, რაციონალურ, დიალოგის ტიპის განსჯაზე უარის თქმა.** ლებონი წერს: „ბრბო ცნობს მხოლოდ უბრალო და უკიდურეს გრძნობებს; ნების აზრს, იდეას, რომლების ჩაგონებასაც ცდილობენ, იგი ან სრულად მიიღებს, ან სრულად უარყოფს. როგორიც გინდა იყოს ბრბოს გრძნობები, კარგი თუ ცუდი, მათი დამახასიათებელი თვისებებია **ცალმხრივობა** და **გაზვიადება**... გრძნობების ძალა კიდევ უფრო იზრდება, მაშინ, როცა არ არსებობს პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით — განსხვავებულ კალიბრიან ბრბოში“.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას“.**

# რა არის კანონი და რისთვის არსებობს იგი, თუ ქვეყანასა და ხალხს წინსვლაში არ დაეხმარება?!




ამ კითხვას ილია ჭავჭავაძემ პასუხი გასცა პუბლიცისტურ წერილში „ცხოვრება და კანონი“. ქვეყანაში, სადაც „კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“. „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“, — ასეთია მისი დასკვნა.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვაა; ადამიანები იბადებიან თანასწორუფლებიანები და თითოეულ ჩვენგანს აქვს რელიგიის, მრწამსის, სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, მაგრამ ყოველ ადამიანს ხომ, ასევე, ეკისრება უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე?!

თუ სახელმწიფოში კანონი არ კანონობს ან ვერაფერიშვილი კანონები აქვთ, ცხოვრება არათუ წინ მიდის, არამედ უკან-უკან იხევს და ამის მაგალითი ჩვენი ქვეყანააო.

გენიშნა, მკითხველო? უკან იხევსო... ალბათ, უპირველესად, გაგახსენდათ კანონი ლიბერლიზაციის შესახებ, ნარკოტიკების ლეგალიზებისა და მოხმარების დაკანონების მოთხოვნა და უამრავი „წვრილმანი“ შესწორება კანონის ამა თუ იმ მუხლში, რომლებიც არა მხოლოდ აზარალებს ჩვენს ქვეყანას, ამასთანავე, საფრთხეს უქმნის ქართველი ერის არსებობას.

მაშ, რა არის კანონი და რისთვის არსებობს იგი, თუ ქვეყანასა და ხალხს წინსვლაში არ დაეხმარება?

აი კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი.

# ცხოვრება და კანონი

დასასრული. დასაწყისი იხ. №4 (428)

**ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის?** ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება...

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ **ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.**

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს ულვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. **ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს.** იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში“.

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, **ბისმარკმა** აი, რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის გაძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისთვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი“.

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინდამაინც არ არის, ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის...

**ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას.** ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველადა. ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ **სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება.** ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია, მეორეს მხრით — უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი.

რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორღანოა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

**ცხადია, რომ, როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი.**

თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი.

**გაზეთი „ივერია“,**
**1877 წ, მარტი**

**«სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ»**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

**კავკასიის ულელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. ამასთანავე, ამ პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა, ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4 (428)

# საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები

**ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება, თუმცა სავარაუდოა, რომ ქართველებისათვის რუსი ხალხი მანამდეც არ იყო უცხო. XII საუკუნის დასაწყისიდან, დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. დავითის გამარჯვებებმა და წინსვლამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი რუსეთთან. გაძლიერებულ საქართველოსთან კავშირი, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო, მეტიც, გაძლიერებულ საქართველოს სამეფოსთან კავშირს რუსეთი თვითონ ესწრაფვოდა, მით უფრო, რომ დავითის მეფობისას ყივჩაყები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაყთა თავდასხმების თავიდან აცილება და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.**




საქართველო დავით აღმაშენებლის მმართველობის დასასრულს, 1125 წელი

## თურქ-სელჩუკები

**გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის — ბაგრატ III-ის (996-1014) გარდაცვალების დროისთვის ისტორიული ქართული მიწებიდან სამეფოს ფარგლებს გარეთ კვლავ რჩებოდა თბილისი, რომელიც პატარა მაჰმადიანური საამიროს ცენტრს წარმოადგენდა; ასევე — სამხრეთ საქართველოს ნაწილი, რომელსაც 1001 წელს ბიზანტიის იმპერია დაეუფლა. სწორედ ამიტომ ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მთავარი საზრუნავი ამ ტერიტორიების დაბრუნება იყო.**

**გიორგი I** (1014-1027 წწ.) უშედეგოდ ეომა ბიზანტიელებს ქართული მიწების დასაბრუნებლად.

მის ვაჟს — **ბაგრატ IV-ს** (1027-1072 წწ.) კი თავისი მეფობის დასაწყისში მათი მოგერიება მოუხდა. ის თბილისისა და ბიზანტიელთა ხელში დარჩენილი ციხესიმაგრეების გასათავისუფლებლად იბრძოდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა **თურქ-სელჩუკთა** შემოსევების გამო, რომლებიც საქართველოში პირველად 1064 წელს შემოიჭრნენ. ეს მოხდა გიორგი II-ის გამეფების მეორე წელს. მან სამშვილდის ციხე აიღო, ქართლი დაარბია და უკან გაბრუნდა. შემდეგ სულთანმა განძა აიღო, მის გამგებლად სარანგი დანიშნა და მას ქართლში ლაშქრობები დაავალა.

**მალიქ-შაჰმა** საქართველოში მეორედაც ილაშქრა. თურქ-სელჩუკებმა კარის ციხე-ქალაქი აიღეს, ჯავახეთში მდგომ გიორგი II-ს თავს დაესხნენ და დაამარცხეს.

სელჩუკთა შემოსევებმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო 1080 წლისთვის — საქართველოში დიდი თურქობა დაიწყო. მათ სასტიკად ააოხრეს ქვეყანა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გაჟლიტეს ან ტყვედ წაიყვანეს. მეფე გიორგი II (1072-1089 წწ.) იძულებული შეიქნა, სელჩუკთა დიდ სულთან მალიქ-შაჰს ხლებოდა და მისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა აღეთქვა, მაგრამ ცალკეული თურქული რაზმები ქართულ მიწებზე თარეშს მაინც არ წყვეტდნენ; აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქებში (თბილისშიც) სელჩუკთა გარნიზონები იდგნენ.

სელჩუკთა სახელმწიფომ თავის ძლიერების მწვერვალს 1092 წელს მიაღწია, მაგრამ როდესაც სელჩუკთა იმპერიის მესამე სულთანი, მალიქ-შაჰი, ნოემბერში გარდაიცვალა, სახელმწიფო ანარქიამ მოიცვა, ხოლო დასავლეთიდან მას ევროპელმა ჯვაროსნებმა შეუტიეს.

შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა საქართველოს ახალმა მეფემ, **დავით IV აღმაშენებელმა** (1089-1125 წწ.). მან 1097 წელს სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა და დაიწყო ბრძოლა საქართველოდან მათ განსადევნად. დავითმა, როგორც ნიჭიერმა სარდალმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. ქართველებმა დავით მეფის ხელმძღვანელობით არაერთგზის დაამარცხეს სელჩუკთა ჯარები და 1122 წელს იერიშით აიღეს თბილისი, რომელიც საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდა.

ქართული მიწების გათავისუფლების შემდეგ, 1123-1124 წლებში, დავით IV-მ სელჩუკები მეზობელი სომხური და აზერბაიჯანული პროვინციებიდანაც გარეკა, ხოლო ეს მიწები თავის სამეფოს შემოუერთა და დავითის მეფობის ბოლო წლებში მისი სამფლობელოები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ქვეყანა აღმშენებლობის გზას დაადგა.

## რუს-ვარანგები, ოსნი, ყივჩაღნი...

დავითის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს. **ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დავითი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.**

ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება (ამაზე საუბარი გვქონდა წინა ნომერში), თუმცა სავარაუდოა, რომ ქართველებისთვის რუსი ხალხი მანამდეც არ იყო უცხო. მაგრამ XII საუკუნის დასაწყისიდან, დავითის მეფობის ხანაში, რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. **დავითის გამარჯვებებმა და წინსვლამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი რუსეთთან. გაძლიერებულ საქართველოსთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო, მეტიც, გაძლიერებულ საქართველოს სამეფოსთან კავშირს რუსეთი თვითონ ესწრაფვოდა, მით უფრო, რომ დავითის დროს ყივჩაყები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაყთა თავდასხმების თავიდან აცილება და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.**

დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით, ოსებსა და ყივჩაღებთან ურთიერთობას. ოსები სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან გამოირჩეოდნენ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა. დავითის მეფობისას, როცა ყივჩაღთა ჩამოსახლების საკითხი დაისვა, ოსებთან ურთიერთობაც ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. ყივჩაღებს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებთან, ამიტომ საქართველოს მეფეს ქმედითი ღონისძიებების გატარება დასჭირდა ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსაყვანად, რადგან ყივჩაღების საქართველომდე ჩამოსასვლელად ოსეთი იყო გასავლელი.

საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავითის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში ყოფილა გათხოვილი. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს. ზოგი ფიქრობს, რომ, თუ საკუთრივ დავითის ასული არა, სამეფო სახლის რომელიღაც წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი.

ოსეთთან ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თვით დავითი და მისი ვაზირი **გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი** „წარემართა ოვსეთს“. დავითის ოსეთში გადასვლა მხოლოდ ყივჩაღთათვის გზის უზრუნველყოფა არ ყოფილა. მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საულელტეხილო გზების დაკავება. იმხანად დარიალსა და სხვა ულელტეხილებზე კონტროლს ოსები ახორციელებდნენ. ძლიერი ფეოდალური საქართველოსთვის აუცილებელი გახდა აღნიშნული გადასასვლელების დაუფლება და დავითის მისიაც ამას ისახავდა მიზნად. ნიშანდობლივია, რომ ოსეთში შესულ დავითს „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“. დავითმა მძევლები ჩამოართვა როგორც ოსებს, ისე ყივჩაღებს და „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორივე ნათესავნი“. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ დავითს თან ახლდა გარკვეული სამხედრო ძალაც. შემდეგი ეტაპი დავითის მოქმედებისა ის არის, რომ მან აიღო და დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“. **უდავოა, რომ კავკასიის ულელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. ამასთანავე, ამ პერიოდიდან თუ უფრო ადრე არა, ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა.**

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავითს თან ახლდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებისთვის ზრუნვა მოჩანს.

დავითმა ხელში ჩაიგდო კავკასიის გადასასვლელები, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ოსეთი მტკიცედ შემოიყვანა თავისი მორჩილების ქვეშ ყმადნაფიცობის პირობაზე. ამიერიდან სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან ერთად, დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა“.

**დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროების ძურძუკები, კავკასიონი), დაღესტნის ხალხებთან, ადიღესთან (ჯიქნი, ქაშაგნი).**

საქართველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა. არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში, გავრცელდა ქართული დამწერლობა, ხშირია ქართული წარწერები (დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული), შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.

დავითის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო დარუბანდის საკითხი. გეოგრაფიულმა გარემომ, ეთნიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის ბაზა, რომელზეც ჩამოყალიბდა დარუბანდის ქალაქი-სახელმწიფო. დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზის მიმართ ქართველები გულგრილნი არ იყვნენ. დავითი დიდად აფასებდა კასპიის კარის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველგვარად ცდილობდა თავის გავლენის გავრცელებას. 1124 წლის აპრილში დავითის მოლაშქრეებს დარუბანდიც ხელთ უგდიათ.

როგორც დავით აღმაშენებლის ანდერძშია ნათქვამი, მას მთელი ჩრდილოეთი კავკასია ემორჩილებოდა. ასე რომ, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებს ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. ამასთან, დავითი ჩრდილოეთის ქვეყნებთან მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფაზე არ ფიქრობდა. გარკვეულ შემთხვევაში, მშვიდობიან მოლაპარაკება-დიპლომატიასთან ერთად, საქართველოს სამეფო კარი შეტევით ოპერაციებსაც ატარებდა და ეუფლებოდა მის ჩრდილოეთით მიმდებარე ქვეყნებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# თემო გოცაძე: საშინელებაა, როცა გვარწმუნებენ, რომ ბავშვმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, კაცი უნდა გახდეს თუ ქალი



**საქართველოს სახალხო მხატვარ თემო გოცაძეს აქვს დიდებული ნამუშევარი — „ვაჟა ფშაველა: „არწივი ვნახე დაჭრილი...", რომელიც არც პერსონალურ გამოფენაზე გამოუტანია, არც წიგნში შეუტანია. რატომ ? — არ მირჩიესო. მიზეზს არ ჩავრღმავებივართ.**

ალეგორიაა საქართველოსი — ისტორიულ ჭრილშიც და დღევანდელობის თვალთახედვითაც. ვეკითხები: ჩვენი ყოფის მეტაფორაა, როცა ნეოლიბერალური პროპაგანდა ჩვენს სულიერებას, რწმენას, ეროვნულ იდენტობას ყველა დონეზე და ყოველი მხრიდან უტევს, ეძალება და ებრძვის?

ასეაო, მიპასუხებს და მიხსნის, რომ შავი ყორნების რიალი იმ სივრცის თავზე, რომელშიც ვიმყოფებით, ამას ნიშნავს. ერთი მხრივ, ყველაფრის დამშვები ლიბერალიზმი, მეორე მხრივ, მისი გამომრიცხავი მიმართულება, რომელიც უარყოფს ლიბერალურ არსებობას და წარმოუდგენია იგი საერთო ქსოვილის მხოლოდ გარკვეულ დეტალად, ჩვენს სინამდვილეში ერთდროულად არსებობს.

ეს ყოველთვის მაწუხებდაო, ამბობს, განსაკუთრებით, ბოლო დროს.

**— ღრმა ფილოსოფიური აზრი ჩაგიდვიათ, ბატონო თემო.**

— ლექსია ასეთი. ჩემი ამოცანა იყო, მეჩვენებინა, რომ ლამაზ, მზით განათებულ, ლაღ, მთაგორიან გარემოს, რომელზეც ეკლესიაც არის გამოსახული, მეჩეთიც, ციხესიმაგრეც, მოკლედ, საქართველოა, თავს დასტრიალებს შავი ძალა, რაც, ბუნებრივია, უარყოფით ემოციებს აღძრავს.

**— უარყოფითს, რომელიც არსებული რეალობიდან გამომდინარეობს.**

— რა თქმა უნდა, თორემ რა სიამოვნება უნდა განმეცადა „ნაციონალურ მოძრაობასთან" იმ კოაბიტაციის გამო, რომელიც თავს მოგვახვიეს?! რა სიამოვნება შეიძლება მოგიტანოს იმ კონსტიტუციურმა შესწორებებმა, რომელთა განხორციელებასაც ევროკავშირი თავხედურად გვაძალებს?! არადა, მისი მოთხოვნები ჩვენთვის, ჩვენი მენტალიტეტისთვის ყოვლად მიუღებელია, თუმცა ლიბერალური (ჭეშმარიტი) აზროვნების შესახებ **ილია ჭავჭავაძემაც** ბევრი დაწერა, მაგრამ ლიბერალურ აზროვნებას თუ არ ახლავს კონსერვატიზმი (ოღონდ არა მაქსიმალისტური, არამედ იმ დოზით, რომელიც შესანარჩუნებელია), ტრადიციული აზროვნება, იგი ნებისმიერი ერისთვის დამღუპველია. ლიბერალიზმი, ტრადიციონალიზმისა და კონსერვატიზმის გარეშე, ილიას ვერ წარმოუდგენია.

**— ესე იგი, ეს უკვე მეორე ტრიადაა, მისივე „მამული, ენა, სარწმუნოების" შემდეგ.**

— დიახ, ასეა. ილიას ნააზრების ხუთტომეულში, რომელიც ომარ გოგიაშვილმა გამოსცა, მისეული ეს პოზიცია აშკარად ამოიკითხება: იდეოლოგიის დონეზე აქვს ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოსთვის.

**— ვის ავალია, თქვენი აზრით, ამ ტრიადის შენარჩუნების უზრუნველყოფა, ბრძოლაც, თუ საჭიროა?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს. გავიხსენოთ, რომ გამოვედით იმ სახელმწიფოდან, რომელსაც უმძლავრესი იდეოლოგიური სამსახური ჰქონდა. და, საერთოდაც, XX საუკუნის სახელმწიფოებში იდეოლოგიური მიმართულება პრიორიტეტული იყო ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში.

არ ვიცი, მიზანშეწონილი თუ იქნება ასეთი სამსახურების აღდგენა საერთოდაც და, კერძოდ, საქართველოშიც, მაგრამ მთავარი ტვირთი, ჩემი აზრით, უნდა ზიდოს ეკლესიამ, უწინარეს ყოვლისა, კონსერვატიულობიდან და ტრადიციული აზროვნებიდან გამომდინარე ამოცანების გადასაწყვეტად. სახელმწიფომ კი, ლიბერალური (ჭეშმარიტი) აზროვნებიდან გამომდინარე, ვარიანტები წამოაყენოს კულტურის, განათლების სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით. ორივე მხარის შეჯერება ხდება. ამასობაში **ნეოლიბერალიზმმა არა მხოლოდ ზნეობა წალეკა, არამედ ჩვენს ეროვნულობასაც, კულტურასაც, ისტორიასაც იმავეს უპირებს. მისი ადეპტები ისე გათავხედდნენ, გალაკტიონი ვინ არისო, — აცხადებენ ცინიკურად. ნუ გაახურეთო ძველი ქართული კლასიკით! ისტორია ჩვენით იწყება და თანამედროვე სამყაროსაც ჩვენ ჩავუყარეთო საფუძველი.**

**— „უბორნიის მჯღაბნელები", რომლებიც ტელესივრცეში ფავორიტებად ჰყავთ აღიარებული...**

— არ მინდა გავამძაფრო სიტუაცია, მაგრამ ამ ყოვლისმომცველმა ლიბერალიზაციამ იმდენი ცუდი მოიტანა, რომ უთქმელობაც არ გამოვა. კაცი — კაცზე და ქალი — ქალზეო! მალე საქართველოში მსგავსსქესიანთა დაქორწინების დაკანონებასაც მოითხოვენ — ჩვენთან, თორემ „დემოკრატიული" თანამეგობრობის ქვეყნები რიგში დგანან, სხვამ არ დაგვასწროს მამათმავლობის გაოფიციალურებაო.

რაც უნდათ, ის ქნან, მაგრამ **ვინ თქვა, ვინ დააწესა, რომ კაცთმოყვარეობა, ტოლერანტობა მხოლოდ იმ სახელმწიფოში სუფევს, რომელშიც მამათმავლებს მიჰყავთ „სტოსი". აბსურდია! ტოლერანტობასა და კაცმოყვარეობას ქართველებს ვერარა ერი ვერ გვასწავლის. საშინელებაა, როცა გვარწმუნებენ, რომ ბავშვმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, კაცი უნდა გახდეს თუ ქალი, — უფლება აქვსო!**

ადამიანის არსებობის მთავარი ღერძების გადაადგილება ხდება, რაც უფრო საშიშია, ვიდრე დედამიწის ღერძის რაღაც გრადუსით გადახრა: სამყარო თავის თავს თვითონ მიხედავს, ჩვენ ჩვენი ხელით ვიჭრით ყელს, უარს ვამბობთ **თის გასაფუძებლად საქართველოს მყეფარი ძაღლივით მიუქსევს, თვითონ კი განზე გადგება. მარიონეტობაა ეს. უძალონი ვართ: „ვაჰ, დედა თქვენსა ყოვებო, ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა".**

**— მაშასადამე, ნეოლიბერალური პროპაგანდის შემოტევისგან საქართველო დაცული არ არის?**

— არც არის და არც იქნება დაცული, რადგან შენივე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცრულიბერალიზმის იდეების თავგამოდებული დამცველი და მქადაგებელია.

**— უწინ პერსონალური გამოფენის მოწყობა მხატვრის დაფასებად იყო მიჩნეული, აღიარებადაც კი, ახლა ლამის კონვეიერის პრინციპით ერთმანეთს მისდევს ასეთი გამოფენები. რა ხდება, ბატონო თემო, გაიაფდა ტურფა?**

— არა, მთლად ასე არ არის. იმ დროში, როცა პერსონალური გამოფენები იშვიათობა იყო, ყოველწლიურად ეწყობოდა საშემოდგომო გამოფენა, საგაზაფხულო გამოფენა, ერთი რესპუბლიკური გამოფენა თბილისში და ერთიც საკავშირო გამოფენა მოსკოვში. ეს იყო არა მხოლოდ დათვალიერება იმ შემოქმედებითი მონაგარის, არამედ, ამასთანავე, მხატვრის დიდ ასპარეზზე გამოსვლის საშუალება და მისთვის გზის გაკვალვაც.

ახლა მსგავსი არაფერი ხდება, ოცდახუთი წელიწადია, არც ერთი სეზონური თუ რესპუბლიკური გამოფენა არ მოწყობილა, ანუ არ ჩატარებულა არც ერთი ისეთი ღონისძიება, რომელიც წარმოაჩენდა ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელობას.

მხატვარს ერთადერთი საშუალება დარჩა — თვითონვე გამოფინოს საკუთარი ნამუშევრები და დაარქვას პერსონალური გამოფენა, რასაც, სხვათა შორის, თანხები სჭირდება. ამ ყველაფერმა უკან დასწია შებული კონცეფცია, იდეოლოგიურ საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობას XXI საუკუნეში და — საერთოდაც.

**— გაართმევენ კი თავს ამ ზეამოცანას?**

— პატრიარქის ეპისტოლეებში ყველა პრობლემაზეა გაცემული პასუხი, მოიცავს ტრადიციონალიზმსაც და კონსერვატიზმსაც, მაგრამ ლიბერალიზმთან შეჯერება ვერ მთავარზე, რომლის გარშემოც ტრიალებს ჩვენი ყოფა და ცნობიერება.

**— გვაძალებენო, თქვით...**

— გვაძელებენ, რადგან არ გვაქვს თავის დაცვის საშუალება. **ან უნდა იყო ერთი ჩექმის ქვეშ, რომელიც მონად გაქცევს, ან მეორე ჩექმის ქვეშ, რომელიც მარიონეტად გაგხდის — როცა ერთი ზესახელმწიფოს ელჩი მეორეს ხასია**მოქმედებითი პროცესი. უწინ გამოფენების ორგანიზატორი სახელმწიფო იყო, რადგან დაინტერესებული გახლდათ დარგში არსებული მდგომარეობით, საუკეთესო ნამუშევრების შეძენით მუზეუმების ფონდებში დასაბინავებლად.

**— რადგან ეროვნულ საგანძურად მიაჩნდა, ესეც ვთქვათ.**

— ახლა კი, კერძოდ, **ბოლო 25 წლის განმავლობაში, არც ერთი ნამუშევარი არ შეძენილა, არც ერთი სამუზეუმო ფონდი ერთი ნამუშევრითაც არ გამდიდრებულა: საამისო თანხა მუზეუმებს აღარ აქვს. თუ რომელიმე ნახატს შეწირავ, ესღა რჩება.** მაგრამ იმასაც ან მიიღებენ, ან არა. მეოთხედი საუკუნე, ფაქტობრივად, ამოვარდნილია ისტორიული განვითარების ლოგიკიდან. კულტურის სამინისტრომ რომც მოინდომოს ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენის მოწყობა 1990 წლიდან 2017 წლამდე პერიოდის, ვერ შეძლებს, რადგან არც ერთი ნამუშევარი შეძენილი არ არის.

ამიტომ არც ვიცით, რას წარმოადგენს ქართული სახვითი ხელოვნება დღეს.

**— 2018 როგორი გვექნება?**

— კარგს არაფერს ველოდები, 2005 წლის შემდეგ პირადად მე უმოტივაციოდ ვარ დარჩენილი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ნეოლიბერალიზმმა არა მხოლოდ ზნეობა წალეკა, არამედ ჩვენს ეროვნულობასაც, კულტურასაც, ისტორიასაც იმავეს უპირებს. მისი ადეპტები ისე გათავხედდნენ, გალაკტიონი ვინ არისო, — აცხადებენ ცინიკურად. ნუ გაახურეთო ძველი ქართული კლასიკით! ისტორია ჩვენით იწყება და თანამედროვე სამყაროსაც ჩვენ ჩავუყარეთო საფუძველი»**



## მილოცვა

ჩვენს უფროს კოლეგასა და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, მწერალთა კავშირის წევრს, არაერთი წიგნის ავტორსა და, რაც მთავარია, ღირსეულ პიროვნებას, ბატონ არმაზ სანებლიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელ სიცოცხლეს, კვლავაც მრავალი წელი არ გასცვეთოდეს კალამი და ჩვეული შემართებით შეესრულებინოს თავისი პროფესიული მოვალეობა.

პატივისცემითა და სიყვარულით,
გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894